

# **ვალიგენალებითი სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2015, №12**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2015, №12**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2015, №12**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2015, №12**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პანევალია**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. ნინარე ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები

## განხილვა

№ას-661-628-2014

30 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ქლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში – ხელშეკრულებით ნა-  
კისრი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება; მე-  
გებებულ სარჩელში – ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზი-  
ანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

### 1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „მ-ი ს-ომ“ (უფლებამონაცვლე შპს „მ. ჯ.“) მოითხოვა გა-  
რიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით გ. ჯ-ის  
კუთვნილი 7101.00 კვ.მ მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...)  
სამხრეთ ფერდობიდან 3038.92 კვ. მეტრის გამიჯვნა და ამ ნა-  
წილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება, სანაც-  
ვლოდ 3000 კვ.მ ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ  
მოპასუხის ცნობა, ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-  
ლების დარღვევის გამო გ. ჯ-ისათვის ზიანის – 100411,18 ლა-  
რის დაკისრება და ბეს ორმაგად (4 000 აშშ დოლარი) დაბრუნე-  
ბის დავალდებულება.

### 2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით  
მოპასუხებ მოთხოვნა არ ცნო და მიუთითა მის მიმართ განხორ-  
ციელებულ იძულებაზე, ასევე აღნიშნა, რომ შეთანხმება, რომ-  
ლის საფუძველზეც მოსარჩელე ვალდებულების შესრულებას  
მოითხოვს, არ შეიცავს დაზუსტებულ დებულებებს გასაცვლე-  
ლი ქონებების თაობაზე, მოსარჩელეს სურს კაბალური პირო-  
ბებით გაცვლის ხელშეკრულების დადება ქონებაზე, რომელთა  
ფასი არაეკვივალენტურია.

### 3. შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა:

გ. ჯ-მა შეგებებული სარჩელით მოითხოვა მას და შპს „მ. ჯ-

ს“ შორის 2011 წლის 2 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების და ამ შეთანხმების საფუძველზე 2012 წლის 15 ივნისს გაფორმებული გაცვლის ხელშეკრულების, როგორც იძულებით დადებული გარიგებების ბათილად ცნობა.

#### **4. მოპასუხის პოზიცია შეგებებულ სარჩელზე:**

კონკრეტული სახის შედაგების ფარგლებში მოპასუხემ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ ცნო იმ საფუძვლით, რომ იძულების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები მხარეს არ წარუდგენია, ამასთანავე, მხარეები შეთანხმებული იყვნენ, როგორც ხელშეკრულების პირობებზე, ისე გადასაცემ ქონებაზე, რომლებიც ტოლფასი ღირებულებისაა.

#### **5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით როგორც ძირითად, ისე შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

#### **6. აპელანტების მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. შპს „მ. ჯ-მ“ მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო გ. ჯ-მა – შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **7. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „მ. ჯ-ს“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) სამხრეთ ფერდობიდან 3000 კვ.მ მესაკუთრედ აღიარებული იქნა შპს „მ. ჯ-ს“ საკუთრების უფლება, სანაცვლოდ, №... მიწის ნაკვეთზე აღიარებულ იქნა გ. ჯ-ის საკუთრების უფლება, შპს „მ. ჯ-ს“ უარი ეთქვა მიწის ნაკვეთის ნარდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზით გამიჯვნის, ასევე ზიანის ანაზღაურებისა და ბეს ორმაგი დაბრუნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. ჯ-ის შეგებებული სარჩელი.

7.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

##### **7.1.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს**

„მ-ი ს-ოსა“ და გ. ჯ-ს შორის 2011 წლის 2 სექტემბერს დადებული შეთანხმების თანახმად, ქ.თბილისში, სოფელ წ-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 45 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...), შპს „მ-ი ს-ოს“ საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, 7301 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაიცვლებოდა გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ ამავე მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი ...), ხოლო დაახლოებით 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაიცვლებოდა გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) სამხრეთ ფერდობიდან 3000 კვ.მ ფართზე.

7.1.2. 2011 წლის 2 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმდა ბეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გ. ჯ-მა მ. ა-ისგან, როგორც შპს „მ-ი ს-ოს“ დირექტორისგან, უძრავი ქონების გაცვლასთან დაკავშირებული შეთანხმების საფუძველზე ბეს სახით მიიღო 2000 აშშ დოლარი, რაც ხელშეკრულების დადების დღისათვის შეადგენდა 3313,4 ლარს.

7.1.3. სააპელაციო საჩიგრის განხილვის პერიოდში, სამენარმეო რეესტრში განხორციელებული ცვლილების თანახმად, შპს „მ-ი ს-ოს“ ენოდა შპს „მ. ს-ო“

7.1.4. 2012 წლის 15 ივნისის გაფორმებული გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული 7301 კვ.მ №... მიწის ნაკვეთი გადავიდა შპს „მ-ი ს-ოს“ საკუთრებაში, ხოლო ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული 7301 კვ.მ №... (წინა ნომერი ...) მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცა გ. ჯ-ს. მხარეთა მითითებით, თავ-თავიანთი მიწის ნაკვეთების ღირებულება განისაზღვრა 36 500 ლარით.

7.1.5. შპს „მ-ი ს-ოს“ მიერ მოწყობილი იქნა თბილისი-კოჯორი-წალეა-ნ.წმინდა საავტომობილო გზის მე-... კილომეტრზე მდებარე კომპლექსთან მისასვლელი გზა და სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 123 589,98 ლარი. იმავე კომპლექსთან გზის მოსაწყობად №... ნაკვეთის სამხრეთი მხარის 3000 კვ.მ ფართის გამოყენების შემთხვევაში, სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 23 178 ლარი. განსხვავება 100 411,18 ლარი იყო.

7.1.6. 2012 წლის 25 აპრილის საკუთრების მოწმობის საფუძველზე, შპს „მ-ი ს-ო“ გახდა №... მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. აღნიშნული ნაკვეთის წინა ნომერია ....

7.1.7. გაზიარებულ იქნა აპელანტის მოსაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოების უსწორობის თაობაზე, 2012 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებით განსაზღვრული პირობა დადგა, თვითმმართველმა ერთეულმა გადასცა აპელანტს მიწა, რის გამოც აღარ არსებობდა მოპასუხის ვალდე-

ბულების შესრულების გადადების საფუძველი. ერთადერთი გარემოება, რითაც მოპასუხე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან თავის დაცვას ცდილობდა, გარიგებების იძულებით დადებაზე მოთითება იყო, რისი დადასტურების შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულება ვერ დაეკისრებოდა. აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად მოპასუხე შემდეგ გარემოებებზე მიუთითებდა: მოსარჩელემ არარეალურ ფასად და მოკლე დროში მიიღო თბილისის მერიისგან წ-ის ტერიტორიის დიდი ნაწილი; საკუთარი დამოუკიდებელი მისასვლელი გზის მოწყობის გამო გაჭრა ტყის მასივი; იგი სარგებლობს ხელისუფლების მხარდაჭერით; მოსარჩელეს არ ჰქონია სურვილი ნაკვეთების გაცვლისა, თუმცა ფსიქოლოგიური ზენოლის გამო, იძულებული გახდა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე; შპს-ს ნარმომადგენლები ახსენებდნენ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობის პირებთან ურთიერთობის არსებობას და ემუქრებოდნენ, რომ თუ გაცვლას არ დათანხმებოდა, მისთვის უარესი იქნებოდა, საკუთარი თავისთვის დაებრალებინა რაც მოუვიდოდა. ოჯახის ნევრებისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იგი დათანხმდა შეთანხმების გაფორმებას, არასოდეს სცოდნია, თუ რაში სჭირდებოდა მოპასუხეს მისი ნაკვეთი ან ზუსტად რომელი ნაკვეთის მიცემას აპირებდნენ სანაცვლოდ. მისი ნაკვეთი გაცილებით უკეთესია, ტყითაა შემოსაზღვრული, ხოლო შპს-ს მიერ გადასაცემი ნაკვეთი არის „ხრიოკ“ ადგილზე და მათ გაცვლაზე დათანხმება საღ აზრს მოკლებულია. ნაკვეთები აშკარად არ არის ტოლფასი, 15 ივნისს გაცვლილი ნაკვეთი 2007 ნელს მოსარჩელემ იყიდა 73000 ლარად, მაშინ, როცა გაცვლის ხელშეკრულებაში მითითებულია მისი ღირებულება – 36 500 ლარი. იმავე ტერიტორიაზე მოსარჩელეს ნაყიდი აქვს მიწის ნაკვეთი 1კვ. მეტრი 50 აშშ დოლარად.

7.1.8. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი ანიჭებს პირს უფლებას, მოითხოვოს გარიგების ბათილობა იმ შემთხვევაში, თუ მან, თავისი ნებისგან დამოუკიდებლად, იძულების (ძალადობა, მუქარა) შედეგად დადო გარიგება, შესაბამისად, თუკი პირი უთითებს მის იძულებაზე, ეს ნიშნავს, რომ იგი საეჭვოდ ხდის გარიგებისას მისა ნების თავისუფლებას და ეცილება გარიგებას სწორედ იმ საფუძვლით, რომ იგი არა თავისუფალი ნების გამოვლინების, არამედ, არამართლზომიერი ზემოქმედების შედეგად ფორმირებული (ნაკლიანი) ნების საფუძველზე დაიდო. კონკრეტულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორი მიუთითებდა ფსიქოლოგიურ იძულებაზე, რაც გამოიხატა კონტრაპენტის მხრიდან მისი და მისი

ოჯახის წევრების მიმართ სახელმწიფო იძულების მექანიზმის არამართლზომიერი გამოყენების მუქარაში. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა შეთანხმების გაფორმება. სასამართლოს განმარტებით, განხორციელდა თუ არა ამგვარი ზემოქმედება მხარის ნებაზე წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც უნდა დადგინდეს მხარეთა შეჯაბრებითობის საფუძველზე, მტკიცების ტვირთის მხარეთა ბიუროში შესაძლებლობების გათვალისწინებით განაწილების შედეგად.

7.1.9. იძულება, მუქარა, მით უფრო – ხელისუფლების მაღალ-ჩინოსანთა მხრიდან სახელმწიფო იძულების მექანიზმების არამართლზომიერად გამოყენების თაობაზე, იმგვარ ფაქტობრივ გარემოებას ნარმოადგენს, რომლის დადასტურება შესაძლოა ვერ მოხერხდეს ერთმნიშვნელოვნად ამის ამსახველი მტკიცებულებით. ამიტომ, თუ ასეთს აქვს ადგილი, შესაძლოა არ არსებობდნენ იძულების უშუალო მონმებები, რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები, რის გამოც მხარეს არ ექნება ობიექტური შესაძლებლობა მათი წარდგენის. შესაბამისად, ამ გარემოების დადგენისთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რამდენიმე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის არსებობა, სალი და ლოგიკური აზროვნების შედეგად გამორიცხავს შეცილებული გარიგების დადების შემთხვევებს. ამ მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ა) მხარეთა სოციალური, ეკონომიკური, ფიზიკური მდგომარეობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რომელი მხარეა ოფერნტი. კონკრეტულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, გარიგების მხარეს წარმოადგენს კომპანია, რომელიც დაინტერესებულია სოლიდური ინვესტიციის განხორციელებით წ-ის ტერიტორიაზე. მეორე მხრივ, გ. ჯ-ი წარმოადგენს წ-ის მკვიდრს, რომელსაც საკუთრებაში აქვს რამდენიმე ერთეული მიწის ნაკვეთი (ჯამში დაახლოებით 5 ჰექტარი). ამასთან, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და პრეზიდენტი დაინტერესებულია ინვესტიციის განხორციელებაში. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა ნორმატიულ ღირებულებაზე დაბალ ფასად გადაეცა მოსარჩევეს საკუთრებაში და განესაზღვრა 3 600 000 აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება. ამასთან, თავად პროექტი ითვალისწინებს გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობას, გზის, სარეკრეაციო ზონის და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობას. გ. ჯ-ს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების თაობაზე ინიციატივა არ გამოუთქვამს. მო-

სარჩელე წარმოადგენდა ხელშეკრულების დადების ინიციატორს (ოფერენტს), რომელიც, შეთავაზებული პირობის დადასტურების შემთხვევაში, მზად იყო შეესრულებინა იგი. შესაბამისად, ცალსახაა, რომ არსებობს ხელშეკრულების ინიციატორი ძლიერი მხარე, (ინვესტორი), რომელიც სარგებლობს სახელმწიფოს მხარდაჭერით, რომლის მიზანია სადაცო გარიგების გაფორმების შედეგად მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება, რაც უფრო დიდ ინტერესს – ინვესტიციის განხორციელებას და ამონაგების მიღებას უკავშირდება;

ბ) გარიგების მიმართ აქცეპტანტის ეკონომიკური ინტერესის არსებობა – რასაც მნიშვნელოვანი როლი უკავია მისი ნების ჩამოყალიბებაში. როდესაც ხელშეკრულების ძლიერი მხარე ოფერენტია, მასზე მოდის მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულების მიმართ კონტრაპენტს აქვს ინტერესი, რაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ უკანასკნელის ნების თავისუფლების დასადგენად, ხოლო, მეორე მხრივ, მის კეთილსინდისიერებას ადასტურება.

7.1.10. გაცვლა მოხდა ერთი და იმავე ტერიტორიულ ერთეულზე (თბილისი, ნ-ი) მდებარე თანაბარი ფართის ნაკვეთების, რაც იმის პრეზუმუციას ქმნის, რომ ნაკვეთების დირებულება თანაბარია. მოსარჩელე უთითებს იმ უდაცო გარემოებაზე, რომ მისთვის საინტერესო მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით იყიდება იმავე ფართის ნაკვეთების გადაცემასთან ერთად 4000 აშშ დოლარის ანაზღაურება, საიდანაც 2000 აშშ დოლარი მოპასუხეს მიღებული ჰქონდა, ხოლო 2000 აშშ დოლარს მიიღებდა გაცვლისთანავე. მოპასუხე კი, მიიჩნევს, რომ შემოთავაზებული ანაზღაურება არ აკომპენსირებს მინის ნაკვეთების რეალურ ღირებულებას, არც მის ინტერესს გარიგებისადმი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის საფუძველზე, მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. მითითება იმაზე, რომ მის საკუთრებაში არსებული მინის 1 კვ. მეტრის ღირებულება 50 დოლარს შეადგენს, არ დასტურდება. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვარის №... გადაწყვეტილების თანახმად, ნორმატიული ფასი ნ-ის ტერიტორიაზე სხვადასხვა ზონის მიხედვით ერთ კვადრატულ მეტრზე 8,26, მაქსიმუმ 30 ლარს შეადგენს. სასამართლოს განმარტებით, სავსებით შესაძლებელია მინის ნორმატიულ ფასსა და მის საბაზრო ღირებულებას შორის განსხვავების არსებობა, თუმცა მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი, კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილი არის. მოპასუხის მიერ მინის ნაკვეთის ღირებულების დასადას-

ტურებლად წარმოდგენილია ხელშეკრულებები ნასყიდობის შესახებ, თუმცა დასტურდება, რომ სადაცო მინის ნაკვეთების ღირებულება შესაძლოა მერყეობდეს 10 ლარიდან 50 დოლარამდე, ამასთან, საქმეში არ არის სპეციალური მტკიცებულება გასაცვლელი მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების დასტურად. იძულების დასტურად მხარე ასევე უთითებს საგამოძიებო ორგანოსადმი მიმართვაზე. საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციით, რომელიც გამოიხოვილი იქნა მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, დასტურდება, რომ შპს „მ-ი ს-ოს“ მიერ განხორციელებული იძულების და მუქარის ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა. ეს გარემოებები სასამართლომ გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნია.

7.1.11. ბეჭედის ბათილად ცნობის მოთხოვნა შეგებებული სარჩელის ავტორს პირველი ინსტანციის სასამართლოში საერთოდ არ დაუყენებია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში ამ მოთხოვნის დაყენებას გამორიცხავდა.

7.1.12. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, სოფელ წ-ში მდებარე 7101 კვ.მ №... მინის ნაკვეთის სამხრეთ ფერდობიდან 3038.92 კვ. მეტრის გამიჯვნა (წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად) და მასზე საკუთრების უფლების აღიარება.

7.1.13. სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 90-ე მუხლების საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 2011 წლის 2 სექტემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და უნდა აღიარობულიყო მოსარჩელის საკუთრების უფლება აღნიშნული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...; ფართობი 7101 კვ.მ) სამხრეთ ნაწილის 3000 კვ. მეტრზე.

7.1.14. რაც შეეხებოდა მოთხოვნას, წარმოდგენილი ნახაზით მინის ნაკვეთის გამიჯვნასა და მოსარჩელის საკუთრებად 3038 კვ. მეტრის აღიარების შესახებ, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია. ამ თვალსაზრისით სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლით და განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმებით, გ. ჯ-ის მიერ აქცეპტირებულ იქნა შემოთავაზება, რომ მის საკუთრებაში არსებულ 7301 კვ.მ №... მინის ნაკვეთს გაცვლიდა შპს „მ. ს-ოს“ საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის (ს/კ ...) ნაწილზე – 7301 კვ. მეტრზე. 2012 წლის 15 ივნისს გ. ჯ-მა ვალდებულება სრულად შეასრულა და გადასცა მოსარჩელეს 2 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინის ნაკვეთი და მიიღო სანაცვლო მინის ნაკვეთი. რაც შეეხებოდა სარჩელით მოთხოვნილ მინის ნაკვეთს, მასთან მი-

მართებით გ. ჯ-მა იკისრა ვალდებულება, მოსარჩელისთვის მისი კუთვნილი ქონების (მიწის ნაკვეთი 7101 კვ.მ.) ნაწილის – სამხრეთ მხარიდან დაახლოებით 3000 კვ.მ მიწის გადაცემის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაპამისად 3038,92 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე მხარები არ შეთანხმებულან, რაც მოთხოვნის დაქმაყოფილებას გამორიცხავდა. შეთანხმების ფარგლებში მოსარჩელე მოიპოვებდა სადაც მიწის ნაკვეთის სამხრეთით მდებარე დაახლოებით 3000 კვ. მეტრზე საკუთრების უფლებას, ხოლო მოპასუხე რჩებოდა ჩრდილოეთით მდებარე დაახლოებით 4101 კვ. მეტრის მესაკუთრედ. შედეგად, მხარეები, როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილეები (მათ აქვთ საერთო უფლება ერთ მთლიან ნივთზე), სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის საფუძველზე, სარგებლობენ საზიარო უფლების (თანასაკუთრების) გაუქმების შესაძლებლობით, თუ საზიარო საგნის დაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ თანასაკუთრების გაყოფა მის მიერ მოთხოვნილი წესით შესაძლებელია, მოსარჩელეს ეკისრებოდა. ნატურით გამიჯვნის მოთხოვნისას, სადაც მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლო, 963-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამონქმებს გაყოფის შედეგად მიღებული საგნების ერთგვაროვნებას და ღირებულებას, რაც გაყოფის შედეგად მიღებული საგნების (მიწის ნაკვეთების) ფუნქციური დანიშნულების და მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას, ასევე ინფრასტრუქტურულ მოწყობასაც ითვალისწინებს. მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რომ მოთხოვნილი ფორმით გაყოფის შედეგად ნაკვეთების ღირებულება (მათი გამოყენების შესაძლებლობა, მისასვლელ გზასთან კავშირი) შენარჩუნებული იქნება.

7.1.15. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე მსჯელობისას პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანი წარმოადგენდა მის მიერ გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის გადაუცემლობის გამო, ამ ნაკვეთზე გზის მოწყობის შეუძლებლობის და ალტერნატიული გზის მოწყობის შედეგად ამ უკანასკნელზე დასარჯულ თანხებსა და გაცვლის ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გაცვლილ ნაკვეთზე პროექტით გათვალისწინებული გზის მოწყობით სამუშაოებს შორის სხვაობას. მოპასუხე შესაგებლით უარყოფდა იმის ცოდნას, რომ მოსარჩელის ინტერესს მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის მიმართ

მისი გზის მოსაწყობად გამოყენება წარმოადგენდა. ზიანის ოდენობას მოსარჩელე ადასტურებდა შპს „გ-ს“ მიერ გაცემული ცხონბით, და ექსპერტიზის დასკვნით, რომელთა მიხედვით, შპს „მი ს-ოს“ მიერ მოწყობილ იქნა თბილისი-კოჯორი-წალკა-ნ.წმინდის საავტომობილო გზის მე-9 კილომეტრზე მდებარე კომპლექსთან მისასვლელი გზა, რომლის მოსაწყობად სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 123 589,98 ლარი. იმავე კომპლექსთან გზის მოსაწყობად №... ნაკვეთის სამხრეთი მხარის 3000 კვ.მ ფართის გამოყენების შემთხვევაში სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 23 178 ლარი. განსხვავება – 100 411,18 ლარი იყო. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა რა შეთანხმება ნაკვეთების შემოთავაზებული სახით დაყოფაზე, პალატის შეფასებით, ვერც ის გარემოება იქნებოდა მიჩნეული დადასტურებულად, რომ მოსარჩელის კუთვნილ (დაახლოებით 3000 კვ.მ) მინის ნაკვეთზე კომპლექსამდე მისასვლელი გზის მოწყობა იყო შესაძლებელი. წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა შპს „მი ს-ოს“ მიერ შემუშავებული პროექტის გათვალისწინებით სამუშაოთა შესრულების ღირებულების გამოთვლის შედეგად. 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმების ნაწილი არ ყოფილა გზის მოსაწყობად შპს-ს მიერ საჭიროდ მიჩნეული კონკრეტული აზიმვითი ნახაზით იდენტიფიცირებადი ტერიტორია, არამედ საუბარი იყო მხოლოდ სამხრეთ ნაწილზე სხვა საიდენტიფიკაციო რეკვიზიტის (როგორიცაა ნაკვეთის ფორმა, კონფიგურაცია, ზუსტი მდებარეობა) მითითების გარეშე. ამდენად, გაცვლის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობის მოპასუხის მიერ ნებაყოფლობითი შესრულების შემთხვევაშიც კი, მხარეებს წარმოეშობოდათ თანასაკუთრების უფლება 7101 კვ.მ მიზანზე და საზიარო უფლების გაუქმებამდე, მოსარჩელე ვერ შეძლებდა ამ ნაკვეთის ნაწილზე მოპასუხის ნების გარეშე რაიმე სამუშაოების წარმოებას, ვინაიდან საერთო უფლების მფლობელებს კანონი ანიჭებს საზიარო საგნის მხოლოდ ერთობლივი მართვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, წარმოდგენილი პრივატიზაციის ხელშეკრულებით, თვითმმართველ ერთეულთან შეთანხმებული პირობის მიხედვით, სადავო მინის ნაკვეთი (...) წარმოადგენდა გამაჯანსაღებელი კომპლექსის ასაშენებლად გათვალისწინებულ ნაკვეთს, თუმცა კომპლექსამდე მისასვლელი გზის მოსაწყობად განისაზღვრა სხვა ნაკვეთების (... და ...) გამოყენება (2012 წლის 21 მარტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები). საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ მხარეთა შეთანხმებისას გ. ჯ-ისთვის ცნობილი იყო შპს-ს მიერ შემუშავებული პროექტი, გასაცვლელი ნაკვეთის მიმართ

შპს „მ-ი ს-ოს“ ინტერესი, რომ ეს ნაკვეთი, შესაძლოა, გზის ნაკულები დანახარჯებით მოწყობისთვის გამოყენებულიყო. ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც გ. ჯ-ის ინფორმირებას დაადასტურებდა შექმნილი იყო შპს-ს მიერ სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ. მიუხედავად ალტერნატიული გზის მოწყობისა, მოსარჩევეს არ დაუკარგავს ინტერესი სადაც მიწის ნაკვეთის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მას ალტერნატიული გზის მოწყობა მხოლოდ გ.ჯ-ის მიერ ვალდებულების დარღვევის – მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობის გამო მოუწია, გზის სხვაგვარად მოწყობის შემთხვევაში იგი დაკარგავდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ინტერესს. ამ გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ ვერ იქნებოდა დადასტურებულად მიჩნეული მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების დარღვევასა და მოსარჩელისთვის მის მიერ შემუშავებული პროექტისგან განსხვავებით გზის მოწყობის გამო დამდგარ ქონებრივ დანაკლისს შორის უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა და არც მოთხოვნილი ზიანი შეიძლება ყოფილიყო მოპასუხისთვის წინასწარ სავარაუდო, სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 412-ე მუხლების თანახმად, არ არსებობდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

7.1.16. სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ ბეს სახით თანხის გადახდა, ერთი მხრივ, კრედიტორის (ბეს მიმცემის) მოთხოვნას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, თავად ხელშეკრულების დადებას ადასტურებს. მხარეთა შეთანხმება 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადასტურდა ბეს თანხის გადახდით, რაც გაცვლის საფასურის ნაწილი უნდა გამხდარიყო. 2011 წლის 2 აგვისტოს ხელშეკრულებით, 2000 აშშ დოლარი მოპასუხეს გადაეცა ბეს სახით, ხოლო 2000 აშშ დოლარი უნდა გადასცემოდა გაცვლის-თანავე. გადაცემული 2000 აშშ დოლარი, სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, უნდა ჩათვლილიყო გაცვლის ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეთა მიერ შეთანხმებულ გაცვლის საბოლოო თანხად. ეს პოზიცია სასამართლომ დაამყარა როგორც მოსარჩელის შესაგებელს, ისე მის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებას. პალატის დასკვნით, ვინაიდან, მოპასუხეს ეკისრება გაცვლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ადგილი არ აქვს ვალდებულების შეუსრულებლობას, რაც, სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ბეს ორმაგად დაბრუნების საფუძველი გახდებოდა.

## **8. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „მ. ჯ-მ“, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, №... მიწის სამხრეთ ფერდობიდან 3000 კვ. მეტრის გამიჯვნა, გ. ჯისათვის ზიანის – 100 411,18 ლარისა და ბეს თანხის ორმაგი ოდენობის – 4 000 აშ დოლარის დაკისრება, ასევე ყადაღის ძალაში დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-მაც, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმების, ასევე ამ შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული ყველა გარიგების: 2012 წლის 15 ივნისის ხელშეკრულებისა და ბეს ხელშეკრულების, როგორც იძულებით დადებულის ბათილად ცნობა, მესამე პირების ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და დავაში მესამე პირებად ა. ბ-ისა და რ. ქ-ისა ჩაბმა.

8.1. შპს „მ. ჯ-ს“ საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

8.1.1. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 327-ე მუხლები, არასწორად გამოიყენა ამავე კოდექსის 963-ე, 394-ე და 412-ე მუხლები.

8.1.2. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი ახალი აზომვითი ნახაზის შესაბამისად, 3000 კვ.მ ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. 2011 წლის შეთანხმებით მოწინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი იყო ამ ფართზე საკუთრების უფლების მოსარჩელისათვის გადაცემის თაობაზე, ხოლო ნაკვეთის დანარჩენი ნაწილი უნდა დარჩენოდა მას საკუთრებაში. ამ პირობებში სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე მითითება არარელევანტურია, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ამავე კოდექსის 317-ე მუხლით, ხოლო წარდგენილი ნახაზის შესაბამისად მინის გამიჯვნა ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენდა.

8.1.3. 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმების პირობების განმარტებისას სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლით, რადგანაც გ. ჯ-ისათვის ამ გარიგებით, ასევე ბეს ხელშეკრულების საფუძველზე ცნობილი იყო, რომ №... ნაკვეთის გადაცემა სახელმწიფოს მხრიდან კასატორისათვის მინის გადაცემის შემთხვევაში გახდებოდა საჭირო, ამდენად, სასამართლოს მიერ მითითებული პირობებით გარიგების თავდაპირელად დადგება არ იყო საჭირო, ამასთანავე, სწორედ გეოგრაფიული ნიშნულების გათვალისწინებით იყო იდენტიფიცირებული ცარიელი მინის ნაკვეთის საჭირო ტერი-

ტორია. საზიარო უფლების შემთხვევაშიც კი, მხარეს სადაც არ გაუხდია დაყოფის გზით მიწის ლირებულების შემცირება, შესაბამისად, ამ ლირებულების შენარჩუნების დამატებით და-დასტურების აუცილებლობა არ არსებობდა.

8.1.4. სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით შეაფასა საქმეში წარმოდგენილი შპს „გ-ს“ მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, ასევე კომპლექსთან მისასვლელი და შიდა გზების მოსაწყობად №... ნაკვეთის სამხრეთით მდებარე 3000 კვ.მ მიწის გამოყენების შემთხვევაში გზის მოწყობის ლირებულება, სწორედ პროექტით და ზემოხსენებული სხვა მტკიცებულებებითაა დადასტურებული ის, რომ სადაც მიწაზე შესაძლებელი იყო გზის მოწყობა. რაც შეეხება საინვესტიციო ხელშეკრულებაში მითითებულ გზის მოსაწყობად განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებს, საქმეში წარმოდგენილი ნახაზით დასტურდება, რომ №... მიწა შექრილია კომპანიის კუთვნილ მიწებში და მათ შორის მოქცეულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული №... და №... ნაკვეთები, შესაბამისად, გზის მოწყობისათვის საჭირო იყო სახელმწიფოს კუთვნილი მიწის გამოყენებაც, რასაც ითვალისწინებს საინვესტიციო ხელშეკრულება. არასწორია სასამართლოს მსჯელობა მოწინააღმდეგე შხარის არაინფორმირებულობის თაობაზეც, რადგანაც მშენებლობის დაწყებისას მისთვის ცნობილი გახდა მისი ნაკვეთის საჭიროების თაობაზე და სწორედ ამიტომ განიზრახა მან მიწის სარფიანად გასხვისება, გარდა აღნიშულისა, მას არაერთხელ განემარტა ამ გარემოების შესახებ (მათ შორის პირველი ნაკვეთის გაცვლისას), 2012 წლის 31 ოქტომბრის გაფრთხილება იყო ბოლო შეტყობინება, რის გამოც მხარმ ზუსტად იცოდა მისი უმოქმედობის შედეგების თაობაზე. 2012 წლის 13 ნოემბერს გამართული ადმინისტრაციული წარმოებისას მან უარი განაცხადა 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებაზე, რადგანაც აღარ სურდა მისი რეგისტრაცია. ეს გარემოება მითითებულია მოპასუხის შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელშიც. სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა გზის მოწყობის გამო გაცვლის ხელშეკრულების მიმართ იურიდიული ინტერესის თაობაზე, რადგანაც სადაც ნაკვეთი საინვესტიციო მიწას წარმოადგენს, ამასთანავე, აღტერნატიულ გზად გამოყენებული მიწა ასევე საჭიროებდა განვითარებას საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში, სასამართლოს დასკვნები კი ამ კუთხით კანონსაწინააღმდეგოა.

8.1.5. სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა სარჩე-

ლი ბეს თანხის ორმაგად დაბრუნების ნაწილში, რადგანაც სარჩელშივეა მითითებული, რომ მოპასუხემ 2011 წლის 2 სექტემბერს 2 000 აშშ დოლარი ბეს სახით იმ მიზნით მიიღო, რომ ჯეროვნად განახორციელებდა შეთანხმების პირობებს, ხელშეკრულების დამატებითი პირობების თანახმად, ის კიდევ 2 000 აშშ დოლარს მიიღებდა ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ეს გარემოება არც ერთი მხარის მიერ არ ყოფილა საქმის განხილვისას უარყოფილი.

#### 8.2. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

8.2.1. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი, არ გამოიყენა ამავე კოდექსის 86-ე მუხლი და იძულების ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 327-ე, 416-ე მუხლებით, ასევე პირობითი გარიგების მომწერიგებელი ნორმებით.

8.2.2. სასამართლომ გამოძიების დაუწყებლობის ფაქტზე დაყრდნობით არასწორად ჩათვალა იძულების არარსებობა, რადგანაც ეს გარემოება კიდევ ერთი დასტურია ხელისუფლების მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის მფარველობისა. ამასთანავე, არ შეაფასა წ-ის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, სადაც აღწერილია შპს „მ. ჯ-ს“ ძალადობრივი ქმედებები, განხორციელებული კასატორის მიმართ.

8.2.3. სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ გ. ჯ-ს ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მოუთხოვია. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლზე და განმარტა, რომ ვინაიდან მთლიანი ე.წ. „შეთანხმების“ ბათილობაა მოთხოვნილი, ეს ბეს ხელშეკრულებაზეც ვრცელდება. გარდა აღნიშნულისა, მოწინააღმდეგებების მხარემაც დაადასტურა, რომ ბეს სახით გადაიხადა არა 2 000, არამედ 1 000 აშშ დოლარი.

8.2.4. არასწორია სასამართლოს პოზიცია, რომ გარიგებით გათვალისწინებული პირობა დადგა, რაც ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოუმარბდა მხარეებს, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, შპს „მ. ჯ-მ“ იცოდა მერია რომ გადასცემდა მინას.

8.2.5. დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ კასატორის მიერ 3000 კვ.მ მინის გადაუცემლობის გამო გახდა იძულებული მოწინააღმდეგე მხარე, მოეწყო ალტერნატიული გზა, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ამასთანავე, მოწინააღმდეგე მხარეს გააჩნია 800 000 კვ.მ მინა და ახალი გზის მოწყობისათვის, მიუხედავად იმი-

სა, რომ არსებობდა ძველიც, გაიჩინა წ-ის მოსახლეობის მიერ ხელოვნურად გაშენებული ტყის საფარი.

8.2.6. სასამართლომ არასწორად განაცხადა უარი მესამე პირად ა. ბ-ის ჩაბმაზე, რადგანაც პალატას 2011 წლის 2 სექტემბერს ხელშეკრულების დადება სადავოდ გაუხდია, ა. ბ-ი კი, სწორედ ამ იძულებით დადებული ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს.

8.2.7. არასწორია სასამართლოს მოტივაცია გასაცვლელი ქონებების ღირებულებასთან დაკავშირებით, რადგანაც ამ კუთხით კასატორს წარდგენილი ჰქონდა მტკიცებულებები, რომ ღირებითაც დასტურდებოდა მის მიერ მიწის იმაზე ძვირად შეძენა, ვიდრე გაცვლის ხელშეკრულებაში მითითებული ღირებულებაა, ამასთანავე, კასატორის ნაკვეთის გვერდით მდებარე მიწა მოწინააღმდეგებ მხარემ 50 აშშ დოლარად (1 კვ.მ) შეიძინა.

8.2.8. კასატორმა იშუამდგომლა ა. ბ-ისა და რ. ქ-ის მესამე პირებად ჩაბმის თაობაზე, რადგანაც ა. ბ-ი იძულებით დადებული ხელშეკრულების მხარე და საქმის შედეგითა დაინტერესებული, ხოლო რ. ქ-ი კასატორის მეუღლეა და სადავო მიწაზე თანასაკუთრების უფლება გააჩნია, ამასთანავე, ეს პირები დაადასტურებენ იძულების ფაქტს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1. შპს „მ. ჯ-ს“ სასარჩელო მოთხოვნას 2011 წლის 2 სექტემბრის გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, გ. ჯ-ის კუთვნილი 7101.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) სამხრეთ ფერდობიდან 3038.92 კვ. მეტრის გამიჯვნა და ამ ნაწილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება, სანაცვლოდ 3000 კვ.მ ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: ...) მესაკუთრედ მოპასუხის ცნობა, ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო გ. ჯ-ისათვის ზიანის – 100411,18 ლარის დაკისრება და ბეს ორმაგად (4 000 აშშ დოლარი) დაბრუნება წარმოადგენს. მოპასუხე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას იმ საფუძვლით მოითხოვს, რომ მისთვის სადავო მიწის ნაკვეთის საჭიროება (დანიშნულება) უცნობი იყო, 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებიდან გამომდი-

ნარე ასევე უცნობი იყო, თუ რომელი მინის ნაკვეთი უნდა გა-დასცემოდა გაცვლის ხელშეკრულების შედეგად, შეთავაზებულ მინის ფასთან შედარებით მოპასუხის ნაკვეთი უფრო ძვირად ღირებულია, ამასთანავე, მოპასუხემ მიუთითა გარიგებების მუ-ქარით დადების ფაქტზე, რომელიც მან რეალურად აღიქვა. სწო-რედ ამ საფუძვლებიდან გამომდინარე აღძრა შეგებებული სარ-ჩელი გ. ჯ-მა და მოითხოვა მას და შპს „მ. ჯ-ს“ შორის გაფორმე-ბული 2011 წლის 2 სექტემბრისა და 2012 წლის 15 ივნისის გარი-გებების ბათილად ცნობა.

1.2. სააპელაციო პალატამ, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბით დაადგინა, რომ 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებით გათ-ვალისწინებული პირობა დადგა, რამაც ნარმოშვა გ. ჯ-ის ვალ-დებულება, გაეცვალა შეთანხმებული მინის ნაკვეთი, რის შე-დეგადაც პალატამ თავდაპირველ მოსარჩელეს მაკუთვნა მოთ-ხოვნილი მინის ნაკვეთის სამხრეთ ფერდობიდან 3000 კვ. მეტ-რი და იმ მოტივით, რომ 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებით მხარეებს უძრავი ქონების გამიჯვნა არ დაუდგენიათ, ისინი კა-ნონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილეებად მიიჩნია, რომელთა საზიარო უფლება ვრცელდებოდა №... ნაკ-ვეთზე. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ სარ-ჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალა ზიანის ანაზღაურებისა და ბეს თანხის ორმაგად დაბრუნების ნაწილში, ხოლო შეგებებული სარ-ჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო გ. ჯ-ის მხრიდან იძულების დამადასტურებელი მტკიცებულებე-ბის ნარდების შეუძლებლობა.

1.3. კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების დასკვნებს, რომლის თაობაზეც, როგორც ფაქტობრი-ვი, ისე სამართლებრივი პრეტენზია ნარმოადგინეს.

1.4. კასატორთა პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწ-მების მიზნით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის სწო-რად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, სასამართლომ გა-დადგას რამდენიმე პრაქტიკიული ნაბიჯი, კერძოდ, ვიდრე სა-სამართლო შეუდგებოდეს სარჩელსა და შესაგებელში მითითე-ბული გარემოებების დადგენასა და ამ გარემოებათა სუბსუმი-რებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან, სასამარ-თლომ უნდა გამოარკვიოს, სარჩელი ფორმალურ-სამართლებ-რივი თვალსაზრისით დასაბუთებულია თუ არა, კერძოდ, მითი-თებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვე-ვაში, დადგება თუ არა ის შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მო-სარჩელეს. მხოლოდ ამის შემდეგ ლირს მოპასუხის შესაგებელ-ში მითითებული გარემოებების შემოწმება.

1.5. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „მ. ჯ.“ №... ნაკვეთის სამხრეთ ფერდობიდან კონკრეტული მიწის ფართის გამიჯვნასა და მასზე საკუთრების უფლების აღიარებას ითხოვს მხარეთა შორის 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებაზე დაყრდნობით, შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის გასარკვევად უპირველესად უნდა დადგინდეს ამ შეთანხმების იურიდიული ბუნება, რათა სწორად განისაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობები.

1.6. შეთანხმების თანახმად, ქ.თბილისში, სოფელ წ-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 45000 კვ.მ №... მიწის ნაკვეთის მოსარჩელის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, 7301,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (იგულისხმება 45000 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან) გადაიცვლება ქ.თბილისში, სოფელ წ-ში მდებარე გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ ამავე მოცულობის №... ნაკვეთში, ასევე დაახლოებით 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაიცვლება მოპასუხის კუთვნილ ამავე მისამართზე მდებარე №... ნაკვეთის სამხრეთ ფერდობიდან დაახლოებით 3000 კვ.მ ნაკვეთში, ამდენად, მოცემული გარიგების შინაარსიდან ცალსასად დგინდება, რომ გარიგების დადების დროისათვის შპს „მისამართზე“ ჯერ კიდევ არ არის 45000 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ასევე, ბუნებრივია, არ არის გამიჯნული გ. ჯ-ისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთები, გასამიჯნია ასევე გ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული №... მიწის ნაკვეთიდან რაღაც მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 3000 კვ.მ).

1.7. სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (წინარე ხელშეკრულება). ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში,

იგი ბათილად ჩაითვლება. ამდენად, წინარე ხელშეკრულება კონტრაპირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე, ანუ წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელებზე, ვიდრე კრედიტორს გარიგების საგნის მიმართ ნამდვილი ინტერესი გააჩნია, მოთხოვნად ხელშეკრულების დადების დავალდებულება შეიძლება გვევლინებოდეს. მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. იმისათვის რათა წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონტრაპირების იძულება ლეგიტიმურად (იურიდიული ძალის მქონედ) ჩაითვალოს, სავალდებულოა, თავად ამ წინარე ხელშეკრულებიდან ირკვეოდეს მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი, ანუ ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად წინარე ხელშეკრულების განსაზღვრულობა შეიძლება დაედოს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა მთავარ ინტერესს გაცვლის ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა, უნდა შეფასდეს 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმება შეიცავს თუ არა გასაცვლელი ქონებების ამომწურავ ჩამონათვალს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, სადაც შეთახმება ბუნდოვანია, ვინაიდან არ დგინდება, თუ რა ნივთები უნდა გაეცვალათ მხარეებს. როგორც მოპასუხე შესაგებელში სამართლიანად განმარტავს, მისთვის უცნობი იყო, თუ რომელი ნაკვეთების გადაცემას აპირებდა შეს „მ. ჯ.“.

1.8. სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება დაუკავშირეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 45000 კვ.მ №... მიწის ნაკვეთის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემას. საქმეში წარმოადგენილი საჯარო რეესტრის ამონანერების შესაბამისად, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 2 მარტის №... წერილის საფუძვლზე ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 45000 კვ.მ მიწა დაიყო 20001 კვ.მ №... (ნაკვეთის წინა ნომერი ...) და 24999 კვ.მ №... (ნაკვეთის წინა ნომერი ...) ნაკვეთებად. №... ნაკვეთს, რომელიც ქ.თბილისის მერიის სსიპ ქ-

ნების მართვის სააგენტოს საკუთრების დამადასტურებელი №... მოწმობის საფუძველზე შპს „მ-ი ს-ოს“ საკუთრებას წარმოადგენდა, გამოეყო 7301 კვ.მ მიწა და მიენიჭა საკადასტრო კოდი №... 2012 წლის 15 ივნისის გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე, 7301 კვ.მ №... მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ №... მიწის ნაკვეთი მოსარჩელემ გადასცა გ. ჯ-ს. №... ნაკვეთს ასევე გამოეყო 3000 კვ.მ №... მიწის ნაკვეთი. სწორედ ამ უკანასკნელი ნაკვეთის სანაცვლოდ ითხოვს მოსარჩელე გ. ჯ-ის კუთვნილი 7101 კვ.მ №... მინიდან სამხრეთ ფერდობზე არსებული ნაწილის გამოყოფას და ამ ნაწილზე შპს „მ. ჯ-ს“ საკუთრების უფლების აღიარებას.

1.9. მოპასუხის შესაგებელი ამ უკანასკნელი ქონებების გაცვლის ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ წინარე ხელშეკრულებაში არსებით პირობებზე შეუთანხმებლობას ეფუძნება, გ. ჯ-ის განმარტებით, მისთვის უცნობი იყო №... მიწის ნაკვეთის სამხრეთ ფერდობის სანაცვლოდ რომელი მიწის ნაკვეთი უნდა მიეღო მას საკუთრებაში, მოსარჩელის მიერ შეთავაზებული №... ნაკვეთი კი, არ წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების საგანს, რადგანაც გარიგების დადებისას ეს ნაკვეთი არ არსებობდა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე დააქმაყოფილა შპს „მ. ჯ-ს“ სარჩელი, რომ სათანადოდ არ შეუფასებია მითითებული გარემოებები, რომლებიც დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. ამდენად, განსახილველი დავისათვის გადამწყვეტია იმის სწორად დადგენა, თუ რამდენად აქვს მოსარჩელეს უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის დაყენების უფლება იმ პირობებში, როდესაც დავა წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და მისი პირობები მოკლებულია განსაზღვრულობას.

1.10. საკასაციო პალატის შეფასებით, წინააღმდეგობრივია გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლო შპს „მ. ჯ-ს“ აკუთვნებს №... მიწის სამხრეთ ფერდობიდან 3000 კვ. მეტრს და იმავდროულად ადგენს, რომ მხარეები გამიჯვნის კონკრეტულ პირობებზე არ შეთანხმებულან, რის გამოც ისინი სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტებად, ნივთზე საერთო უფლების მქონედ მიიჩნევიან. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებულ დასკვნას და თვლის, რომ სახეზეა სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა.

1.11. შპს „მ. ჯ.“ ასევე მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას,

რომელიც მხარემ დაუკავშირა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, რაც გამოიხატა №... მიწის ნაკვეთის ნაწილის გაცვლაზე უარის თქმაში. სარჩელის თანახმად, სადაც ვო ნაკვეთი შპს „მ. ჯ-ს“ გზის მოსაწყობად ესაჭიროებოდა, რის თაობაზეც ცნობილი იყო გ. ჯ-ისათვის. გაცვლის ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო, მოსარჩელე იძულებული გახდა მოეწყო აღტერნატიული გზა, რომლის ხარჯმა 101 411,18 ლარით მეტი შეადგინა, ვიდრე მოპასუხის ნაკვეთის გამოყენების შემთხვევაში იქნებოდა საჭირო.

1.12. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე უარი სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 412-ე მუხლებით დაასაბუთა და დაადგინა, რომ, ერთი მხრივ, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი მოვალისათვის არ იყო წინასწარ სავარაუდო, ხოლო, მეორე მხრივ, კრედიტორმა ვერ დაამტკიცა ზიანის მიყენების ფაქტი. შპს „მ. ჯ.“ არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია კანონი, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და არასწორად იხელმძღვანელა მატერიალური სამართლის ნორმებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს წარმოდგენილი პრეტენზიების საფუძვლიანობა ვიდრე ძირითადი ვალდებულების კუთხით არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

1.13. სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, მხარებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებით გაითვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტებლო, ბე და მოვალის გარანტია. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების პრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

1.14. განსახილველ შემთხვევაში, გ. ჯ-ის მიერ 2011 წლის 2 სექტემბრის შეთანხმების შესაბამისად, №... მიწის ნაკვეთის სამხრეთ ფერდობიდან კონკრეტული ნაკვეთის გაცვლაზე უარის თქმის გამო, შპს „მ. ჯ.“ მოითხოვს მოპასუხისათვის ბეს ორმაგად დაბრუნების დავალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით განსაზღვრულია ბეს სამართლებრივი დანიშნულება და დადგენილია, რომ ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. უდა-

ვოა, რომ მხარეთა შორის გაფორმდა ბეს ხელშეკრულება, თუმცა 423-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული შედეგის მიღწევისათვის, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს 2011 წლის 2 სექტემბრის გარიგების მხარეები შეთანხმდნენ თუ არა არსებით პირობებზე, რაც სამომავლოდ გაცვლის თაობაზე ხელშეკრულების დადების დავალდებულებას გამოიწვევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ბეს ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, გაცვლის პირობებზე მხარეთა შეთანხმების დადასტურებად არ შეიძლება ჩაითვალოს, რაც იურიდიულ საფუძველს აცლის ბეს სახით გადაცემული თანხის ორმაგად დაპრუნების მოთხოვნას.

1.15. როგორც ზემოთ აღინიშნა, შეგებებული სარჩელი ძირითადად იმ ფაქტობრივ დასაბუთებას ემყარებოდა, რომ სადაც გარიგებები არა გ. ჯ-ის თავისუფალი ნების გამოვლენით დაიდო, არამედ, ადგილი ჰქონდა იძულებას, კერძოდ, მოსარჩელეს არ ჰქონია ნაკვეთების გაცვლის სურვილი, თუმცა, ფინანსოლოგიური ზეწოლის გამო, იძულებული გახდა ხელი მოქმერა შეთანხმებაზე; მოწინააღმდეგ მხარე სარგებლობდა ხელისუფლების ნარმომადგენელთა მხარდაჭერით, შპს „მ. ჯ-ს“ წარმომადგენლები ახსენებდნენ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობის პირებთან ურთიერთობის ფაქტს და ემუქრებოდნენ, რომ თუ გაცვლას არ დათანხმებოდა, მისთვის უარესი იქნებოდა; ოჯახის წევრებისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით შეგებებული სარჩელის ავტორი დაეთანხმა გარიგებებს. გარდა მუქარისა, გ. ჯ-მა მიუთითა ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ არარეალურ ფასად და მოკლე დროში ქ.თბილისის მერიისაგან წ-ის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიღების ფაქტზე, საკუთარი დამოუკიდებელი მისასვლელი გზის მოწყობის გამო ტყის მასივის გაჭრასა და გასაცვლელი ნაკვეთების ღირებულების არატოლფასოვნებაზე.

1.16. იძულებით დადებული გარიგების სამართლებრივი რეგულაცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებში, რომელთა თანახმადაც გარიგების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს იმგვარი ზემოქმედება კონტრაპენტის ნებაზე, რომელიც თავის აშკარა თუ რეალური ხასიათიდან გამომდინარე სასამართლოს მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელი იყო ნების თავისუფალი ფორმირება. თავის მხრივ, კანონმდებელი ითვალისწინებს რიგ სუბიექტურ ფაქტორებსაც, როგორიცაა, მაგალითად, პირის ასაკი, სქესი და სხვა და ამგვარად ფორმირებული ნების შედეგად დადებული ხელშეკრულება ნაკლის მქონე იმგვარ საცილო გარიგებათა რიგს მიეკუთვნება,

რომლის ძალაში ყოფნაც უფლების მქონე პირის შეცილებაზეა დამოკიდებული, თუმცა, სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის, ბუნებრივია, მხოლოდ შეცილება არა საკმარისი. შეცილების უფლების მქონე კონტრაპენტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება, როგორც ფაქტების მითითების, ისე მათი სარწმუნოდ დადასტურების ტვირთი.

1.17. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს იძულების დამტკიცებებისათვის არაპირდაპირი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე, თუმცა, როგორც სამართლიანად განმარტა სააპელაციო პალატამ, შეგებებული სარჩელის ავტორს არ წარუდგენია იმგვარი მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის შედეგად სასამართლოს გაუჩნდებოდა დასაბუთებული ვარაუდი გ. ჯ-ის ნების გამოვლენის შეზღუდვის თვალსაზრისით. 2011 წლის 2 სექტემბრისა და 2012 წლის 15 ივნისის ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, არ მიუთითებია იმ მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმის დარღვევაზე, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა. სააპელაციო სასამართლომ კი, მართებულად აღნიშნა, რომ გ. ჯ-ის მიერ წარდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებებით დგინდებოდა მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი სოფელ წ-ში შეიძლება 10 ლარიდან 50 აშშ დოლარამდე მერყეობდეს. უშუალოდ გ. ჯ-ის კუთვნილი ნაკვეთის საბაზრო ფასი რაიმე სათანადო მტკიცებულებით არ არის განსაზღვრული, ხოლო ქ.თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №... განკარგულებით მიწის ნორმატიული ფასი წ-ის ტერიტორიაზე 8,26 ლარიდან 30 ლარამდე მერყეობს. სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას ვერ გააქარწყლებს კასატორის მითითება წ-ის მაცხოვრებელთა ერთობლივ განცხადებზე. რაც შეეხება გ. ჯ-ის მტკიცებას, რომ საგამოძიებო ორგანოს მხრიდან გამოძიების დაწყებაზე უარის თქმა სწორედ იძულების ფაქტს ადასტურებს, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მხრიდან, რადგანაც სააპელაციო სასამართლოს მიერ ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებიდან გამოთხვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ იძულებისა და მუქარის ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არატოლფასი ღირებულების მქონე ქონებების გაცვლის ფაქტის დადასტურება შეიძლება ზიანის ანგარიშში კომპენსაციის მოთხოვ-

ნის საფუძველი გახდეს. ამდენად, საკასაციო პრეტენზიათა ფარგლებში, საქმეში არსებული მტკიცებულებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად შესწავლით ხელშეკრულების დადებისას შეგებებული სარჩელის ავტორის ნებაზე ზემოქმედების ფაქტი არ დასტურდება, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების წინაპირობაა.

1.18. სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეთა შორის გაფორმებული წინარე ხელშეკრულება არ აღმოჩნდება სამართლებრივი ძალის მქონე, ეს გაცვლენას ვერ იქნიებს 2012 წლის 15 ივნისის გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რადგანაც გაცვლის ხელშეკრულების დადება და მისი სამართლებრივი შედეგების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ამ გარიგების, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმების ვარაუდის საფუძველს ქმნის.

1.19. პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორ გ. ჯ-ის შუამდგომლობას მესამე პირების საქმეში ჩაბმის, ასევე სააპელაციო პალატის მიერ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის არასწორად გაცხადების შესახებ და განმარტავს, რომ საკასაციო სამართალწარმოების მარეგულირებელი თავის არც ერთი დებულება საქმის საკასაციო წესით განხილვის ეტაპზე მესამე პირის ჩაბმის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, მესამე პირის საქმის განხილვაში ჩაბმაზე უარი, მისი ინტერესების დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლოა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი გახდეს (სსსკ 394-ე მუხლი) და არა საქმის საკასაციო წესით განხილვისას მათი მოწვევის. საკასაციო სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ დებულებას, რომლის თანახმადაც, ამ ინსტანციის სასამართლოს შეფასების საგანი საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებები, მათ შორის მხარეთა ახსნა-განმარტებები შეიძლება იყოს იმგვარად, რომ ახალი გარემოებების მითითებას, საკასაციო სამართალწარმოების ბუნებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოს დასკვნებს, რ. ქ-ისა და ა. ბ-ის საქმის განხილვაში მესამე პირის სტატუსით მოწვევაზე უარის თქმის შესახებ, პალატა მას დასაბუთებულად მიიჩნევს, კერძოდ, სააპელაციო პალატამ ა. ბ-ის მიმართ განმარტა, რომ დავა მის ქონებრივ უფლებებზე გავლენას ვერ იქნიებს, რაც შეეხებოდა აპელანტის

მეუღლის – რ. ქ-ის დავაში ჩაბმას, მეუღლეთა შორის სამომავ-ლოდ დავის შესაძლო წარმოშობა მესამე პირად მის დაშვებას ვერ განაპირობებდა. უსაფუძვლოა საკასაციო საჩივარში მითი-თებული გარემოება, რომ ა. ბ-ი, რომელიც ასევე იძულებით და-დებული გარიგების მხარეა, დაინტერესებულია საქმის შედე-გით და დაადასტურებს იძულების ფაქტს, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, ა. ბ-მა გარიგება დამოუკიდებელ მინის ნაკვეთზე გააფორმა, შესაბამისად, მას უფლება აქვს დამოუკიდებელი დავის ფარგლებში განაცხადოს პრეტენზია გარიგების იმ ნაწილზე, რომელიც ა. ბ-ის ქონებას შეეხება, ხოლო რ. ქ-თან მიმართებით, პალატა განმარტავს, რომ მეუღლეთა ფაქტობრივი თანასაკუთრების პირობებში (კასატო-რი უთითებს, რომ ქონება შეძენილია მეუღლეთა თანაცხოვე-ბის პერიოდში) რ. ქ-ი სადავო გარიგებების მხარეს არ წარმოად-გენდა, რამდენადაც უძრავი ქონება, საჯარო რეესტრის მონა-ცემებით, გ. ჯ-ის საკუთრებად ირიცხებოდა, რ. ქ-ს წილზე პრე-ტენზის არსებობა არ დაუდასტურებია და გ. ჯ-ის მიერ დადე-ბულ გარიგებას ამ კუთხით არ შედაგებია, შესაბამისად, არ არ-სებობს კასატორის პრეტენზის გაზიარების წინაპირობები.

1.20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თა-ნახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარ-ჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამარ-თლოზე დაუშვებელია. საქმეში წარმოდგენილი სარჩელის თა-ნახმად, შპს „მ-მა ს-ომ“ (უფლებამონაცვლე შპს „მ. ჯ.“) ვალდე-ბულების დარღვევით გამოწვეული ზიანის სახით მოითხოვა 100 411,18 ლარის გ. ჯ-ისათვის დაკისრება, რაც პირველი ინსტან-ციის სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით არ დაქმაყოფილდა. სააპელაციო საჩივრით მოსარჩელემ შეამ-ცირა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მოითხოვა მოპასუხისათვის 94 420 ლარის დაკისრება (რაც მხარის სსსკ-ის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებაა), ხოლო წარმოდგენი-ლი საკასაციო საჩივრით შპს „მ. ჯ-ა“ ზიანის სახით კვლავ 100 411,18 ლარის ანაზღაურებას მოითხოვს, ამდენად, მან საკასა-ციო სასამართლში მოთხოვნა 5 991,18 ლარით გაზარდა, რაც დაუშვებელია.

1.21. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ასევე გ. ჯ-ის პრეტენზიას ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვ-ნის ნაწილში და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოე-ბებზე: შეგებებული სარჩელის თანახმად, გ. ჯ-მა მოითხოვა მას და მოწინააღმდეგე მხარეს შორის 2011 წლის 2 სექტემბერს, ასევე 2012 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების,

როგორც იძულებით დადებული გარიგებების, ბათილად ცნობა, შეგებებულ სარჩელში მითითებულია ასევე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა არც თავად მოთხოვნის და არც შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი დასაბუთების ნაწილში გ. ჯ-ს ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლებზე არ მიუთითებია, შეგებებული სარჩელის ავტორის წარმომადგენელმა მხოლოდ 2013 წლის 3 აპრილის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმარტა, რომ იძულების ფაქტი ფართოდ უნდა განმარტებულყო და მოიცავდა ბეს ხელშეკრულებასაც, ხოლო წარდგენილ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში შეგებებული სარჩელის ავტორმა უკვე ჩამოაყალიბა მოთხოვნა ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

1.22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების მარეგულირებელი ნორმები ადგენს მოსარჩელის უფლებას, შეცვალოს სარჩელის საფუძველი და საგანი, ასევე გაადიდოს მოთხოვნა, თუმცა ეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. მოცემულ შემთხვევაში, ეს წესი დარღვეულია, რაც შეეხება ზემდგომ სასამართლოებში მოთხოვნის გაზრდას, აღნიშნული იმპერატიულადაა აკრძალული საპროცესო კოდექსის 381-ე და 406-ე მუხლებით.

1.23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 372-ე მუხლების თანახმად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოებში საქმის განხილვის მარეგულირებელი იმ ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ზემდგომი წესით საქმის განხილვის წესებს. ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის

272-ე და 275-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გაზრდილი პრეტენზიების ნაწილში შპს „მ. ჯ-სა“ და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები განუხილველად უნდა იქნას დატოვებული.

1.24. როგორც უკვე განიმარტა, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილითაა განსაზღვრული და მხოლოდ გადაწყვეტილებებსა და სასამართლო სხდომათა ოქმებში ასახული გარემოებებით შემოიფარგლება, რაც შეეხება ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუნდაც საპატიო მიზეზით მათი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში წარუდგენლობის შემთხვევაში, საკასაციო პალატა მოკლებულია სრულ შესაძლებლობას, შეაფასოს ისინი, შესაბამისად, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ შპს „მ. ჯ-ს“ უნდა დაუპრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 4 ფურცლად, ხოლო გ. ჯ-ს – საკასაციო საჩივარზე დართული განჩინების ასლი 2 ფურცლად, ასევე 2014 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაზე დართული მტკიცებულებები – გამოკითხვის ოქმები 3 ფურცლად.

1.25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვებულად აპრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობების არსებობა, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს

და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

2.2. რაც შეეხება გაზრდილი საკასაციო პრეტენზიების ნაწილში განუხილველად დატოვებული მოთხოვნების შესაბამისად გადახდილ ბაჟს, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განუხილველად დატოვებული მოთხოვნის პროპორციულად შპს „მ. ჯ-ს“ უნდა დაუბრუნდეს 229,559 (ორას ოცდაცხრა ლარი და 0,559 თეთრი) ლარი, ხოლო გ. ჯ-ს – 177,32 ლარი (სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროისათვის ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „მ. ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, გარდა სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტისა, და გაუქმებულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმთა პალატის 2014 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება გ. ჯ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი) დარჩეს უცვლელად.

5. შპს „მ. ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი თანხიდან – 100 411,18 ლარიდან 5 991,18 ლარის ნაწილში (გაზრდილი საკასაციო პრეტენზია) დარჩეს განუხილველად.

6. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ბეჭედშე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში დარჩეს განუხილველად, ხოლო მესამე პირების საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ საა-

პელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების, ასევე ა. ბ-ისა და რ. ქ-ის დავაში მესამე პირებად ჩაბმის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

7. შპს „მ. ჯ-ს“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს 229,559 ლარი (04.06.2014წ. №... და 04.06.2014წ. №... საგადახდო დავალებები, გადამხდელი – კ. ჯ-ი, გადახდილი თანხა – 5 020,55 ლარი, 353,82 ლარი).

8. გ. ჯ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... დაუბრუნდეს 177,32 ლარი (09.06.2014წ. №... საგადახდო დავალება, გადამხდელი – გ. ჯ-ი, გადახდილი თანხა – 1 825 ლარი).

9. შპს „მ. ჯ-ს“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 4 (ოთხი) ფურცლად, ხოლო გ. ჯ-ს – საკასაციო საჩივარზე დართული განჩინების ასლი 2 (ორი) ფურცლად, ასევე 2014 წლის 2 ოქტომბრის განცხადებაზე დართული მტკიცებულებები – გამოკითხვის ოქმები 3 ფურცლად.

10. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. ხელშეკრულებიდან გასვლა

### გადაცყველება საქართველოს სახელი

№ას-779-746-2014

30 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა, რესტიტუცია

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ფ-მ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში ბ. ტ-ის წინა-აღმდეგ სარჩელი აღმრა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გას-ვლისა და ნასყიდობის საგნის დაბრუნების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „ფ-ა“ 1994 წელს დაფუძნდა. 2006 წელს შპს „ფ-ას“ 50%-იანი შეიძინა ჯ. მ-მ. ამ პერიოდის-თვის შპს „ფ-ა“ საკმაოდ შემოსავლიანი საწარმო იყო, მის სა-კუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პუ-რის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ.თბილისში, გ-ს ქ. № 113-თან მდებარე მიწის ნაკვეთი. ბ. კ-ე და ჯ. მ-ე შეთან-ხმდნენ, რომ საწესდებო კაპიტალში 1000 ლარიანი შენატანის გარდა, ახალ პარტნიორს უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა შპს „ფ-ში“ პარტნიორობისა და შემდგომი შემოსავლის მიღების სანაცვლოდ. ჯ. მ-მ 2006 წელს შპს „ფ-ას“ „დირექტორს და პარ-ტნიორ ბ. კ-ს გადასცა 16000 აშშ დოლარი. იმავე წელს შპს „ფ-მ“ დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება. 2010 წლის შემოდგომა-ზე, გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ფ-ს“ საქმიანობა შეჩერდა, ხოლო ჯ. მ-ე ვერ ახერხებდა მის მიერ ჩადებული ინვესტიციე-ბიდან შემოსავლის მიღებას, მან მოითხოვა შპს „ფ-დან“ გას-ვლა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მხარისთვის შე-თავაზებულ იქნა პირობა, რომ თუ გამოჩნდებოდა მსურველი, ვინც შეიძენდა შპს „ფ-ს“ 50%-იან წილს, ამ შემთხვევაში, პირ-ველ რიგში დაკმაყოფილდებოდა ჯ. მ-ე, დაუბრუნდებოდა მის მიერ შეტანილი თანხა - 16000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხა დარჩებოდა შპს „ფ-ში“. ჯ. მ-თვის მისაღები აღმოჩნდა პირობა და თავისი წილის შესასყიდად მოიყვანა დისტანციული – ბ. ტ-ე. ბ. ტ-ე თანახმა იყო, შეეძინა შპს „ფ-ს“ 50%-იანი წილი, მაგ-

რამ დამატებით მოითხოვა, რომ მის სახელზე აღრიცხულიყო შპს „ფ-ს“ კუთვნილი უძრავი ქონების 1/2. 2010 წლის 23 დეკემბერს სანოტარო ბიუროში მხარეებს შორის შედგა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც შპს „ფ-ს“ დირექტორმა ბ. კ-მ ბ. ტ-ს მიჰყიდა შპს „ფ-ს“ კუთვნილი უძრავი ქონების S ნაწილი. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე მყიდველს უნდა გადაეხადა უძრავი ქონების ფასი – 50 000 ლარი, რაც არ შესრულებულა. იმავე დღეს მოპასუხის სახელზე გაფორმდა შპს „ფ-ს“ 50%-იანი წილი. შეთანხმებებისა და შემდგომში დადებული ხელშეკრულებების მიზანი იყო, რომ ხელი შეეწყოთ შპს „ფ-ს“ საქმიანობის აღდგენასა და მის შემდგომი ფუნქციონირებისათვის, მაგრამ ბ. ტ-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა დღემდე არ გადაუხდია.

მოპასუხებ ბ. ტ-მ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები შესრულებული ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ფ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ფ-ა“ ცნობილი იქნა ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ.თბილისში, გ-ს ქ. №113-თან მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩინორა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ბ. ტ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ფ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე უდავოდ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „ფ-სა“ და ბ. ტ-ს შორის 2010 წლის 23 დეკემბერს დაიდო უძრავი წივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ფ-მ“ ბ. ტ-ს მიჰყიდა შპს „ფ-ს“ კუთვნილი, ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ.თბილისში, გ-ს ქ. №113-თან მდებარე უძრავი ქონების S ნაწილი;

2. ნასყიდობის საგნის ფასი განისაზღვრა – 50 000 ლარით, რომელიც ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე მყიდველს უნდა გადაეხადა გამყიდველისათვის;

3. საქმეში წარმოდგენილი, საჯარო რეესტრის 19.09.2013 წლის ამონანერის მიხედვით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ.თბილისში, გ-ს ქუჩა №113-თან მდებარე უძრავი ქონების S ნაწილი აღრიცხულია ბ. ტ-ს სახელზე, ხოლო 1/2 ნაწილი – ნ. კ-ის სახელზე;

4. შპს „ფ-ს“ პარტნიორ ჯ. მ-სა და ბ. ტ-ს შორის 2010 წლის 23 დეკემბერს დაიდო სამერარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის გასხვისების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, შპს „ფ-ს“ პარტნიორმა ჯ. მ-ბ. ტ-ს მიჰყიდა შპს „ფ-ში“ თავისი კუთვნილი 50%-იანი წილი. ნასყიდობის საგნის ნომინალური ღირებულება 1000 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადაცონა ნასყიდობის ფასის გადახდის საკითხი. სადაცონობის შემთხვევაში, ნასყიდობის ფასის გადახდის შესახებ ფაქტობრივი გარემოება მოვალემ (მყიდველმა) უნდა დაადასტუროს. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხადა და ამით ვალდებულება შეწყდა. სამოქალაქო კოდექსი ანგარიშს უწევს მოვალის მდგომარეობას და მას უფლებას ანიჭებს, კრედიტორისაგან შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვოს. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ სადაცონ გარიგება ორმხრივია და თითოეული მხარე მეორე მხარის მიმართ კრედიტორიცაა და მოვალეც, აღნიშნული წესი ვრცელდება გარიგების ორივე მხარის მიმართ, ამასთან, რადგანაც ნივთის გადაცემის ფაქტი უდავოა, თანხის გადახდის მტკიცების ტვირთი, მთლიანად მოპასუხეს უნდა დაეკისროს.

ამ განმარტების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ 2010 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა – 50 000 ლარი მოპასუხე ბ. ტ-ს არ გადაუხდია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ბ. ტ-მ, როგორც მყიდველმა, არ შეასრულა ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულება, ეს ფაქტი არ არის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი 2010 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულების მოშლისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთის უკან დაბრუნების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ორმხრივი ხელ-შეკრულების მოშლა შეიძლება, განხორციელდეს ამ ხელშეკრუ-ლების მოქმედების პერიოდში და იმ მომენტამდე, სანამ ორ-მხრივი ხელშეკრულების მხარეები ამ ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე ურთიერთობობოვნებს ერთმანეთის მიმართ ინარ-ჩუნებები. იმისათვის, რომ ხელშეკრულება მოიშალოს და წარ-მოიშვას უკან განხორციელებული შესრულების უკან დაბრუ-ნების (ნატურით) ვალდებულება, აუცილებელია ორმხრივი ვალ-დებულების არსებობა, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხა-რეს ერთმანეთის მიმართ ერთდღოულად გააჩნიათ უფლებებიც და მოვალეობებიც. პალატის მოსაზრებით, სწორედ ამით აიხ-სნება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის ფუნქციაც, რო-მელიც ძირითადად მიმართულია არა შესრულების შედეგად მი-ლებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულე-ბის შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე. პალატის მოსაზ-რებით, თუკი ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულების ბოლომდე შე-ასრულებს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მის მი-ერ ნაკისრ ვალდებულებას კონტრაპენტის მიმართ და ამ შეს-რულებით დადგება ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებუ-ლი შედეგი, მიიღწევა ხელშეკრულების სამართლებრივი მიზა-ნი და ფაქტობრივად ამოიწურება ამ ხელშეკრულების მოქმე-დების ვადა, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევი კონტრაპენტის მიერ დარჩენილ ვალდებულების შეუსრულებ-ლობა შეიძლება გახდეს ვალდებულების შემსრულებელი მხა-რის მხრიდან ვალდებულების შესრულების შესახებ, ასევე ვალ-დებულების ვადაში შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის აზაზლაურების შესახებ მოთხოვნის და არა ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, მხარეთა შორის 2010 წლის 23 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით გაფორმებუ-ლი უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა იმ დროისათვის, როდესაც ერთი მხარის მიერ სრულად შესრულე-ბულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და, ფაქტობრივად, უკვე მიღებულია სამართლებრივი შედეგი, არ არის მართლზომიერი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ფ-მ“ სა-კასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთე-ბით: მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გასვლას მოითხოვდა, სა-აპელაციო სასამართლომ კი, ხელშეკრულების მოშლაზე იმსჯე-ლა. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი სამოქალაქო კოდექ-

სის სრულიად სხვა ნორმებით წესრიგდება. სააპელაციო სასა-მართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნასყიდობის ფასი გადახდილი არ არის. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი მხარეს უფლებას აძლევს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამატებით დაწესებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, კასატორი კი, სამი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა მოპასუხისაგან ნასყიდობის ფასის მიღებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მოშლისათვის აუცილებელია ორმხრივი ვალდებულების არსებობა. სააპელაციო სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც, მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გასვლას მოითხოვდა, ეს ორი ინსტიტუტი კი, ერთმანეთისაგან სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით განსხვავდება. ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნებატიურია, ვინაიდან ფალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად ხდება. ხელშეკრულების მოშლისას მხარეებს არ აქვთ უკვე შესრულებულის უკან დაბრუნების უფლება. ხელშეკრულებიდან გასვლისას კი, რესტიტუცია უნდა მოხდეს, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ვალდებულება დათქმულ დროს უნდა შესრულდეს. შპს „ფ-სათვის“ ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანი იყო თავის დროზე, როცა საზოგადოება ფინანსურ სიძნელებს განიცდიდა, ხოლო ამჟამად ხელშეკრულებამ კრედიტორისათვის ინტერესი დაკარგდა. მართალია, ბ. ტ-მ ქონება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა, მაგრამ იგი არ ფლობს სადაც ქონებას და მისგან შემოსავალს არ იღებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ფ-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე: შპს „ფ-სა“ და ბ. ტ-ს შორის 2010 წლის 23 დეკემბერს დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ფ-მ“ ბ. ტ-ს მიჰყიდა შპს „ფ-ს“ კუთვნილი, ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის / ქ. თბილისში, გ-ს ქ. №113-თან მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილი. ნასყიდობის ფასი, 50 000 ლარი, მოპასუხეს არ გადაუხდია, რის გამოც, მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გასვლას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას,

რომ სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთისაგან არ განასხვავა-  
ვა ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის  
ინსტიტუტები.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად, თუ ხელ-  
შეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინე-  
ბული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულება-  
ზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბ-  
რუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ორმხრივი ხელ-  
შეკრულების მოშლა შეიძლება განხორციელდეს ამ ხელშეკრუ-  
ლების მოქმედების პერიოდში და იმ მომენტამდე, სანამ ორ-  
მხრივი ხელშეკრულების მხარეები ამ ხელშეკრულებიდან გა-  
მომდინარე ურთიერთმოთხოვნებს ერთმანეთის მიმართ ინარ-  
ჩუნებენ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კერძო  
სამართალი იცნობს გრძელვადიან და მოკლევადიან ხელშეკ-  
რულებებს. არ არის აუცილებელი, ორმხრივი ხელშეკრულება  
გრძელვადიანი იყოს. სახელშეკრულებო ურთიერთობის გრძელ-  
ვადიანობა დროში მოქმედებაზე არ მიუთითებს, არამედ მრა-  
ვალჯერადი შესრულების ვალდებულებაზე. გრძელვადიანი სა-  
ხელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში მხარეებს გან-  
გრძობითად წარმოეშობათ გარკვეული ვალდებულებები ისე,  
რომ შესასრულებელი ვალდებულების შინაარსობრივი ფარგლე-  
ბი წინასწარ არ არის განსაზღვრული, ამასთან, მრავალჯერადი  
შესრულება არ გულისხმობს წანილ-წანილ შესრულებას.  
გრძელვადიანი ხელშეკრულების მაგალითია ქირავნობა, იჯა-  
რა, დაზღვევა, ასევე შრომის ხელშეკრულება. წინადობის ხელ-  
შეკრულება, რომელიც ორმხრივ წინასწარგანსაზღვრულ ერ-  
თჯერად შესრულებას გულისხმობს (წივთის გადაცემა ფასის  
გადახდის სანაცვლოდ) არ არის გრძელვადიანი სახელშეკრუ-  
ლებო ურთიერთობა და მასზე არ ვრცელდება ამ ტიპის ვალდე-  
ბულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული თავისებურებე-  
ბი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ხელშეკრულე-  
ბის მოშლის ინსტიტუტი მიმართულია არა შესრულების შედე-  
გად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკ-  
რულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე, მართებუ-  
ლია მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობე-  
ბის მიმართ, რადგან მოკლევადიან ხელშეკრულებებზე მოშლის  
ინსტიტუტი არ ვრცელდება. ხელშეკრულების მოშლა გათვა-  
ლისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით, რომე-

ლიც მხოლოდ გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს შეეხება. ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სსკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლები, ანუ, ხელშეკრულებიდან გასვლის მომწერიგებელი ნორმები, მაგრამ განმარტა ხელშეკრულების მოშლა და სწორედ ამ აღრევის შედეგად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივ გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებლობა, ამდენად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

როგორც საკასაციო სასამართლომ უკვე განმარტა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია, მაგრამ ცალკე შეფასების საგანია, მოცემულ საქმეზე მოსარჩელეს აქვს თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება და შესაძლებელია თუ არა, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნების შესრულებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სწორედ ეს ორი ვალდებულებაა ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებისათვის პირველადი ინტერესის საგანი.

განსახილველ შემთხვევაში, დარღვეულია ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნა – შემძენს არ გადაუხდია ნასყიდობის ფასი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ნასყიდობის ფასის გადახდა მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა სათანადო მტკიცებულებებით. თავად ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის თანხა გადახდილი არ იყო. იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ პ. ტ-ემ ნივთის საფასური შემდგომში გადაიხადა, საქმეში წარმოდგენილი არ არის. ხელშეკრულების თანახმად, შემძენს ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე უნდა გადაეხადა, ამდენად, შესრულების ვადის დარღვევა სახეზე.

ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნის დარღვევა წარმოშობს მეორად მოთხოვნებს, ამასთან სავალდებულო წინაპირობაა ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით ვადის დაწესება.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშდეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ნათელია, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულების დარღვევა კრედიტორს შემდგომში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას უკარგავს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, მოვალისათვის შესრულების დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. მო-

სარჩელე ზოგადად მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დადებიდან სამ წელზე მეტია გასული, ფასი კი, კვლავ არ არის გადახდილი, მაგრამ არსად მიუთითებს, რამე მოქმედება განხორციელდა თუ არა თანხის მისაღებად. მხარე მიუთითებს ჯ. მ-ს მოქმედებებზე, რომელიც შპს „ფ-ს“ წილის დაომობის საფასურის მიღებას ცდილობს, ამდენად, ნასყიდობასთან კავშირი არ აქვს და არ ადასტურებს შპს „ფ-ს“ მიერ დამატებით ვადის განსაზღვრას ან მოვალის გაფრთხილებას.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საფუძვლიანობა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის.

აღნიშნული ნორმის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ ამპარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება.

მოცემულ შემთხვევაში, შემძენის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა იყო 2010 წლის 23 დეკემბერი – ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების თარიღი. ვალდებულების შესრულების ვადა რამდენიმე წლის წინ ამოინურა, თანხა ვადახდილი არ არის, ამასთან მოპასუხე დავალიანებას უარყოფს, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ვადის დაწესება უშედეგოა, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ უძრავი ქონების გასხვისებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა: მიღებული თანხით საზოგადოებას უნდა გაესტუმრებინა ჯ. მ-ე, დარჩენილი თანხა კი, საზოგადოების საქმიანობის აღდგენის მოხმარდებოდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს აზრით, კრედიტორისათვის ვალდებულების დროულ შესრულებას ჰქონდა მნიშვნელობა. ამჟამად კი, როგორც კასატორი მიუთითებს, შპს „ფ-მ“ ფინანსური სირთულეები დაძლია და შესრულებამ ინტერესი დაკარგა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ამდენად, სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხა-

რის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სარჩელი სრულად კმაყოფილდება, ბ. ტ-მ შპს „ფ-ს“ პირველ და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 4000 ლარი, უნდა აუნაზღაუროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი თ ა:**

1. შპს „ფ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
  2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
  3. შპს „ფ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი ..... ) სარჩელი დაკმაყოფილდეს;
  4. 2010 წლის 23 დეკემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად შპს „ფ-ს“ ბ. ტ-საგან (პ/ნ ..... ) ნატურით დაუბრუნდეს ნასყიდობის საგანი - ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ.თბილისში, გ-ს ქ. №113-თან მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ..... ) 1/2 ნაწილი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერებში;
  5. ბ. ტ-ს დაეკისროს შპს „ფ-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ პირველ და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 4000 ლარის, ანაზღაურება;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

#### გადახყველება საქართველოს სახელი

№ას-649-615-2015

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩოს ოდენობის გადაანგარიშება

#### აღნერილობითი ნაწილი:

- ზ-ო მ-ი (შემდეგში: მოსარჩელე, გარდაცვლილი, დაზარალებული) სს „ს-ს რ-ს“ (შემდეგში: „მოპასუხე, დამსაქმებელი ან კასატორი“) საწარმო ფილიალის ხაშურის სალოკომოტივო დეპოში მუშაობდა ელმავლის მემანქანის თანაშემწედ.
- მოსარჩელემ 1988 წლის 25 მაისს წარმოებაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, მიიღო საწარმოო ტრავმა და დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 100%-ით.

3. აღნიშვნულის გამო მოპასუხე მოსარჩელეს 1989 წლიდან უხდიდა სარჩოს, რაც წლების მანძილზე ელმავლის მემანქანის თანაშემწის ხელფასს მატებასთან ერთად იზრდებოდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში დაზარალებული ყოველთვიურად იღებდა სარჩოს – 379,19 ლარს, რომელიც არ შეესაბამებოდა მითითებულ პერიოდში მემანქანის თანაშემწის გაზრდილი ხელფასის ოდენობას.

4. მოსარჩელემ მოსთხოვა მოპასუხეს, ეცნობებინა, თუ რას შეადგენდა ელმავლის თანაშემწის ხელფასი და მისი ცვალებადობა ბოლო სამი წლის განმავლობაში. მოპასუხემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

5. დაზარალებულმა სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა: 2010 წლის სექტემბრიდან – 550,15 ლარის, 2011 წლის 1 მარტიდან – 750 ლარის, 2012 წლის 30 მარტიდან – 800 ლარის, ხოლო 2012 წლის 1 დეკემბრიდან – 1000 ლარის დაკისრება.

6. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესა-

გებელი (არ ცნო სარჩელი) და მიუთითა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ დებულებებზე.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით დაზარალებულის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად სარჩოს 1000 ლარისა და ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის – 15 700 ლარის გადახდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სარჩელში მითითებული გარემოებები და დავის მოსახლესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 992-ე, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და 411-ე მუხლი.

8. მოპასუხებ საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მან გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

8.1 სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა მოსარჩელის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გამონვეული იყო თუ არა მოპასუხის ბრალით;

8.2 სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები არ აწესრიგებენ სარჩოს გადაანგარიშების წესს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ პირველი მუხლის მეორე ნაწილი არეგულირებს მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესს და არა პროფესიული დაავადების გამო დანიშნული სარჩოს ანაზღაურების საკითხს.

8.3 აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის პირველი ნაწილი არ ეხება უკვე დანიშნული სარჩოს ანაზღაურებას, არამედ ეს ნორმა ვრცელდება 2007 წლის 24 მარტიდან, ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. მოსარჩელეს 1998 წლიდან დანიშნული აქცის ყოველთვიური სარჩო იმ დროს არსებული მემანქანის საშუალო ხელფასიდან და სამართლებრივი საფუძველი, უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებისა, არ არსებობდა. სარჩოს

გადაანგარიშება განისაზღვრებოდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვწების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მიხედვით, რომლის მე-12 პუნქტში, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 11 სექტემბრის №443 ბრძანებულებით, შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, 2003 წლის 11 სექტემბრიდან სარჩო, შრომის ანაზღაურება გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარება, ხოლო შემდგომ, დასახელებული მე-12 პუნქტი, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის №923 ბრძანებულებით ამოღებულ იქნა.

8.4 პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე მუხლი, აღნიშნული ნორმა ვრცელდება სახელშეკრულებო ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც არ შეიძლება გავრცელდეს ჯანმრთელობისათვის ენების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურებაზე.

9. მოსარჩევე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, 2013 წლის 16 ოქტომბერს, გარდაიცვალა.

10. თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის საოქმო განჩინებით, მოპასუხისათვის ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის, 15 700 ლარის, დაკისრების ნაწილში, დაზარალებულის უფლებამონაცვლების ცნობილ იქნა გ-ლ მ-ი (შემდეგში: უფლებამონაცვლე ან მოწინააღმდეგე მხარე).

11. პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგი სსკ-ის, 92-ე, 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, ყოველთვიური სარჩოს, 1000 ლარის, მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა დაუშვებლად მიიჩნია.

12. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 10 თებერვლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის, 15700 ლარის, დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დააკმაყოფილა, ხოლო ყოველთვიური სარჩოს – 1000 ლარის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით) დაკისრების ნაწილში საქმისნარმოება შეწყდა. პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი

**ფაქტობრივი გარემოებები.**

13. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე და 992-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაწესზე მითითებით დაასკვნა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

14. სააპელაციო საჩივრის საფუძვლებთან დაკავშირებით პალატამ განმარტა შემდეგი:

14.1. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება არ ითვალისწინებს სარჩოს გაანგარიშებას, თუმცა, თავად ზიანის ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსი, სწორედ, დაზარალებულის კომპენსირებაში მდგომარეობს, მხედველობაშია მისაღები ის შემოსავალი, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის მიყენებამდე ორგანიზაციაში მუშაობისას და ამის შემდგომი პერიოდი, როდესაც, შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვეღარ ახერხებს მუშაობას და მას უკვე არ აქვს უნარი, მიიღოს შემოსავალი ხელფასის სახით. აღნიშნულის შესაბამისად, სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ იმდენი ხელფასი წარმოადგენს, რასაც დაზარალებული იღებდა დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე შრომის უნარის დაკარგვის ხარისხთან შეფარდებით;

14.2. პალატამ მიიჩნია, რომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, პირს ზიანის ანაზღაურება შეიძლება, დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები: ზიანი, ზიანის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენების ფაქტი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი ნორმის ყველა წინაპირობა არსებობდა, მოპასუხე არამართლზომიერად არ ახორციელებდა მოსარჩელის სარჩოს ოდენობის გადაანგარიშებას ელმავლის მემანქანის თანაშემწის გაზრდილი ხელფასის გათვალისწინებით და მოსარჩელე არასრულად იღებდა მისაღებ სარჩოს, რითაც მას მიადგა ზიანი.

15. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის

განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

15.1. სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის პირველი მუხლის პირველი ხანილი, რადგანაც აღნიშნული ნორმა ეხება არა უკვე დანიშნული სარჩოს ანაზღაურებას, არამედ იგი ვრცელდება 2007 წლის 24 მარტიდან ორგანიზაციაში დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს 1998 წლიდან დანიშნული ჰქონდა ყოველთვიურად სარჩო იმ დროს არსებული მემანქანის საშუალო ხელფასიდან და სამართლებრივი საფუძველი უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებისა, არ არსებობდა.

15.2. სასამართლოს მითითება სსკ-ის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე არასწორია; აღნიშნული ნორმა ვრცელდება სახელშეკრულებო ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე. მისი მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურებაზე, რადგანაც ამავე მუხლის მეორე ნაწილი სპეციალური ნორმაა, რომელიც შეეხება ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ყოველთვიურ სარჩოს გადახდით, ხოლო მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმა, რის საფუძველზეც ითხოვს დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას, ამას არ ითვალისწინებს.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივრი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და, 408-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლო-

ბას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებულ ნაწილში გან-  
ჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში  
სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე:

17. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2  
ნაწილის მიხედვით, საპეტაციო სასამართლოს მიერ დამტკი-  
ცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა  
საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის და-  
საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ  
შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო სწორად დაადგინა  
საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სამართლებრივად არ  
დაასაბუთა თავისი დასკვნა მოსარჩელის უფლებამონაცვლის  
სასარგებლოდ თანხის დაკისრების თაობაზე. დასაბუთება იმ-  
დენად არასრულია, რომ შეუძლებელია განჩინების სამართლებ-  
რივი საფუძვლიანობის შემოწმება, რითაც დარღვეულია სსსკ-  
ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

17.1. დადგენილია, რომ გარდაცვლილი დასაქმებული იყო  
საკანიგზო დარგში, კერძოდ, მოპასუხისადმი დაქვემდებარე-  
ბულ სანარმო ფილიალის ხაშურის სალოკომოტივო დეპოში ელ-  
მავლის მემანქანის თანაშემწედ. მან, 1988 წლის 25 მაისს წარ-  
მოებაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს,  
უბედური შემთხვევის შედეგად, მიიღო საწარმოო ტრავმა და  
დაკარგა პროფესიული შრომის უნარი 100%-ით. საქართველოს  
შრომის კანონთა კოდექსის [1973 წლის რედაქცია] 139-ე მუხ-  
ლის თანახმად, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზ-  
რუნველყოფა ეკისრებოდა დამსაქმებელს, ანუ მოპასუხეს. ის  
ვალდებული იყო, დასაქმებული უზრუნველეყო ჯანმრთელო-  
ბისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. და-  
საქმების ცალკეულ ადგილებში, მათ შორის: საკანიგზო დარ-  
გშიც, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დასაქმებულთა  
ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის ცალკეული  
ლონისძიების გატარებას, ამიტომ, სანარმოო ტრავმის შედე-  
გად დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების  
დროს, სანარმოს ბრალი პრეზიდენტის მიერ დასაქმებული იყო. ამ პრეზუმცი-  
ის გაქარწყლების ტვირთი კი, მოპასუხეს ეკისრებოდა, შესაბა-  
მისად, კასატორის არგუმენტი, რომ მას მოსარჩელის ჯანმრთე-  
ლობისათვის ვნების მიყენებაში ბრალი არ მიუძღვის, სამარ-  
თლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც საქმეში არ არსებობს  
ბრალის არსებობის ვარაუდის უარმყოფელი კანონით დასაშვე-  
ბი მტკიცებულება.

17.2. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო კასატორის ყუ-  
რადღებას მიაქცევს იმაზეც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში

დავის საგანია არა სარჩოს დაწესება და შესაბამისად, ამ მოთხოვნის წინაპირობების განხორციელების შემოწმება, არამედ, უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება. საწარმოს ბრალეულობის საკითხი უნდა განხილულიყო სარჩოს დაწესებისას და არა უკვე დაწესებული სარჩოს გადაანგარიშებისას. 1989 წელს დაწესებული სარჩოს სამართლებრივ საფუძველს ეკ, წარმოადგენდა იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 155-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სწორედ დამსაქმებელი აგებდა პასუხს მიყენებული ზიანისათვის [„საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან მუშებისა და მოსამასახურებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მათი დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვწებით.“].

17.3. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსახრებას სსკ-ის 408-ე მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ამ ნორმის პირველი ნაწილი ზიანის ნატურით ანაზღაურების პრინციპს [საწყისი მდგომარეობის აღდგენა] ამკვიდრებს და მოთხოვნის სხვა დამფუძნებელ ნორმებთან ერთად გამოიყენება, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო სამართალში. რაც შეეხება ნორმის მეორე ნაწილს, რომელიც გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ, ეს ნორმა სპეციალურად ადგენს სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვწების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესს. კანონმდებლის ასეთი ყურადღება განპირობებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლებების, სამართლებრივი დაცვის მაღალი სტანდარტების არსებობის აუცილებლობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ უფლებების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელშეკრულებო ურთიერთობების გარეშეც. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სარჩოს გადაანგარიშება გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, რამდენადაც ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების, პროფესიული დაავადების არარსებობისა და შრომის უნარის შენარჩუნების პირობებში, იგი მიიღებდა გაზრდილ ხელფასს, ანუ გამოიკვეთა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით [სსკ-ის 411-ე მუხლი], რომელიც კასატორისათვის წინასწარ იყო საფარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოწვევი უმოქმედობის უშუალო შედეგს (სათანადო ზომების მიუღებლობა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად) [სსკ-

ის 412-ე მუხლი]. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მუშავია მიიღო სხეულის დაზიანება სანარმოო ტრავმის შედეგად და მას წაერთვა პროფესიული შრომის უნარი 80%-ით, სამუდამოდ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობა, პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას. ამასთან, სარჩოს მიღების უფლება წარმოადგენს პირის შესაძლებლობას, აუნაზღაურდეს ზიანი, რაც მიიღო სანარმოო ტრავმის სახით. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა სანარმოო ტრავმის არასებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ, სანარმოო ტრავმის მიღების გამო, მოსარჩელებმ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმომას საფუძვლიან და გონივრულ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ სანარმოო ტრავმის მიუღებლობის შემთხვევაში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და იგი მიიღებდა გაზრდილ ხელფასს“. იხ.საქმე №ას-1033-991-2014, 20.10.2014.

რაც შეეხება, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულებების გამოყენებას, რომელიც ძალადაკარგულია 2013 წლის 1 მარტიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით, სააპელაციო სასამართლომ ამ დადგენილებაზე ყურადღება გაამახვილა მხოლოდ იმიტომ, რომ კასატორი მოთხოვნის გამომრიცხავ შესაგებელში ეყრდნობოდა მის დებულებებს და სწორად აღნიშნა, რომ ამ დავის მოსანერიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილყო სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

17.4. დადგენილია, რომ მოსარჩელე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, 2013 წლის 16 ოქტომბერს, გარდაიცვალა. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, სსსკ-ის 92-ე, 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, ყოველთვიური სარჩოს მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა დაუშვებლად მიიჩნია (ამ ნაწილში მიღებული განჩინება გასაჩივრებული არ არის).

17.5. მართალია, სასამართლომ 2015 წლის 10 თებერვლის სა-

ოქმო განჩინებით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მოპასუხისათვის ერთობლივი მიუღებელი სარჩის სხვაობის, 15 700 ლარის, დაკისრების ნაწილში მონინააღმდეგე მხარე ცნო, მაგრამ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არ დაასაბუთა უფლებამონაცვლის სასარგებლოდ თანხის დაკისრება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა კანონის საფუძველზე მოთხოვნის უფლების გადასვლისა და სამეცვიდრეო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები.

17.6. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, სახელდობრ:

ა) მოსარჩელის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა 2013 წლის 16 ოქტომბერს [სსკ-ის 1319-1320-ე მუხლები].

ბ) სამკვიდრო მასაში სხვა ქონებასთან ერთად შედიოდა მოპასუხისაგან ერთობლივი მიუღებელი სარჩის სხვაობის, 15 700 ლარის, მოთხოვნის უფლებაც [სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება].

გ) უფლებამონაცვლე გარდაცვლილის შვილია და, შესაბამისად, მისი კანონისმიერი (პირველი რიგის) მემკვიდრეა [სსკ-ის 1336-ე მუხლი]

დ) მან კანონით დადგენილ ვადაში მიიღო სამკვიდრო და, შესაბამისად, ნოტარიუსმა 2014 წლის 25 ივლისს გასცა სამკვიდრო მოწმობა [სსკ-ის 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და 1499-ე მუხლი].

17.7. ამრიგად, ადგილი აქვს კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლას უფლებამონაცვლეზე. დადგენილია, რომ 2013 წლის 16 ოქტომბრისათვის მოპასუხის დავალიანება მოსარჩელის ნინაშე მიუღებელი სარჩის სხვაობის სახით შეადგენდა 15 700 ლარს. ამასთან, არ არსებობს ამ მოთხოვნის უფლებამონაცვლეზე გადასვლის გამომრიცხავი გარემოებები [სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის („სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებ-

ლის, როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის") და 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების ("მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსაცემდები მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ") საფუძველზე, მოპასუხე გალდებულია, გარდაცვლილის უფლებამონაცვლეს გადაუხადოს ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობა 15 700 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე, 411-ე, 243-244-ე, 248-249-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს-ს რ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ-ო მ-ის (უფლებამონაცვლე გ-ლ მ-ს) სარჩელი სს „ს-ს რ-ის“ ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის, 15 700 ლარის (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო განაკვეთის გათვალისწინებით) დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს;
4. სს „ს-ს რ-ას“ ზ-ო მ-ის (უფლებამონაცვლე გ-ლ მ-ს) სასარგებლოდ დაეკისროს ერთობლივი მიუღებელი სარჩოს სხვაობის – 15 700 ლარის გადახდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო განაკვეთის გათვალისწინებით;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

## გადაცყველება საქართველოს სახელით

№ას-459-438-2015

7 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

**აღნერილობითი ნაწილი:**

**2. სასამართლო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:**

2.1 შპს „M-მა“ სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ბ.-ი პ.-ას“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარის, „ბეს“ ორმაგი ოდენობით – 20,000 აშშ დოლარის, ზიანის სახით, მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 118,575 აშშ დოლარის (წელიწადში 22,950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1912.5 აშშ დოლარი), პირგასასამტებლოს – 41,310 აშშ დოლარისა და იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით) 2010 წლის იანვრიდან სარჩელის აღდვრის მომენტისათვის, კერძოდ, 384,000 აშშ დოლარის და გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში – 8,000 აშშ დოლარის გადახდა.

2.2 სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 30.04.2008წ.-ს მხარეებს შორის გაფორმდა „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზე შპს „ბ.-ი პ.-ას“ მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქ.ბ-ში, ჭ.-ის ქ. №5-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170მ<sup>2</sup>) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ძირითადი ხელშეკრულება.

ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მყიდველს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამყიდველისათვის „ბეს“ სახით უნდა გადაეხადა 10,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რაც ჩაითვლებოდა ნასყიდობის საგნის საფასურში, ხოლო დარჩენილი თანხა – 449,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადახდილიყო შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: 24,000 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 მაისისა; 52,250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 ივნისისა; 52,250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 აგვისტოს; 52250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 სექტემბრისა. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 25 ივლისისათვის.

2.3 მოსარჩევემ აღნიშნა, რომ მშენებარე ფართის ღირებულება – 459,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი სრულად გადაიხადა. მოპასუხებ კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობა არ დასრულა, 2010 წელს მშენებლობის დასრულების შემდგომაც მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აშენებული ფართი არ გადასცა და მოსარჩევეს არც მშენებლობის დასრულების შესახებ შეატყობინა, რითაც დაარღვია „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის მე-3 ნანილისა და მე-10 მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩელის მითითებით, „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ დადებისას, №S1/5-170 კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ-ის, ისე, ბ-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ლერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სართულების დონეზე – ლია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მასასიათებელს და მოსარჩელის მხრიდან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების მთავარ ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ ფართში მოსარჩევეს დაგეგმილი ჰქონდა ერთ-ერთი ბრენდის – „K-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკულუზიური პრესტიული ობიექტის მოწყობა. მოპასუხებ №S1/5-170 კომერციული ფართის ფაქტობრივა მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე და ამ უკანასკნელის ინტერესების საზიანოდ გააუქმა აგრეთვე, საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე იქ მოპასუხის მიერ დამატებითი კო-

მერციული ფართების მოწყობით, რითაც №S1/5-170 კომერციულმა ფართმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება, პოტენციურ მომხმარებელს შეეზღუდა ობიექტში თავისუფლად მოხვედრის, გამოფენილი ნიმუშების დათვალიერების შესაძლებლობა და სარეკლამო სივრცე. ნასყიდობის წინარეხებული №S1/5-170 კომერციული ფართი დღეს მდგომარეობით მდებარეობს გასართობი ცენტრის სარგებლობაში არსებულ ერთიან ფართში და არ შეესაბამება „უძრავი ქონების წინარეხ ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულს. მოპასუხის მიერ განხორციელებული გადაკეთების შედეგად, მოსარჩელეს მოესპო შეძენილი კომერციული ფართის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა (კომპანია „K-მ“ შეწყვიტა ხელშეკრულება მოსარჩელესთან).

მოსარჩელემ განმარტა, რომ მშენებარე ფართის ღირებულებას იხდიდა სს „პ. ბანკიდან“ კრედიტის სახით მიღებული თანხით. კრედიტის მიღებისათვის პროცენტის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა 61,310 აშშ დოლარი.

2.4 ამასთან, მოსარჩელის მითითებით, მან ვერ მიიღო 459,000 აშშ დოლარის სარგებელი, რასაც მიიღებდა მინიმალური წლიური 5%-იანი საბანკო პროცენტის სახით 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე და წელიწადში შეადგენს 22,950 აშშ დოლარს, ხოლო სარჩელის სასამართლოში შეტანის მომენტისათვის – 118,575 აშშ დოლარს.

2.5 აგრეთვე, მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხებ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც, „ბეს“ სახით გადახდილი 10,000 აშშ დოლარი ორმაგად უნდა დაუბრუნოს

2.6 პირვასამტებლოს სახით, მოსარჩელემ მოითხოვა 459,000 აშშ დოლარის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, 90 დღის განმავლობაში, რაც ჯამში, 41,310 აშშ დოლარია.

2.7 აგრეთვე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხებ ვლოდ გამდიდრდა 384,000 აშშ დოლარით. სახელდობრ, 2010 წლის იანვრიდან მოპასუხებ სხვადასხვა სუბიექტებზე, მათ შორის, უცხო ფირმებზე (ინდოელებზე) აქირავებდა ფართს, ამჟამად კი, ფართი გრძელვადიანი იჯარით გადაცემული აქვს შპს „ნ-სა და შ-ზე“. პირველ ეტაპზე, საიჯარო თანხა შეადგენდა თვეში 8,000 აშშ დოლარს, შემდგომში ზრდის პერსპექტივით.

### 3. მოპასუხის პოზიცია:

3.1 მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ კომპლექსი „ბ-ი პ-ა“ შედგებოდა ე.ნ. კომერციული და საცხოვრებელი

ბლოკებისაგან. მხარეთა შორის გაფორმებული „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულება“ შეეხებოდა კომერციულ ბლოკში განთავსებულ უძრავ ქონებას. კომერციულ ბლოკში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში – 25.07.2009წ-, ხოლო კომპლექსის შიდა სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები დასრულდა 2010წ-ს და ამავე წელს შევიდა ექსპლუატაციაში კომერციული ბლოკი. ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია არა მშენებლობის დასრულების შესახებ მყიდველისათვის ინფორმაციის მიწოდება, არამედ, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების შესახებ მზაობის დაფიქსირება.

3.2 მოპასუხის მითითებით, მოსარჩელისათვის, ისევე, როგორც წებისმიერი სხვა მშენებარე კომპლექსში უძრავი ქონების შემძენისათვის, ცნობილი იყო სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და მისი დასრულების შესახებ. მისთვის ცნობილი იყო მოპასუხის მზადყოფნაც, დადებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება ჯერ კიდევ, 2011წ-ის დასაწყისიდან. მიუხედავად მოსარჩელის არა ერთი გაფრთხილებისა, გაფორმებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, მოსარჩელე თავიდანვე ცდილობდა, თავი აერიდებინა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

3.3 მოპასუხებ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ყოველთვის ცდილობდა წერილებში დაეფიქსირებინა არარსებული ფაქტები. ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში მოსარჩელისათვის გადასაცემი უძრავი ქონება სრულად შეესაბამებოდა, როგორც წასუიდობის წინარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით, ისე, პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.4 მოპასუხის მითითებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ითვალისწინებდა არა ხელშეკრულების შეწყვეტამდე უძრავი ქონების მდგომარეობას, არამედ მის ექსპერტიზის ჩატარების მომენტისათვის (14.07.2013წ.) არსებულ მდგომარეობას. მხარეებს შორის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება შეწყდა სწორედ მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

3.5 მოპასუხებ მიიჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან არ ირკვევოდა სესხის სწორედ კომპლექს „ბ-ი პ-აში“ არსებული უძრავი ქონების შესაძენად გაცემის ფაქტი. ამასთან, როგორც წესი, უძრავი ქონების შესაძენად აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იტვირთება შესაძენი უძრავი ქო-

ნება და შპს „ბ-ი პ-ა“ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტის სესხის უზრუნველსაყოფად ყოველთვის იპოთეკით ტვირთავდა ჯერ კიდევ მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, არ მომხდარა.

3.6 მხარის მოსაზრებით, მოსარჩევეს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი აქვს უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და სარგებლის მიღება. მოსარჩელისათვის, როგორც ხელშეკრულებით, ისე, მისთვის გაგზავნილი წერილებიდან ცნობილია მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების პირობები.

3.7 მოპასუხემ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტის თანახმად, „ბე“ რჩება გამყიდველს და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვის შემდეგ. ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს სხვაობა. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მყიდველის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება ჯერ არ წარმოშობილა, რადგან მესამე პირს უძრავი ქონება არ შეუძნია. უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება დაარღვია სწორედ მოსარჩელემ, რის გამოც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულება მას ეკისრება. საქმის მასალებით არ დასტურდება იჯარით ქონების გადაცემის ფაქტი, სარჩელზე თანდართული იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 01.11.2012წ.-ს.

#### **4. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება:**

4.1 ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „M-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკამაყოფილდა. შპს „ბ-ი პ-ას“ შპს „M-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

#### **5. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა**

5.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „M-ის“ მიერ, რომელმაც მოითხოვა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლი-

სის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ: а) მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის; ბ) იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით), რომლის ოდენობა 2010 წლის იანვრიდან სარჩელის აღმვრის მომენტისათვის შეადგენს 384,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 8,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში; გ) მიუღებელი შემოსავლის, კერძოდ, ნასყიდობის საფასურის ანაპარზე განთავსების შემთხვევაში, ნლიურ 5%-ს, რაც სარჩელის აღმვრის მომენტისათვის შეადგენს 118,575 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და ყოველთვიურად – 1,912.5 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

5.2. აგრეთვე, სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს „ბ-ი პ-ამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:**

6.1 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში, გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ-ი პ-ას“ დაეკისრა შპს „M-ის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღმვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტებლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

6.2 პირველ რიგში, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ბეს“ დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არც ერთი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა და ამ ნაწილში, იგი კანონიერ ძალაში იყო შესული.

6.3 შპს „M-ის“ სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლად კი, მითითებულია შემდეგი:

– №S1/5-170 კომერციული ფართი, რომელიც განთავსებული იქნებოდა ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში მშენებარე კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის (170მ<sup>2</sup> საერთო ფართით) შპს „ბ-ის პ-ამ“ გაასხვისა 400 000 აშშ დოლარად.

– სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე შპს „ბ-ის პ-ამ“ განმარტა, რომ იგი თანახმა იყო, გადაეხდა 390 000 აშშ დოლარი შპს „M-სთვის“.

– 30.04.2008წ-ს შპს „M-ს“ (მყიდველი) და შპს „ბ-ი პ-ას“ (გამყიდველი) შორის გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე №S1/5-170 ხელშეკრულებით“ წარმოიშვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ბ-ი პ.-ასაგან“ მოსარჩელეს უნდა მიეღო №S1/5-170 კომერციული ფართი, რომელიც განთავსებული იქნებოდა ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში მშენებარე კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის (170მ<sup>2</sup> საერთო ფართით), შესაბამისი საზღაურის სანაცვლოდ.

მოსარჩელემ შეუკვეთა კომერციული ფართი მშენებარე ზემოსხენებულ მისამართზე მშენებარე კომპლექსში ე.ი. შემკვეთმა შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე მშენებარე კომპლექსში, კონკრეტულ სართულზე განთავსებული განსაზღვრული ფართი (კომერციული) და გადაიხადა მისი ლირებულება.

მენარდემ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მოსარჩელეისათვის გადაცემა ვერ შეძლო, კერძოდ, ხელშეკრულების 10.2 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაცა ნივთობრივად უნაკლო საგანი. ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლითა და პროექტით გათვალისწინებულ ნორმებთან. ამასთან, მოპასუხეს მოსარჩელისათვის კეთილსინდისიერებით უნდა გაეცნო ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა.

6.4 სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „ბ-ი პ-ამ“ ვალდებულება დროულად, ჯეროვნად არ შეასრულა, რის გამოც, 04.04.2012წ-ს მეორე მხარემ ცალმხრივად შეწყვიტა 30.04.2008წ-ს დადებული გარიგება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა შპს „M-ს“ პოზიცია იმის თაობაზე, რომ მან განიცადა მატერიალური ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შეს-

რულებულიყო, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილზე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილზე, 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 411-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის, არაჯეროვან შესრულებაში. ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტილის მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება. კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „M-მა“ ზიანი და მისი ოდენობა დაუკავშირა: ა) მშენებარე ფართის ლირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის გამო, პროცენტების სახით გადახდილ თანხას (61,310 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი); ბ) მოპასუხისათვის გადახდილი მშენებარე ფართის ლირებულების სარგებლინან ანაბარზე განთავსების შედეგად მისალებს შემოსავალს (წლიური 5%, რაც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შეადგენს 118575 აშშ დოლარს, წელიწადში – 22950 აშშ დოლარს, ხოლო, სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1912.5 აშშ დოლარს); გ) მოპასუხის მიერ მიღებულ და მისაღებ შემოსავალს, რომელსაც ეს უკანასკნელი უსაფუძვლოდ იღებდა და იღებს მოსარჩელის კუთვნილი ქონების გამოყენებით/გაქირაცებით (თვეში 8000 აშშ დოლარის ოდენობით 2010 წლის იანვრიდან სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტისათვის 384000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 8000 აშშ დოლარი).

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნორმის მიზნებისათვის მიუღებელია შემოსავალი, რომლის მიღებაც პროგნოზირებადი იყო კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მაგრამ, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების საკითხის გადაწყვეტილისას უნდა შეფასდეს თავად იმ ვალდებულების ხასიათი, რომლის არაჯეროვანი შესრულების გამოც, მხარე ამგვარი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვს.

ამდენად, მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობით და დამოკიდებულია ხელშეკრულების ჯეროვნად

შესრულების შედეგად მისაღებ სარგებელზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ შემთხვევაში, ზიანის ნაწილში, მოსარჩელე მიუთითებდა, მშენებარე ფართზე გადახდილი თანხის სხვაგვარად გამოყენებაზე, კერძოდ კი, ანაპარზე განთავსების შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის მიღებაზე და მეორე შემთხვევაში – მშენებარე ფართზე თანხის გადახდის სანაცვლოდ, ბანკიდან მიღებული კრედიტის გამო, გადახდილ პროცენტზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა და ამას არც მოსარჩელე უარყოფდა რომ ფართის ღირებულება მოსარჩელემ ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების მეშვეობით გადაიხადა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსათვის ნათელი გახდა, რომ სესხად მიღებულ თანხას მოსარჩელე სხვაგვარად ვერ განკარგვდა.

6.5 რაც შეეხება სესხზე გადახდილ სარგებელს, მოპასუხის მხრიდან, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც კი, საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელე ვალდებული იყო გადაეხადა შეთანხმებული პროცენტი. ამასთან, თავის მხრივ, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულება, გადახდილი თანხის სანაცვლოდ მოპასუხისგან საკუთრებაში გადაეცეს უძრავი ქონება, გამორიცხავდა, იმავდროულად, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხიდან სარგებლის მიღების მოლოდინს, რაც უსაფუძვლოს ხდიდა მოსარჩელის მოთხოვნას მიუღებული შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

6.6 გარდა აღნიშნულისა, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული მოსარჩელის მოთხოვნა იმ ზიანზე, რომელიც მოპასუხის მიერ მიღებულ და მისაღებ შემოსავალს უკავშირდებოდა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი მოთხოვნის ამ ნაწილში იყო მოსარჩელის კუთვნილი ფართის გაქირავებით (თვეში, 8000 აშშ დოლარი) მიღებული და სამომავლოდ მისაღები ფულადი სახსრები, რაც სასამართლომ არ გაიზიარა, იმდენად რამდენადაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომერციული ფართი, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის გამო წარმოადგენდა და წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას, რაც ავტომატურ რეჟიმში გამორიცხავდა მოთხოვნის ამ ნაწილში, სარჩელის დაკამაყოფილების წინაპირობებს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ უზრუნველყო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძვლის, ზიანის არსებობის ფაქტისა და მი-

სი დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა, რაც მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის გამოყენებისათვის და ამ ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ, არა იმ თანხის ფარგლებში, რასაც აპელანტი ითხოვდა, არამედ შემდეგნაირად:

– 2008 წლის 30 აპრილს, შპს „M-ს“ (მყიდველი) და შპს „ბ-ი პ-ას“ (გამყიდველი) შორის გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე №S1/5-170 ხელშეკრულება“ შეწყდა 04.04.2012წ.-ს. შპს „M“-ს მიერ სარჩელი შეტანილია სასამართლოში 26.12.2013წ.-ს. ამდენად, არსებობს ვალდებულების შეუსრულებლობა 1 წლის, 8 თვისა და 22 დღის მანძილზე, მიუღებელი შემოსავალიც ამ დღეების ოდენობით უნდა განისაზღვროს, სულ, 627 დღე. ძირითადი თანხა, რომლის დაპრუნება-საც მოსარჩელე მოითხოვდა 459,000 აშშ დოლარს შეადგენდა (წინარე წასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე).

სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ მიიღო შემოსავალი და მას შეეძლო, მიეღო იგი მოპასუხეს თანხა დროულად რომ დაეპრუნებინა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს შეეძლო, ეს თანხა განეთავსებია სარგებლიან ანგარიშზე და მიიღებდა წლიურ 5%-იან სარგებელს ანუ, დღიურად იგი მიიღებდა 62,87 აშშ დოლარს, ყოველთვიურად – 1912,5 აშშ დოლარს (62,87 აშშ დოლარი X 30 დღეზე), ხოლო სულ – 627 დღის მანძილზე (1 წლის (365 დღე) + 8 თვის + (240 დღე) და + 22 დღის მანძილზე) 39 652,5 აშშ დოლარს.

შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს „M-მა“ მიუღებელი შემოსავლის სახით, მიიღო სწორედ ამ თანხის ფარგლებში ზიანი სარჩელის შეტანამდე (627 დღე), ხოლო სარჩელის აღძერის შემდეგ ყოველთვიურად – 1912,5 აშშ დოლარი (62,87 აშშ დოლარი X 30 დღეზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „ბ-ი პ-ას“ უნდა დაკისრებოდა შპს „M-ს“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით, 39 652,5 აშშ დოლარი სარჩელის შეტანამდე, ხოლო სარჩელის აღძვრიდან, 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1912,5 აშშ დოლარი გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც მოსარჩელის კუთვნილი ფართის გაქირავებით (თვეში 8000 აშშ დოლარი) მიღებულ და სამომავლოდ მისაღებ ფულად სახსრებს ეხება, რაც

საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა, რამდენადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომერციული ფართი, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, ნარმოადგენდა და წარმოადგენს მოპასუხე „ბ-ი პ-ას“ საკუთრებას, რაც გამორიცხავს, ამ კუთხით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს.

6.7 რაც შეეხება შპს „ბ-ი პ-ას“ სააპელაციო საჩივარს, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ მას ვალდებულება არ დაურღვევია და, შესაბამისად, პირგასამტებლოს გადახდა არ ეკისრებოდა და მიუთითა ხელშეკრულების მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე ძირითადი ხელშეკრულების ხელმონერაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამყიდველს უფლება ჰქონდა დადგენილი წესით მოეთხოვა პირგასამტებლო ღირებულების 0.1 პროცენტი 90 კალენდარული დღის განმავლობაში. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხე შპს „ბ-ი პ-ამ“ ვალდებულება დროულად და ჯეროვნად არ შეასრულა, რის გამოც, მეორე მხარემ შეწყვიტა ხელშეკრულება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს „ბ-ი პ-ას“ შპს „M-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაკისრებული პირგასამტებლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და უნდა შემცირებულიყო. შესაბამისად, საქმის განმხილველმა სასამართლო მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების დადებისას მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული თანხის – პირგასამტებლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. სასამართლო აღნიშნა, რომ მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიანდობს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პირგასამტებლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. ამდენად, პირგასამტებლოს ოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირგასამტებლოს მიზანია, კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტებლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პირგასამტებლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ვალდებულების დარღვევის ხასიათს, აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს, მის თანაფარდობას, მხარეთა ფინანსურ მდგომარეობას, მოსარჩევის ეკონომიკურ ინტერესს. აგრეთვე, სხვა ობიექტურ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა პირგასამტებლოს ოდენობის სამართლიანობაზე, მხედველობაში მიიღო ხელშეკრულების დარღვევის ხასიათი, აგრეთვე ის გარემოება, მოსარჩელემ დარღვევის შედეგად რა ფინანსური ზარალი განიცადა, და მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში მითითებული პირგასამტებლო უნდა შემცირებულიყო 0,07%-მდე. შესაბამისად, „ბ-ი პ-ას“ უნდა დაკისრებოდა შპს „M-ს“ სასარგებლოდ პირგასამტებლოს – 28,917 აშშ დოლარის (459 000 აშშ დოლარის 0,07%) გადახდა.

6.8 სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ბ-ი პ-ას“ სააპელაციო საჩივარი წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფაურის – 459,000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ბ-ი პ-ასაგან“ მოსარჩელეს უნდა მიეღო  $N\!E\!S1/5-170$  კომერციული ფართი, რომელიც განთავსებული იქნებოდა ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ.  $N\!E\!5$ -ში მშენებარე კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 დერძებს შორის (საერთო ფართით 170 კვ.მ), შესაბამისი საზღაურის სანაცვლოდ.

მოსარჩელემ შეუკვეთა კომერციული ფართი მშენებარე ზე-მოხსენებულ მისამართზე მშენებარე კომპლექსში ე.ი. შემკვეთ-მა შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე მშენებარე კომპლექსში, კონკრეტულ სართულზე განთავსებული განსაზღვრული ფართი (კომერციული) და გადაიხადა მისი ლირებულება.

მენარდებ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მოსარჩელეისათვის გადაცემა ვერ შეძლო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-10.2 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეცა ნივთობრივად უნაკლო საგანი. ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლითა და პროექტით გათვალისწინებულ ნორმებთან. ამასთან, მოპასუხეს, მოსარჩელისათვის კეთილსინდი-

სიერებით უნდა გაეცნო ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა.

მოსარჩელის პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ ხელშეკრულების დადებისას №S1/5-170 კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ-ის, ისე ბ.-ის ქუჩიდან, ფორე მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ამ ფორეს ზევით (თავზე) 2-3 სართულების დონეზე ლია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებელი და მისი მხრიდან ხელშეკრულების დადების მთავარი ინტერესი იყო, ვინაიდან დაგეგმილი ჰქონდა კომერციულ ფართში ერთ-ერთი ბრენდის „K“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური პრესტიული ობიექტის მოწყობა, თუმცა მისივე ინტერესების საზიანოდ გაუქმდა ფართში შესასვლელი ბ-ის ქუჩის მხრიდან, გაუქმდა აგრეთვე საერთო სარგებლობის ფორი და მის თავზე არსებული სივრცე იქ მოპასუხის მიერ დამატებითი კომერციული ფართობის მოწყობით, შეიზღუდა ობიექტში პოტენციური მომზადებლის თავისუფლად მოხვედრის შესაძლებლობა, სარეკლამო სივრცე.

ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულების დარღვევის დასადასტურებლად, მოსარჩელემ წარმოადგინა სსპ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 14.07.2013წ.-ის №... დასკვნა, რომლის თანახმად ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში, შპს „ბ-ი ბ-ას“ მიერ აშენებულ მრავალფუნქციურ კომპლექში, შპს „M-ს“ კუთვნილი №S1/5-170 კომერციული (170მ<sup>2</sup>) ფართის მიმდებარედ, ბ-ის ქუჩის მხრიდან არსებული შესასვლელი, მე-5, მე-6 ღერძებს შორის არსებული ფორი და მის ზევით (თავზე) მე-2 სართულზე არსებული სივრცე არ შეესაბამება პროექტის მოთხოვნებს. ამავე დასკვნის მიხედვით, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით (მე-6, მე-8 და „ა“-„დ“ ღერძებს შორის არსებული 170მ<sup>2</sup> საერთო ფართი) გათვალისწინებული ფართი არსებული მდგომარეობით მდებარეობს გასართობი ცენტრის სარგებლობაში არსებულ ერთიან ფართში და არ შეესაბამება №S1/5-170 ხელშეკრულებით გათვალისწინებულს. მართალია, დასკვნა მომზადებულია 14.07.2013წ.-ს, მაგრამ სასამართლომ ყურადღება მიაქცია ექსპერტის კვლევით წანის, საიდანაც ირკვევოდა, რომ კვლევა წანარმოები იყო წარდგენილი პროექტის, ხელშეკრულებისა და კონკრეტული ფართების წახაზების და ქ. ბ-ის მერიის მიერ გაცემული დოკუმენტებით. ექსპერტის მიერ კვლევა წანარმოებია პროექტის გათვალისწინებით.

ამასთან, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია, შპს „დ.-ა-ის“

მიერ 11.09.2013წ-ს მომზადებული აუდიტორიული დასკვნა ტექ-ნიკური ცვლილებების უძრავი ქონების ლირებულებაზე მოქმე-დების შესახებ, რომლის შესაბამისად, ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ აშენებული მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე პროექტით გათვალისწინებული მიმდება-რე საერთო სარგებლობის ფოიეს, ბ-ის ქუჩის მხრიდან შესას-ვლელის და ამ ფოიეს ზევით (თავზე) მე-2-მე-3 სართულებზე არსებული სივრცის მოსპობამ იმოქმედა მითითებული ობიექ-ტის საბაზრო ღირებულებაზე და მისი სავარაუდო ღირებულე-ბა, მისი მოსარგებლის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საორიენტაციოდ შემცირ-და 10-15%-ით.

სანინაალმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებუ-ლება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

6.9 სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 629-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა სასამარ-თლოს მსჯელობა, რომ მართალია, საქმეში წარმოდგენილი ხელ-შეკრულების სახელწოდებაა უძრავი ქონების ნასყიდობის წი-ნარე ხელშეკრულება, მაგრამ თავისი არსიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს წარდობის ხელშეკრულებას. ამგვარი შეფასე-ბისას სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ამავე კოდექსის 629-ე მუხლის პირ-ველ ნაწილზე და განმარტა, რომ წარდობის ხელშეკრულებას გააჩნია არსებითი ნიშნები, რითაც იგი განსხვავდება ნასყიდო-ბის ხელშეკრულებისაგან.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილ-დეს იმ არსებით ნიშნებზე, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭებო-და ამ დავის გადაწყვეტისათვის, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკ-რულებისათვის დამახასითებელია გამყიდველის მიერ მყიდვე-ლისათვის ხელშეკრულების საგნის გადაცემა. წარდობის ხელ-შეკრულებისათვის დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო პროცესის დასახვა, განსაზღვრა და ა.შ. იმის გათვა-ლისწინებით, რომ წასყიდობის ხელშეკრულება და წარდობის ხელშეკრულება ორივე წარმოადგენენ კაუზალური ტიპის ხელ-შეკრულებებს, აუცილებელია დადგინდეს ხელშეკრულების სა-ფუძველი, მიზანი, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკრეტუ-ლი ხელშეკრულების სახესთან დაკავშირებული დასკვნების გა-კეთება და, შესაბამისად, ქონებრიგი პასუხისმგებლობის გა-საზღვრა. წარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს შემკვე-

თისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემას, ამიტომ მენარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანია ქონების საკუთრებაში გადაცემა. ამგვარი მსჯელობის გათვალისწინებით ხელშეკრულების შინაარსის დადგენისათვის არ არის საკმარისი ფორმალურ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება, შესაძლებელია გარეგნული გამოხატულება ქმნიდეს ნასყიდობის ან ნარდობის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანია მხარეთა ნება და ფაქტობრივად არსებული უფლება-ვალდებულებები, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმალურად არსებული ურთიერთობისაგან და ქმნიდეს სხვა გარიგებით ნარმოშობილი ურთიერთობის საფუძველს.

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის, 327-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ 30.04.2008წ.-ს შპს „M-ს“ (მყიდველი) და შპს „პ-ი პ-ას“ (გამყიდველი) შორის დადგებული გარიგებით (№S1/5-170 უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება) წარმოიშვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა.

6.10 სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი განამტკიცებს იმ პირობებსა და გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ესენია ვალდებულების შესრულებაზე დამატებითი ვადების გასვლა და ინტერესის დაკარგვა ვალდებულების დარჩენილი ნაწილის მიმართ. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება, თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნებას გამოვლენის საშუალებით ხორციელდება და მისთვის არ არის აუცილებელი, მეორე მხარის თანხმობა. ცალმხრივი უარის თქმა ხელშეკრულებაზე შესაძლებელია, თუ ეს დაშვებულია კანონით ან მხარის ასეთი უფლება გათვალისწინებულია ხელშეკ-

რულებით. ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხარეთა შეთანხმებითაც არის შესაძლებელი. აღნიშნული ნორმა მხარეს, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებას, ანიჭებს უფლებას ხელშეკრულების დამრღვევი მხარის მიმართ, კერძოდ, მას ენიჭება უფლებამოსილება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეთანხმებულ ვადაში შეუსრულებლობისას, შემკვეთის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება გათვალისწინებულია, ასევე, მხარეთა შორის 30.04.2008წ-ს დადგებული ხელშეკრულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩევეს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩევეს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მოსარჩევის მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამყიდველს აქვს უფლება, დადგენილი წესით მოითხოვოს პირგასამტებლო ღირებულების 0.1 პროცენტი 90 კალენდარული დღის განმავლობაში და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მყიდველის შეტყობინების გარეშე ქონება მიყიდოს მესამე პირს და გადახდილი თანხა (ზიანის ჩათვლის გამოკლებით) დაუბრუნოს მყიდველს გაყიდვისთანავე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ამგვარი შეთანხმების არსებობაც კი, არ გამორიცხავს მოსარჩევის მოთხოვნის საფუძვლიანობას გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში. ხელშეკრულების მითითებული პუნქტი არ არეგულირებს მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, რადგან აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული იყო ისეთი შემთხვევა, როცა შემკვეთმა კანონიერი საფუძვლის გარეშე ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქვა (შესრულების მიუღებლობა). ასეთ შემთხვევაში, მოსარჩევეს გადახდი-

ლი თანხა დაუბრუნდებოდა მხოლოდ ბინის ხელახალი გაყიდვის შემთხვევაში. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის უკან დაბრუნების თაობაზე იყო დასაბუთებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილებულიყო და შპს „ბ-ი პ-ას“ შპს „M-ს“ სასარგებლოდ დაკისრებოდა ხელშეკრულების საფასური – 459,000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე შპს „ბ-ის პ-ამ“ განმარტა, რომ იგი თანახმა იყო გადაეხდა 390,000 აშშ დოლარი შპს „M-სთვის“. აღნიშნული გარემოება კი, ვალდებულების აღიარებად შეფასდა. შესაბამისად, მითითება იმაზე, რომ შპს „M-ს“ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რის გამოც, შპს „ბ-ის პ-ას“ სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილში უსაფუძვლოდ იქნამიჩნეული.

#### **7. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები:**

7.1 სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ-ი პ-ამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი თანხის ნაწილში 459,000 აშშ დოლარისა და 390 000 აშშ დოლარის სხვაობის დაკისრება, აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლისა და პირგასამტებლოს დაკისრების ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7.2 კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტს (მოსარჩელეს) მიუღებელი შემოსავლის სახით მიაკუთვნა 39652.5 ლარი, შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ 04.04.2012წ.-ის წერილით მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების შეწყვეტილან (სწორედ მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო) სარჩელის შეტანამდე – 26.12.2013წ.-მდე (627 დღე) და სარჩელის აღდვრის შემდეგ ყოველთვიურად 1,912.5 ლარი. აღნიშნული თანხები სააპელაციო სასამართლომ დაინგარიშა სახელშეკრულებო ღირებულებიდან – 459000 ლარიდან წლიური 5%-ის ოდენობით, თუმცა აპელანტს ასეთი სახით მიუღებელი შემოსავალი არც სარჩელით და არც სააპელაციო საჩივრით არ მოუთხოვია.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ თავად მოახდინა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურებასთან დაკავშირებით ციტირება და აღნიშნა, რომ მოთხოვნილ იქნა: ა) მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის პროცენ-

ტის სახით გადახდილი 61,310 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი; ბ) მოპასუხისათვის გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების სარგებლიან ანაბარზე განთავსების შემთხვევაში, წლიური 5%, რაც სარჩელის აღვრის მომენტისათვის შეადგენდა 118575 აშშ დოლარს, წლინადში 22950 აშშ დოლარს, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში 1912.5 აშშ დოლარს; გ) მოპასუხის მიერ მიღებული და მისაღები შემოსავალი, რომელსაც ეს უკანასკნელი იღებდა და იღებს მოსარჩელის კუთვნილი ქონების გამოყენებით/გაქირავებით (თვეში 8000 აშშ დოლარის ოდენობით 2010 წლის იანვრიდან სასამართლოში სარჩელის აღვრის მომენტისათვის 384999 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 8000 აშშ დოლარი).

კასატორმა აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურების საკითხი. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის განმარტებას, თუმცა თავად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აპელანტს (მოსარჩელეს) ზიანის ანაზღაურების სახით მიაკუთვნა ის, რაც არასდროს არ მოუთხოვია და, მით უმეტეს, არანაირი დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსთვის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გასცდა მოთხოვნას და დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, თუმცა არასწორად განმარტა იგი. ზიანის (მიუღებელი შემოსავლი) შპს „ბ-ი პ-ასათვის“ დაკისრების ნაწილში სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, თუ რატომ მიღებდა შემოსავალს მოსარჩელე წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, თუმცა ვალდებულება არ შესრულდა სწორედ მოსარჩელის მიერ და არა შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ. ის ზიანი, მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ შპს „ბ-ი პ-ას“ დააკისრა, ერთადერთი შესაძლებელია დადგენილ იქნეს ნასყიდობის საფასურის დაბრუნების ვადის გადაცილების პირობებში, რომლის დროსაც, მოსარჩელეს უნდა მიეღო ფულადი თანხა და ამ თანხას, შესაძლოა, განათავსებდა საბანეო ანაბარზე, ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება კი, დადგა მხოლოდ 15.07.2014წ-ს შემდეგ ანუ, მას შემდეგ, რაც შპს „ბ-ი პ-ამ“ გაას-

ხვისა მესამე პირზე ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

7.3 ამასთან, კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტით მხარეთა შორის შეთანხმებული პირობა ნასყიდობის საფასურის დაბრუნების წესთან და ოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა. კასატორის აღიარებაც 390,000 აშშ დოლარის ნაწილში, სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაყიდვის ფაქტსა და თანხის დაბრუნების წესს უკავშირდება, რაც სასამართლომ არ შეაფასა.

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატას საერთოდ არ მიუქცევია ყურადღება ფოტომასალისათვის, მხარეთა ახსნა-განმარტებებისათვის, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, 2012 წლის ივლისში, უძრავი ქონება იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ არ ხდებოდა მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება.

კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა „K-სთან“ მოსარჩელის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას, რადგან ხსენებული ხელშეკრულების პირველივე გვერდზე ერთმნიშვნელოვნად იყო განსაზღვრული საქმიანობის მისამართი – ზ-ის ქ. ბ-ი, საქართველო. ასევე, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლითაც გათვალისწინებული იყო, რომ ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობების თანახმად, ოპერატორი გამოიყენებდა სისტემას კომერციული საქმიანობის წარმოებისათვის მისა საქმიანობის მისამართზე ზ-ის ქ. ბ-ი, საქართველო. ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ ერთი წლის ვადით, 20.05.2009წ-მდე ანუ, იმ დრომდე, როდესაც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მყიდველისათვის გადაცემის ვადა არ იყო დამდგარი. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელე ვერ შეძლებდა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაში საქმიანობის წარმოებას, თუმცა, სასამართლოს მიერ ეს საკითხი შეფასების მიღმა დარჩა და გამოყენებულ იქნა მტკიცებულებად, რომელსაც ასევე დაეფუძნა გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის გარეშე, დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის ან/და არარსებობის ფაქტი.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბა დაუსაბუთებელი იყო, რადგან, თუკი სააპელაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევდა, რომ ხელშეკრულება შეწყდა სწორედ შპს „ბ-ი პ-ას“ 04.04.2012წ-ის წერილით, რაც, თავის მხრივ, სწორედ მოსარჩელე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით იყო განპირობებული, როგორ შეიძლებოდა მისულიყო იმ დასკენამდე, რომ შპს „ბ-ი პ-ას“ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რის გამოც, დააკისრა ნასყიდობის საფასურის და პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულება.

მხარის მითითებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება შპს „ბ-ი პ-ას“ გაასხვისა 400,000 აშშ დოლარად.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ მიუქცევია ყურადღება იმ მნიშვნელოვანი ფაქტისთვის, თუ როდის მოხდა ხსენებული უძრავი ქონების გახსვისება. სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, 15.07.2014წ-ს შპს „ბ-ი პ-ას“ გაასხვისა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 5.4 ჰუნქტის თანახმად, „ბე“ რჩებოდა გამყიდველს და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვის შემდეგ. ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი ჰუნქტით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის გადაეხადა სხვაობა მესამე პირთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასს შორის. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის განმავლობაში ჯერ არ იყო დამდგარი მყიდველის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება, რადგან უძრავი ქონება მესამე პირს არ შეუძენია. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით შპს „ბ-ი პ-ას“ დააზუსტა სააპელაციო საჩივარი და 390,000 აშშ დოლარის ნანილში ვალდებულება აღიარა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი შეთანხმების არსებობაც ვერ გამორიცხავდა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში. მითითებული მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეები ხელშეკრულების გაფორმებისას შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის შემ

თხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და მყიდველის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების წესზე, რომელიც სრულ შესაბამისობაში იყო სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილისა და 319-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესოან, ასევე, არ ენინააღმდეგებოდა ამავე კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვენებს. ამასთან, მხარეს მისი ბათოლობა არ მოუთხოვია, ამიტომ თანხის დაბრუნების მხარეთა შორის შეთახმებული პირობები ნამდვილი იყო და რეგულაციაც მის შესაბამისად უნდა განხორცილებულიყო, ვინაიდან იგი სწორედ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მხარეთა შორის ანგარიშსწორების დროსა და წესებს ეხებოდა.

კასატორმა მიიჩნია, რომ პირველ რიგში, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა გადახდილი თანხის დაბრუნების დრო, რაც, წინარე ხელშეკრულების თანახმად, 15.07.2014წ-ია (წასყიდობის საგნის მესამე პირზე გასხვისების თარიღი) და, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, დასაბრუნებელი თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს 390,000 აშშ დოლარს.

7.4 შპს „ბ-ი პ-ს“ საკასაციო საჩივარზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა შპს „M-მა“, მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება პირგასამტებლოს შემცირების ნაწილში შემდეგი დასაბუთებულებით:

7.5 შეგებებული საკასაციო საჩივარის ავტორის მოსაზრებით, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან არ გამომდინარებდა, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ პირგასამტებლოს 0,1%-ის ოდენობით დაკისრებით კრედიტორი არათანაზომიერად დიდ სარგებელს მიიღებდა, უსაფუძვლოდ გამდიდრდებოდა და 0.07%-მდე პირგასამტებლოს შემცირება ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული იქნებოდა.

7.6 კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მითითება საკასაციო სასამართლო პრაქტიკაზე, რადგან №3კ/467-01 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლომ მიზანებონილად მიიჩნია საოლქო სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს შემცირება, ვინაიდან იგი აღემატებოდა ძირითად დავალიანებას, ხოლო №3კ/1122-01 საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა მას იმ მოტივით, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო დაზარალებულის ქონებრივი და სხვა პატივსადები ინტერესი და მიზანშენონილობის შემ-

თხვევაში, მოქმდინა პირგასამტებლოს სამართლიანი შემცირება.

კასატორმა მიიჩნია, რომ ვერც ერთი ზემოთ მითითებული გადაწყვეტილება ვერ გამოდგებოდა მოცემულ საქმეზე კრედიტორის სასარგებლოდ და კისრებული პირგასამტებლოს 0,1%-დან 0,07%-მდე შემცირების გაღმდებულების დარღვევის თანაზომიერებისა და გონივრულობის დასასაბუთებლად.

მოცემულ შემთხვევაში, მონინაალმდეგე მხარის ძირითადი დავალიანება შეადგენდა 459,000 აშშ დოლარს, ხოლო პირგასამტებლო – მხოლოდ 41,310 აშშ დოლარს. ამასთან, მონინაალმდეგე მხარე წარმოადგენდა მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი კომპლექსის მესაკუთრესა და გამქირავებელს, რომლისგანაც იღებდა კოლონსალურ მოგებას. მხოლოდ კასატორის ფართის გაქირავებით იღებდა თვეში, 8000 აშშ დოლარზე მეტს.

სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნულ მეორე შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მხედვებლობაში მიიღო დაზარალებულის ქონებრივი და სხვა პატივისადების ინტერესი.

მხარემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარეთა მდგომარეობა, ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი დაზარალებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **8. საკასაციო პალატის დასკვნები:**

8.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით შპს „ბ-ი პ-ას“ საკასაციო საჩივარი, ხოლო 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით კი, შპს „M-ის“ შეგებებული საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

8.2 2015 წლის 24 ივნისის განჩინებით კი, შპს „ბ-ი პ-ას“ საკასაციო საჩივარი და შპს „M-ის“ შეგებებული საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

8.3 საკასაციო სასამართლომ შეიისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ „ბ-ი პ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოების გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით შპს „ბ-ი პ-ა“ მოითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას ნასყიდობის საფასურის დაკისრებისა და ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში.

ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციოს მიზეზების) შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– 30.04.2008წ-ს შპს „M-ს“, როგორც „მყიდველსა“ და შპს „ბი პ-ას“, როგორც „გამყიდველს“ შორის გაფორმდა „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულება“.

– ხელშეკრულების საგანს ნარმოადგენდა „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებით“ განსაზღვრული წესითა და პირობებით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება, რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცემოდა ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (1708<sup>2</sup>).

– ხელშეკრულების მე-8 მუხლის მიხედვით გასაყიდი ქონების ღირებულება განისაზღვრა 459,000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში.

– ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო მხოლოდ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. კომპლექსის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 25.07.2009წ-სათვის. ამ პუნქტით დადგენილი ვადის გაგრძელება დაიშვებოდა მხარეთა შეთანხმებით. ძირითადი ხელშეკრულების დადების შესახებ მზადყოფნის თაობაზე გამყიდველი მყიდველს წერილობით ატყობინებდა 10 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მიზეზით არ მოხდებოდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირობების შესრულებისა და ვადის გასვლის შემდეგ მყიდველს უფლება ჰქონდა: а) სასამართლო წესით მოეთხოვა ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურება და ნასყიდობის საგნის გადაცემა საკუთრებაში; ბ) ზანის ანაზღაურების სახით, მოეთხოვა პირგასამტებლო წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0.1% ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავის დარიცხვა მოხდებოდა 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მყიდველს უფლე-

ბა პქონდა შეეწყვიტა წინამდებარე ხეშეკრულება და მოეთხოვა „ბეს“ ორმაგად და ავანსის სახით, გადახდილი თანხის დაბრუნება.

– ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მყიდველს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამყიდველისათვის, „ბეს“ სახით უნდა გადაეხადა 10,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რაც ჩაითვლებოდა ნასყიდობის საგნის საფასურში, ხოლო დარჩენილი 449,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადახდილიყო შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: 24,000 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 მაისისა; 52,250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 ივნისისა; 52,250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 აგვისტოს; 52,250 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2008 წლის 12 სექტემბრისა.

– ხელშეკრულების მე-5 მუხლით განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევა, რომლითაც ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ვალდებულების (ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადება) შესრულების ვადა გადაცილებულად ეთვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე უარს იტყოდა ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამ შემთხვევაში, გამყიდველს უფლება პქონდა მოეთხოვა და მყიდველისაგან მიეღო პირგასამტებლო წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0,1%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გავლის შემთხვევაში, გამყიდველს უფლება პქონდა ნასყიდობის საგანი მიეყიდოს მესამე პირისათვის. ამ შემთხვევაში, „ბე“ რჩებოდა მის მიმღებს, ხოლო ავანსის სახით გადახდილი თანხა დაუბრუნდებოდა მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვისთანავე. მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის გადაეხადა სხვაობა მესამე პირთან გაფორმებულ ნასყიდობის საფასურსა და ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ფასს შორის.

– დადგენილია, რომ „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებით“ განსაზღვრული თანხა – 490,000 აშშ დოლარი და „ბეს“ ანგარიშმი 10,000 აშშ დოლარი შპს „M-მა“ სრულად გადაუხადა შპს „ბ-ი პ-ას“.

– №S1/5-170 კომერციული ფართი, რომელიც განთავსებუ-

ლი იქნებოდა ქ. ბ-ში, ჭ.-ის ქ. №5-ში მშენებარე კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის ( $170\text{m}^2$  საერთო ფართით) შპს „ბ-ის პ-ამ“ გაასხვისა 400,000 აშშ დოლარად.

კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

8.4 მოცემულ შემთხვევაში, შპს „M-მა“ წინარე ხელშეკრულებიდან გასვლა დაუკავშირა იმ გარემოებას, რომ „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ დადებისას №S1/5-170 კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელები, როგორც ჭ-ის ისე, ბ-ის ქუჩიდან, ფონი მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ამ ფონის ზევით (თავზე) 2-3 სართულების დონეზე ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებელი და მისი მხრიდან ხელშეკრულების დადების მთავარი ინტერესი იყო, ვინაიდან დაგეგმილი ჰქონდა კომერციულ ფართში ერთ-ერთი ბრენდის „K“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური პრესტიული ობიექტის მოწყობა თუმცა, მისივე ინტერესების საზიანოდ, გაუქმდა ფართში შესასვლელი ბ-ის ქუჩის მხრიდან, აგრეთვე, გაუქმდა საერთო სარგებლობის ფონი და მის თავზე არსებული სივრცე მოპასუხის მიერ დამატებითი კომერციული ფართობის მოწყობის გამო, შეიზღუდა ობიექტში პოტენციური მომხმარებლის თავისუფლად მოხვედრის შესაძლებლობა, სარეკლამო სივრცე.

ამ გარემოების დასადასტურებლად მოსარჩევემ წარმოადგინა სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 14.07.2013ნ-ის №... დასკვნა, რომლის თანახმად, ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში მდებარე შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ აშენებულ მრავალფუნქციურ კომპლექსში, შპს „M-ს“ კუთვნილი №S1/5-170 კომერციული ( $170\text{m}^2$ ) ფართის მიმდებარედ, ბ-ის ქუჩის მხრიდან არსებული შესასვლელი, მე-5, მე-6 ღერძებს შორის არსებული ფონი და მის ზევით (თავზე) მე-2 სართულზე არსებული სივრცე არ შეესაბამება პროექტის მოთხოვნებს. ამავე დასკვნის მიხედვით ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით (მე-6, მე-8 და „ა“ – „დ“ ღერძებს შორის არსებული  $170\text{m}^2$  ფართი) გათვალისწინებული ფართი არსებული მდგომარეობით მდებარეობს გასართობი ცენტრის სარგებლობაში არსებულ ერთიან ფართში და არ შეესაბამება №S1/5-170 ხელშეკრულებით გათვალისწინებულს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა სახეები, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ საქმი-სათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამომ-წურავადაა განსაზღვრული სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით. არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რამიტე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. აგრეთვე, არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლო-სათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობა წინასწარ არ არის განსაზღვრული და მისი ძალა და მნიშვნელობა სასამართლოს შეფასებაზეა დამოკიდებული. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარნებონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების სარწმუნობა. მათი უტყუარობისა თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არამარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმა, აგრეთვე, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისინი მონაწილეობენ პროცესში.

საბოლოოდ კი, წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის შინაარ-სიდან გამომდინარე ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს სპეცი-ალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ მოკვლეული საკითხის ირგვლივ განხორციელებულ შეფასებას. ექსპერტის დასკვნის შეფასებისას (იმდენად რამდენადაც დასკვნა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურად-ღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამო-საკვლევად მიწოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რად-გან სწორედ კვლევითი ნაწილის შედეგი აისახება საბოლოო დას-კვნაში. მოცულეულ შემთხვევაში, სსიპ ლ.სამხარაულის სახელო-ბის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 14.07.2013წ-ის №... დასკვნის კვლევითი ნაწილით ირკვევა, რომ კვლევა ნა-წარმოებია წარდგენილი მშენებლობის პროექტის, „უძრავი ქო-ნების წინაარ ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებისა“ და კონკრეტული ფართების ნახაზების და ქ.ბ.-ის მერიის მიერ გა-ცემული დოკუმენტების საფუძველზე.

აგრეთვე, საქმეში წარმოდგენილია 11.09.2013წ.-ის შპს „დ.ა-ის“ აუდიტორული დასკვნა ტექნიკური ცვლილებების უძრა-ვი ქონების ღირებულებაზე მოქმედების შესახებ, რომლის შე-საბამისად, ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში შპს „ბ-ი პ-ას“ მიერ აშენებული მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე პროექ-ტით გათვალისწინებული მიმდებარე საერთო სარგებლობის ფო-იეს, ბ-ის ქუჩის მხრიდან შესასვლელის და ამ ფოიეს ზევით (თავ-

ზე) მე-2-მე-3 სართულებზე არსებული სივრცის მოსპობაში იმოქმედა მითითებული ობიექტის საბაზო ღირებულებაზე და მისი საცარაულო ღირებულება, მისი მოსარგებლის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საორიენტაციოდ შემცირდა 10-15%-ით.

საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება კი, საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს მოსარჩელის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მყიდველი-სათვის გადაცემა ვერ შეძლო, კერძოდ, „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ 10.2 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაცა ნივთობრივად უნაკლო საგანი. ხელშეკრულების საგნის მდგომარეობა საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლითა და პროექტით გათვალისწინებულ ნორმებთან. 30.04.2008-ის ხელშეკრულების გაფორმების მიზანსა და მყიდველის ინტერესს კი, წარმოადგენდა ქ. ბ-ში, ჭ-ის ქ. №5-ში მშენებარე კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის (საერთო ფართით 170<sup>2</sup>) №S1/5-170 კომერციული ფართის მიღება (მასზე ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება). დადგენილია, რომ გამყიდველმა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით კომერციული ფართის მყიდველისათვის გადაცემა ვერ შეძლო.

8.5 დადგენილია, რომ 04.04.2012-ს მყიდველმა ცალმხრივად შეწყვიტა 30.04.2008-ის „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულება“ და წარმოდგენილი სარჩელით მოითხოვა „ბეს“ სახით გადახდილი თანხის ორმაგად (20,000 აშშ დოლარი) და ავანსის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

დადგენილია ისიც, რომ „ბეს“ ორმაგად დაბრუნების ნაწილში, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მყიდველს სადავოდ არ გაუხდია, ხოლო სარჩელი ნასყიდობის საფასურის სახით გადახდილი 459,000 აშშ დოლარის დაბრუნების ნაწილში საფუძვლიანად იქნა მიჩნეული, რაზედაც საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მშპ „ბ-ი პ-ამ“.

საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლით, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და ანესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელ-შეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულინი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ფალმბრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ ეს საგამონაკლისო უფლება გამოიყენა მყიდველმა, შესაბამისად, ამ ქმედების განხორციელებით ხელშეკრულების მონაწილეთა შორის ნარმოიშვა ახალ ვალდებულება: მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნების შესახებ ე.ნ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ბ-ი პ-ას“ ნარმოუშობს მიღებული თანხის – 459,000 აშშ დოლარის (10,000 აშშ დოლარისა და 449,000 აშშ დოლარის ჯამი) უკან დაბრუნების ვალდებულებას და ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

8.6 ზემოთ მითითებულ ნაწილში, საკასაციო საჩივრის პრეტენზიის (კასაციის მიზნების) შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემული დაგვის საპელაციო წესით განხილვისას კასატორმა აღიარა სარჩელი 390,000 აშშ დოლარის ნაწილში და ამ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ძირითად არგუმენტად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ „უძრავი ქონების წინაარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ 5.4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, შპს „M“ ვალდებული იყო აენაზღაურებინა შპს „ბ-ი პ-ასათვის“ „უძრავი ქონების წინაარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ფასსა (459,000 აშშ დოლარი) 15.07.2015-ის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მიღებულ საფასურს (400,000 აშშ დოლარი) შორის სხვაობა და აგრეთვე,

შპს „M“-ის მიერ „ბეს“ სახით გადახდილი 10,000 აშშ დოლარი უნდა დარჩენილიყო შპს „ბ-ი პ-ას“.

კასატორის ზემოთ მითითებულ არგუმენტს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებას“ მე-5 მუხლის რეგულირების საგანს ნარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეთა შორის ნარმოშობილი იმგვარი სამართალურთიერთობა, როდესაც ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება არ ფორმდება მყიდველის მიზეზით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი, შეიცავს დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც დადგენილია, რომ გამყიდველმა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. პრაქტიკულად, პირველი პუნქტის მოქმედებას გამორიცხავს იმგვარი სამართალურთიერთობა, რომლის დროსაც დადგენილია ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, აქეს აღვილი. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, კასატორის მითითება ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედებაზე, რა დროსაც გამყიდველს რჩება „ბე“ და ამავდროულად, იმ სხვაობის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რასაც შეადგენს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვის ფასსა და ამავე ხელშეკრულების მე-7 პუნქტით დადგენილი ფასს შორის სხვაობა, უმართებულობა.

8.7 რაც შეეხება საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის არგუმენტებს ერთ შემთხვევაში, პირგასამტებლოს დაკისრებისა და მეორე შემთხვევაში, მისი ოდენობის შემცირების მართლზომიერებასთან მიმართებაში, აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ როგორც ეს წინამდებარე საქმის მასალებითა დადგენილი ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება არ დაიდო გამყიდველის ბრალით, სახელდობრ, დადგენილია, რომ გამყიდველმა დაარღვია „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც, მყიდველი ცალმხრივად გავიდა ხელშეკრულებიდან.

„უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მყიდველი უფლებამოსილი იყო ზიანის ანაზღაურების სახით მოეთხოვა პირგასამტებლო ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათ-

ვის, რაც საერთო ჯამში არ უნდა ყოფილიყო 90 დღეზე მეტი.

8.8 საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტებლონ წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტებლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტებლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსალებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად, იხ. Gottwald, in MvKo BGB, 6. Aufl. Band II §340, Rn. 15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340, Rn. 71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2.Aufl., Rn. 6; BGH NJW 1963, S. 1197).

პირგასამტებლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტებლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: а) პირგასამტებლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და შოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტებლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტებლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

პირგასამტებლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტებლოს ორმაგი ფუნ-

ქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტებლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტებლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტებლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტებლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტებლოს. კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტებლო, რომელიც ნორმატიული აქტითად დადგენილი. მასასადამე, პირგასამტებლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტებლოდ - გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტებლო, კერძოდ, ხელშეკრულებაში არსებობს წერილობითი ჩანაწერი აღნიშნულის თაობაზე, რის გამოც, პირგასამტებლოს დაკისრება ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის მართლზომიერად უნდა შეფასდეს, ხოლო რაც შეეხება პირგასამტებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ განაკვეთს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მისი შემცირებისას საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ პირგასამტებლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობა, რა დროსაც, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ლირუბულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტებლოს ოდენობასთან. პირგასამტებლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეერულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტებლოს თანხის მნიშვნელო-

ვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (იხ., სუსგ 28.12.2012წ.-ის საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ.-ის საქმე №ას-1200-1145-2013).

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირგასამტკებლოს მიზანია, კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტკებლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პირგასამტკებლოს ოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ვალდებულების დარღვევის ხასიათს, აღნიშნულით გამოწვეულ ზიანს, მის თანაფარდობას, მხარეთა ფინანსურ მდგომარეობას, მოსარჩელის ეკონომიკურ ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა პირგასამტკებლოს ოდენობის სამართლიანობაზე, მხედველობაში მიიღო ხელშეკრულების დარღვევის ხასიათი, აგრეთვე ის გარემოება, მოსარჩელემ დარღვევის შედეგად რა ფინანსური ზარალი განიცადა, და მიზნია, რომ ხელშეკრულებაში მითითებული პირგასამტკებლოს განაკვეთის 90 დღეზე ნამრავლის ჯამი – 41,310 აშშ დოლარი იმ პირობებში, როდესაც ნასყიდობის საფასურს 459,000 აშშ დოლარის ნარმოადგენდა იყო შეუსაბამოდ მაღალი და დაუშვებლად ხელშეკრულების ინტერესებს, რის გამოც, მართებულად შემცირდა მისი განაკვეთი 0,07%-მდე და შპს „პ-ას“ დაეკისრა შპს „M-ს“ სასარგებლო

დ პირგასამტკებლოს – 28,917 აშშ დოლარის (459 000 აშშ დოლარის 0,07%) გადახდა ნაცვლად 41,310 აშშ დოლარისა. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირგასამტკებლოს დაკისრებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორი და დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმებისა და ამ ნაწილში, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის დაქმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

8.9 მოსარჩელის მოთხოვნას აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ნარმოადგენდა. ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზია კი, ზიანის სახით, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების კანონიერებას შეეხება. ამ ნაწილში, კასატორის პრეტენზიას, საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს და განმარტავს, რომ პრაქტიკულად, საკასაციო პალატის შესაფა-

სებელია ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის წარმოშობის სა-  
მართლებრივი საფუძვლების არსებობა.

8.10 იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი, საფუძვლია-  
ნია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არ-  
სებობაზე, მათ შორის: უნდა მოიქმებოს სამართლის ნორმა, რო-  
მელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სა-  
მართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის  
შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს  
თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს  
(შემადგენლობას).

სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედ-  
ვით მხარეები სარგებლობები თანაბარი უფლებებითა და შესაძ-  
ლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან  
გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნე-  
ბი, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე  
განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძ-  
ვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა  
იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშ-  
ნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათ-  
ვის სავალდებულო სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქ-  
ტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ  
ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის  
ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმე-  
ბის გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფ-  
ლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასა-  
მართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სა-  
სამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების  
შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არ-  
სებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებე-  
ლი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან  
არ აკმაყოფილებს სარჩელს.

8.11 მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირ-  
კვევა, შპს „ბ-ი პ-ას“ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ზიანის  
ანაზღაურების ნაწილში, ემყარება სახელშეკრულებო ვალდე-  
ბულებათა დარღვევას. ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილე-  
ბისათვის პირველ რიგში, უნდა გაირკვევს მიყენებული ზიანის  
შინაარსი და მისი ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით  
დადგენილი წინაპირობების არსებობა.

8.12 სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი წარმოშობის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას  
კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის

ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის, არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიერჩების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩევლის (კრედიტორის) მხარეზეა.

8.13 საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყ“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (თოტალურპარატიონ-ის პრინციპი). ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩევებ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი

ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში (იხ., სუსგ-ის 2012 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-630-593-2012). ანალოგიურ დათქმებს შეიცავს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:101-ე (2) და უნიფრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (1) მუხლები.

მოცუმულ შემთხვევაში, მოსარჩევე ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ 459,000 აშშ დოლარის საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარზე განთავსების შემთხვევაში, იგი მიიღებდა შემოსავალს წლიურ 5%-ს პროცენტის სახით. მოსარჩელის მხოლოდ ეს არგუმენტი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს ზიანის აანაზღაურების დაკისრების საკერძოს საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ აანაცდური მოგება (lucrum cessans). სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.

მიუღებელი შემოსავლის აანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის აანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ., სუსგ-ის 2011წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011).

8.14 როგორც მოცუმული საქმის მასალებით დგინდება მყიდველს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი აქვს უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა

უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. შესაბამისად, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი სახეზე არ გვაქვს, რაც ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ნაწილში, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებოს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპერაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დაბრუნებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში, დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

8.15 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გალებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის შე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ-ი პ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო შპს „M“-ის შეგებებული

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად უნდა განაწილდეს მხარეებს შორის სამივე ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯებიც, რომელთა გაქვითვის შემთხვევაში, შპს „M“-მა შპს „ბ-ი პ-ას“ უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 4210 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ბ-ი პ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „M“-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „M“-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. შპს „ბ-ი პ-ას“ დაეკისროს შპს „M“-ის სასარგებლოდ 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა;
6. დანარჩენ ნაწილში, შპს „M“-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
7. შპს „M“-ს შპს „ბ-ი პ-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს 4210 ლარის გადახდა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

### გადაცყველება საქართველოს სახელით

№ას-1056-1011-2014

26 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „თ.კ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ წინააღმდეგ საბანკო გარანტიებით წარისრი ვალდებულების შესრულებისა და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

2. სარჩელის თანახმად, შპს „თ.ს.კ-სა“ და შპს „ს.ს-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოვალეობისარ რელასის შეძენის ვალდებულება. ხელშეკრულების თანხის ოდენობაზ შეადგინა 1 292 500 ლარი. ხელშეკრულების მე-13 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს უნდა წარედგინა შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია 64 625 ლარის ფარგლებში. 2012 წლის 12 ნოემბერს გაიცა 85 000 ლარის საავანსო ანგარისსწორების საბანკო გარანტია, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ 2012 წლის 13 ნოემბერს შპს „ს.ს-ის“ ანგარიშზე გადარიცხა 85000 ლარი. 2012 წლის 31 დეკემბრის №1 შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა 2013 წლის პირველ თებერვლამდე და მიმწოდებელმა შესაბამისად წარადგინა შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიერ გაცემული ახალი საბანკო გარანტიები №FRI/12-017301 და №FRI/12-017302, რომელთა მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 მარტის ჩათვლით. აღნიშნული გარანტიების თანახმად, გარანტი იღებდა ვალდებულებას, ბენეფიციარის პირველივე მოხვენისათანავე მისოვის აენაზღაურებინა გარანტიით გათვალისწინებული თანხები. მიმწოდებლის სატენდერო წინადადების შესაბამისად, საქონლის მინოდების გრაფიკით საბოლოო ვადად

განისაზღვრა 2012 წლის ნოემბერი. შპს „ს. ს-ის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულებულა და იგი შეწყდა ავტომატურად, რადგან ხელშეკრულების 10.3 პუნქტის შესაბამისად, მომწოდებელზე დაკისრებულმა და აუნაზღაურებელმა პირგასამტებლოს ჯამურმა თანხამ მიაღწია საბანკო გარანტიის განსაზღვრული თანხის 95%-ს. შპს „თ.ს.კ-ის“ გენერალური დირექტორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, 2013 წლის 7 მარტს შპს „ს.კ.ა.ჯ-მა“ შპს „თ.ს.კ-ის“ ანგარიშზე ჩარიცხა 50000 ლარი - საავანსო ანგარიშსწორების №FRI/12-017301 საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის 85 000 ლარის ნაწილი. შპს „თ.ს.კ-ის“ გენერალური დირექტორის მიმართვის მიუხედავად, შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიერ დარჩენილი თანხები დღემდე არ ანაზღაურებულა.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად ნარმოდგენილ იქნა ორი სახის გარანტია: საავანსო და შესრულების საბანკო გარანტია. შესრულების საბანკო გარანტია ნარმოდგენს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების 5% ლირებულებას, შესაბამისად, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ვალდებულების დროული შესრულებისთვის, რაც, მოპასუხის განცხადებით, შესრულდა. რაც შეეხება საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიას, იგი ბენეფიციარის მიერ პრინციპალისთვის გადახდილი ავანსის უზრუნველყოფაა და მისი მოცულობა 85000 ლარია, საიდანაც 50000 ლარი გარანტის მიერ გადაირიცხა. ამასთანავე, გარანტიით გათვალისწინებულია, რომ გარანტია შემოიფარგლება მხოლოდ ამ საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ვალდებულებით, ნებისმიერი სხვა დამატებითი ვალდებულების გარეშე. ამდენად, მოპასუხის განმარტებით, სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაემაყოფილდა, შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ შპს „თ.ს.კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 99 625 ლარის გადახდა; შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიმართ მიუღებელი შემოსავლის სახით, ყოველწლიურად 7%-ის დარიცხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

5. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „თ.ს.კ-ამ“, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალტის 2014 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „თ.ს.კ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის – 2456.40 ლარის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა, შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ შპს „თ.ს.კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2456.40 ლარი.

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიჩნია საქმისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. სააპელაციო პალატის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ მართებულად გამოიყენა იგი, კერძოდ, როგორც შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელით იკვევა, მოსარჩელე მიუღებელი შემოსავლის სახით ითხოვდა კონკრეტული თანხის – 2456.40 ლარის შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ დაკისრებას;

9. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მოიყვანა ის გარემოება, რომ მოპასუხის პოზიცია მიუღებელი შემოსავლის ოდენობასთან მიმართებაში აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა და არ ასახავდა იმ რეალურ ვითარებას, რომელიც იარსებებდა მოპასუხის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში, რაც სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ზიანის მიენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, როცა საქმე ეხება ფულად ვალდებულებას. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით. კერძოდ, სყიდვაუნარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის ნარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი, თუნდაც საბანკო პროცენტის სახით (რა გარემოებაზეც მოსარჩელე აპელირებს). ამგვარად, ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება ზიანის მიყენების

ფაქტის დადგენას. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი სს „ს. ბ-სა“ და შპს „თ.ს.კ-ას“ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, მოსარჩელე კომპანიის ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთს ერიცხება სარგებელი წლიური 7%-ის ოდენობით. აქედან გამომდინარე, პალატა ერთი მხრივ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სს „ს. ბ-სა“ და მოსარჩელეს შორის შეთანხმების უდავო ფაქტობრივ გარემოებად (გადაწყვეტილების 3.1.8 პუნქტი) დადგენას და მეორე მხრივ არ გაიზიარა შეთანხმების, როგორც მიუღებელი შემოსავლის განმსაზღვრელი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიჩნევის თაობაზე მსჯელობას, მით უფრო მაშინ, როდესაც ზიანის არსებობის დადგენას განსაკუთრებული მტკიცებულება არ სჭირდება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო სასამართლოს ის დასაბუთება, რომლითაც იგი ყურადღებას ამახვილებდა და განმარტავდა, რომ მოსარჩელის საქმიანობიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ მოპასუხის მიერ გადარიცხული თანხები აკუმულირებული იქნებოდა საბანკო ანგარიშებზე ხანგრძლივი დროით, რაც გახდებოდა მისთვის დამატებითი შემთავის წყარო.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ შპს „თ.ს.კ-ის“ სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილებით უნდა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის 2456.40 ლარის მოთხოვნის ნაწილში უნდა დაქმაყოფილებულიყო.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.კ.ა.ჯ-მა“, მოითხოვა შისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

14. კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, ვინაიდან შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ უნდა წარმოედგინა მტკიცებულება: а) კონკრეტულად აღნიშნული გალდებულების ჯეროვნად შესრულების შდემთხვევაში ანგარიშის სარგებელს მიიღებდა კრედიტორი; ბ) საგარანტიო თანხა გამიზნული იყო ბანკში ანაბარზე შესატანად; გ) სარგებლის მი-

დება პროგნოზირებადი იყო გარანტიისათვის. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ შეამოწმა არცერთი მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

15. კასატორის აზრით, შპს „ს. კ-ის“ მიერ წარმოდგენილი შეთანხმება ს. პ-ან საპროცენტო სარგებლის დარიხცვის თაობაზე არ უნდა მიჩნეულიყო მიუღებელი შემოსავლის დადგენის უტყუარ მტკიცებულებად, ვინაიდან ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის წარმოდგენილ საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაში მითითებულია სხვა საბანკო ანგარიში, რომელსაც წარმოდგენილი მტკიცებულებების შიხედვით არ ერთცხებოდა საპროცენტო ანგარიში.

16. სადაზღვევო კომპანიისათვის შეუძლებელია პროგნოზირებადი ყოფილიყო ანაბარზე თანხის განთავსების შესახებ ინფორმაცია ან ვარაუდი, ვინაიდან შპს „თ.ს.კ-ა“ წარმოადგენს სამენარმეო პირს რომელსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საბრუნავად მუდმივად ესაჭიროება ფულადი სახსრები და ამავე დროს განმეორებითი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში ავანსად უნდა გაეცა საგარანტიო თანხა. ამიტომ ნაკლებ დამაჯერებელია თანხის ანაზღაურების შემთხვევებაში მას აღნიშნული თანხა ს.პ-ის ანაბარზე განეთავსებინა და დალოდებოდა საპროცენტო სარგებლის მიღება.

17. კასატორის განმარტებით, მიუღებელი შემოსავლის დაკისრება სადაზღვევო კომპანიისათვის წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას და დარღვევას. სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გავრცელდეს სხვა მოთხოვნებზე გარდა საგარანტიო თანხით უზრუნველყოფილისა. სხვა შემთხვევები იგი გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობის გაზრდას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეზერვების არსებობასთან.

18. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოყენა სამოქალაქო კოდექსის 824-ე მუხლი, რომლის თანახმად, „დაზღვევა ვრცელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ მიუღებელ სარგებელზედაც, თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით“. მოცემულ შემთხვევები, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება გარანტიის პირობით გათვალისწინებული არ ყოფილა.

### სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლე-

ბის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

20. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.

21. აღნიშნულთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

22. 2012 წლის 20 აგვისტოს შპს „თ.ს.კ-სა“ და შპს „ს.ს-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძვლებზეც, შპს „ს.ს-მა“ იყისრა ვალდებულება შემკვეთისთვის მიერდებინა 550 ცალი რ-50 რელს;

23. აღნიშნული ხელშეკრულება 64 625 ლარის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიერ 2012 წლის 20 აგვისტოს №FRI/12-012942 საბანკო გარანტიით;

24. შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ მიერ 2012 წლის 12 ნოემბერს გაცემული №FRI/12-015484 საბანკო გარანტიით 85000 ლარის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა საავანსო ანგარიშსწორება;

25. 2012 წლის 31 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაიზარდა 2013 წლის 1 თებერვლამდე და მენარღემ წარმოადგინა მოპასუხის მიერ 2012 წლის 27 დეკემბერს გაცემული ახალი გარანტიები: №FRI/12-017301 და №FRI/12-017302, რომელთა მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 1 მარტის ჩათვლით;

26. 2013 წლის 22 იანვრის წერილებით შპს „თ.ს.კ-ამ“ მიმართა შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ და მოითხოვა №FRI/12-017301 და №FRI/12-017302 საბანკო გარანტიებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

27. შპს „თ.ს.კ-ამ“ 2013 წლის 7 მარტს განმეორებით მიმართა მოპასუხეს ვალდებულების შესრულების თაობაზე;

28. 2013 წლის 7 მარტს შპს „ს.კ.ა.ჯ-მა“ შპს „თ.ს.კ-ის“ ანგარიშზე გადარიცხა 50000 ლარი;

29. სს „ს.ბ-ან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თ.ს.კ-ის“ ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთს ერიც-

ხება სარგებელი წლიური 7%-ის ოდენობით.

30. სააპელაციო პალატის დასკვნით, უსაფუძვლო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მიუღებელი შემოსავლის განმსაზღვრელი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად სს „ს. ბ-სა“ და მოსარჩელეს შორის შეთანხმების არმინევის თაობაზე, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი სს „ს. ბ-სა“ და შპს „თ.ს.კ-ას“ შორის დადებული შეთანხმების თანახმად, მოსარჩელე კომპანიის ანგარიშზე არსებულ მიმდინარე ნაშთს ერიცხვა სარგებელი წლიური 7%-ის ოდენობით.

31. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან შპს „ს. კ-ის“ მიერ წარმოდგენილი შეთანხმება ს. ბ-ან საპროცენტო სარგებლის დარიცხვის თაობაზე არ უნდა მიჩნეულიყო მიუღებელი შემოსავლის დადგენის უტყუარ მტკიცებულებად; სადაზღვევო კომპანიისათვის შეუძლებელია პროგნოზირებადი ყოფილიყო ანაბარზე თანხის განთავსების შესახებ ინფორმაცია ან ვარაუდი, ვინაიდან შპს „თ.ს.კ-ა“ წარმოადგენს სამეწარმეო პირს, რომელსაც, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საბრუნვავად მუდმივად ესაჭიროება ფულადი სახსრები და, ამავე დროს, განმეორებითი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, ავანსად უნდა გაეცა საგარანტიო თანხა. ამიტომ წაკლებ დამაჯერებელია თანხის ანაზღაურების შემთხვევაში მას აღნიშნული თანხა ს. ბ-ის ანაბარზე განეთავსებინა და დალოდებოდა საპროცენტო სარგებლის მიღებას.

32. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის აღნიშნული პრეტენზია საფუძვლინა.

33. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევაში ზიანის მიყენების ფაქტის დადგენას განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება.

34. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, რომელზე მსჯელობის დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

35. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს

„ნმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.

36. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ. სუსგ 2011 წლის 24 ოქტომბერი, საქმე №ას-307-291-2011).

37. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „თ.ს.კ-ის“ მიერ წარმოდგენილი შეთანხმება ს. ბ-თან საპროცენტო სარგებლის დარიცხვის თაობაზე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიუღებელი შემოსავლის დადგენის საკმარის მტკიცებულებად. ის გარემოება, რომ სწორედ მოპასუხის მიერ გადარიცხული თანხების აკუმულირება მოხდებოდა ამ ანგარიშებზე მითითებული დროის განმავლობაში, მოსარჩევემ ვერ დაადასტურა. ვინაიდან შპს „თ.ს.კ-ა“ წარმოადგენს სამეწარმეო პირს, რომელსაც, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საპრუნავად მუდმივად ესაჭიროება ფულადი სახსრები და ამავე დროს განმეორებითი ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში ავანსად უნდა გაეცა საგარანტიო თანხა, ნაკლებად სავარაუდოა, თანხის ანაზღაურების შემთხვევაში მას აღნიშნული თანხა ს. ბ-ის ანაბარზე განეთავსებინა და დალოდებოდა საპროცენტო სარგებლის მიღებას, რაც მისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდებოდა. შესაბამისად, მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი სახეზე არ გვაქვს, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

39. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამარ-

თლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის – 2456.40 ლარის შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ დაისრების ნაწილში.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკასრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

41. მოცემულ შემთხვევაში, მონინააღმდეგე მხარე შპს „თ.ს.კ-ას“ შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ს.კ.ა.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „თ.ს.კ-ის“ სარჩელი მიუღებელი შემოსავლის 2456.40 ლარის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „თ.ს.კ-ას“ შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის

### გადახყველება საქართველოს სახელი

№ას-113-108-2014

1 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

6. წ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ლ-ს“ წინააღმდეგ სარჩოს დაკისრებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

6. წ-ს მეულე 6. კ-ი მუშაობდა შპს „ლ-ში“ დურგლად. 2011 წლის 29 მაისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 6. კ-ი ჩამოვარდა მეორე სართულის სახურავიდან და მიიღო მძიმე ტრავმა, რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვის აპარატზე. ტრავმის მიღებიდან მეათე დღეს 6. კ-ი გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დადგა განაჩენი, სადაც მოსარჩელე ცნობილ იქნა დაზარალებულად. ოჯახის ერთადერთი მარჩენალის გარდაცვალების, მასთან დაკავშირებული ფსიქომოციური სტრესის შედეგად, 6. წ-ს დაუზიანდა ჯანმრთელობა, კერძოდ, დაუდგინდა დეპრესია, რომელიც დღემდე გრძელდება და იგი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2013 წლის 19-20 მარტის შემოწმების შედეგად შრომისუუნაროდ იქნა ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა შპს „ლ-ისათვის“ 6. წ-ისთვის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის – 100000 ლარისა და ყოველთვიურად სარჩოს – 500 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით 6. წ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

და, მოპასუხე შპს „ლ-ს“ მოსარჩელე ნ. წ-ის სასარგებლოდ, 2013 წლის აპრილიდან დაეკისრა ყოველთვიური სარჩო 375 ლარის ოდენობით საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით. ნ. წ-ს მოთხოვნა მორალური ზიანის – 100 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძღლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

6. წ-მ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

შპს „ლ-მ“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ყოველთვიური სარჩოს გადახდისა და შპს „ლ-ისთვის“ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის; ასევე, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ და სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ 21.05.2013 წლის საოქმო განჩინებების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-სა“ და ნ. წ-ს სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. წ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ლ-ს“ ნ. წ-ს სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით, ნ. წ-ს სარჩელი სარჩოს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ნ. წ-ს შპს „ლ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე ნინასნარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 540 ლარის ანაზღაურება, შპს „ლ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის, 700 ლარის, გადახდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011 წლის 29 მაისს, ქ.თბილისში დ.აღმაშენებლის ხეივნის მე.... კმ/ზე არსებულ №... ნაკვეთში მდებარე შპს „ლ-ს“ მშენებარე ობიექტზე, მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობაზე მეორე სართულის გადასახურავად ბეტონის ჩასასხმელად ნაწილობრივ მოწყობილ ყალიბიდან, სამუშაოს წარ-

მოქმის დროს ჩამოვარდა შპს „ლ-ში“ დურგლად მომუშავე ნ. კ-ი, რის შემდეგაც გადაყვანილი იქნა ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც მიღებული ტრავმის შედეგად 2011 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა. აღნიშნული დასტურდება თბილის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით შპს „ლ-ს“ მიერ წარმოებულ მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი ოსტატი (ბრიგადირ ოსტატი) ჯ. ჯ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ, სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ნ. კ-ს სიცოცხლის მოსპობა;

ქორწინების მოწმობით დასტურდება, რომ ნ. წ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. კ-თან;

შპს „ფსიქიური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ 2012 წლის 4 ივნისის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნით დასტურდება, რომ ნ. წ-ს დაუდგინდა დიაგნოზი ზომიერი დეპრესიული ეპიზოდი. ნ. წ-ს ფსიქიური დაავადება პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირშია მისი მუულლის ტრაგიული დაღუპვის ფაქტთან;

შპს „ფსიქიური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ფორმა ..., სსე აქტის ამონანერით დასტურდება, რომ ნ. წ-ს 2013 წლის 19-20 მარტის შემოწმების შედეგად, დაუდგინდა შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსი – მნიშვნელოვნად გამოხატული; შრომის დასაშვები ან წინააღმდეგ ნაჩვენები პირობებისა და ხასიათის შესახებ – შრომის უუნარო;

საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ ნ. წ-ი მეუღლის გარდაცვალებამდე იყო შრომის უუნარო და იმყოფებოდა მეუღლის რჩენაზე.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის-თვის ყოველთვიური სარჩის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408-ე მუხლებზე მითითებით,

პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩეულე 6. წ-ი მოპასუხისგან ზიანის ანაზღაურებას სარჩიოს გადახდის გზით ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად გარდაიცვალა მისი მეუღლე, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მისი ფსიქიკური დაავადება. განსახილველ შემთხვევაში, ჯ. ჯ-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ზიანი უშუალოდ მიადგა 6. კ-ს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, სარჩიოს გადახდის მოთხოვნის უფლების მქონე პირი, ვინაიდან დაზარალებული 6. კ-ი გარდაცვლილია.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1006.1-ე, 1182-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა, რომ 6. წ-ი წარმოადგენდა იმ პირს, ვისი რჩენაც ევალებოდა გარდაცვლილ 6. კ-ს, გამომდინარე იქიდან, რომ ამ უკანასკნელის გარდაცვლების მომენტისათვის 6. წ-ი არ იყო შრომის უუნარო და არც სხვა რაიმე გარემოება არსებობდა იმისა, რაც 6. კ-ს მეუღლის რჩენის ვალდებულებას დაადასტურებდა.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატის მოსაზრებით, 6. წ-ს მოთხოვნა მოპასუხის მიმართ სარჩის დაკისრების შესახებ, უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

პალატამ მიიჩნია, რომ 6. კ-ს გარდაცვალებით გამოწვეულ სამოქალაქო ზიანზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს „ლ-ი“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი განაჩენით დადგენილია, რომ 6. კ-ს ზიანი მიადგა შპს „ლ-ი“ მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას, შესაბამისად, მოპასუხე მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს.

მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა, პალატამ მიიჩნია, რომ ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი სარჩელით 6. წ-ი მორალურ ზიანის სახით მოპასუხისგან ითხოვდა 100 000 ლარის გადახდას. სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე 6. წ-ს წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩე-

ლო მოთხოვნა და მორალური ზიანის სახით მოითხოვა 25 000 ლარის ანაზღაურება.

პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ცნობა, რომლის შესაბამისად, მოსარჩელემ 2012 წლის 9 მარტს მიმართა სს „ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კინსტიტუტს“, სადაც დაესვა დიაგნოზი – ზომიერად გამოხატული დეპრესიული ეპიზოდი, ავადმყოფობის მიმდინარეობა – უწყვეტი, ქრისტიანული; საქმეში ასევე წარმოდგენილია შპს „ფსიქიატრი ჯანმრთელობისა და ნარკომანის პრევენციის ცენტრის“ 2012 წლის 4 ივნისის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტის №... დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ ნ. ნ-ს ფსიქიატრი დაავადება პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მისი მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის ფაქტთან. ამდენად, დადგენილია, რომ მოპასუხის მუშავის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გარდაიცვალა ნ. კ-ი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ნ. ნ-ს ფსიქიატრი დაავადება. აღნიშნული კი წარმოადგენს ამ უკანასკნელის მხრიდან მოპასუხის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა მოპასუხის ეკონომიკურ მდგომარეობა, ასევე, მისი მოქმედებები ნ. კ-ს გარდაცვალების შემდგომ, კერძოდ, ის, რომ შპს „ლ-მა“ მატერიალური დახმარება გაუწია დაზარალებულის ოჯახს, გადაიხადა მეურნალობის, ქელების, ორმოცის, სასაფლაოს ხარჯები, გარდა ამისა სარჩოს სახით ოჯახს დაუწიოს, მოსარჩელე ნ. ნ-ს თვეში 375 ლარი, რასაც უხდიდა 2012 წლის ოქმერვლამდე, შემდეგ კი ოჯახის წევრების მოთხოვნით სარჩო შეუწყვიტა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიაჩნია, რომ მორალური ზიანის სახით მონინააღმდეგე მხარე შპს „ლ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 10 000 ლარის გადახდა.

პალატამ არ გაიზიარა შპს „ლ-ს“ მოტივაცია სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.05.2013 წლის საოქმო განჩინების უსწორობასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან მიმართებით, იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე, 109-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა, რადგან საქმეში წარმოდგენილი იყო შპს „ფსიქიატრი ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ 2012 წლის 4 ივნი-

სის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ეთანხმებოდა საქმეში წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნის შინაარსს, მას შეეძლო სასამართლოს-გან დამოუკიდებლად უზრუნველეყო ექსპერტიზის ჩატარება, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მას ხელს შეუშლიდა ამაში, მოპასუხე უფლებამოსილი იყო, სასამართლოსთვის ეთხოვა მტკიცებულების უზრუნველყოფა ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე, რაც მას არ განუხორციელებია.

პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთვევაში არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება, რადგან მხარეებს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა დაუსაბუთებლობის მოტივით სადაც არ გაუხდიათ.

პალატამ არ გაიზიარა შპს „ლ-ს“ განმარტება, რომ სადაც ექსპერტიზის დასკვნაზე ხელმომწერმა პირებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება დაედგინათ 6. წ-ს შრომის უუნარობა. პალატამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტიზის დასკვნის სარეზოლუციო ნაწილზე, სადაც მითითებულია, რომ შრომისუუნარობის დადგენა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომპეტენციაში არ შედის, რაც, პალატის მოსაზრებით, არ გულისხმობს იმას, რომ ექსპერტიზის დასკვნაზე ხელის მომწერ ექიმ-ფსიქიატრებს არ გააჩნიათ ასეთი კომპეტენცია ექსპერტიზის ფარგლებს მიღმა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე შპს „ლ-ს“ პოზიცია სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 21.05.2013 წლის საოქმო განჩინების უსწორობასთან დაკავშირებით. აპელანტი სააპელაციო სააჩივარში უთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში, რომლის მასალების გამოთხოვასაც ითხოვდა, განთავსებულია მონმეთა ჩვენებები, რომლებითაც დადასტურდებოდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხებ 6. წ-ს სამუშაოს შესასრულებლად გადასცა ყველა სახის აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაოს შესრულების უსაფრთხოებას. 6. კ-მა თვითნებურად მოიხსნა დამცავი ქამარი, რითაც თავად გამოიწვია მძიმე შედეგის დადგომა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შპს „ლ-ს“ წერილობით შუამდგომლობაზე, რომლითაც მოპასუხის წარმომადგენელი სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვას ითხოვს იმ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, რომ დამდგარი მძიმე შედეგი გამოწვეულ

იქნა ან გარდაცვლილი ნ. კ-ს ქმედებით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენა, რომლითაც დასტურდება დამდგარ შედეგში მხოლოდ ჯ. ჯ-ს ბრალეულობა, სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვას სადაც გარემოების დასადასტურებლად საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ლ-ს“ მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს თავისი ინიციატივით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად საქმეში უნდა ჩერთო ჯ. ჯ-ე, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქადაქო საპროცესო კოდექსის 89-90-ე მუხლების საფუძველზე დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმა ხდება თავად ამ პირის ან ერთერთი მხარის ინიციატივის საფუძველზე. ამასთან, პალატის აზრით, უშუალოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას არ შეუძლია შემდგომში გავლენა მოადინოს ჯ. ჯ-ს უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ლ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლომ კომპანიას დააკისრა მორალური ზიანის გადახდა იმის გამო, რომ კომპანიის მუშაკის ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, მორალური ზიანი მიადგა მოსარჩევე ნ. ნ-ს. სასამართლომ ჯ. ჯ-ს მონაწილეობის გარეშე იმსჯელა მის ბრალეულობაზე და მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებების დადგენით მივიდა დასკვნამდე, რომ მას ბრალი მიუძღვის მძიმე შედეგის დადგომაში ისე, რომ არ გაარკვია თვით ბრალეული პირის პოზიცია. ამდენად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ „უშუალოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას არ შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს ჯ. ჯ-ს უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ“.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 997-ე და 1006-ე მუხლები. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საპელაციო სასამართლოს დასკვნები ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრატიკას.

კასატორის აზრით, უკანონოა თბილისის სააპელაციო სასა-

მართლოს 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული შუამდგომლობა მიმართული იყო მოპასუხის საპროცესო უფლებების დაცვისკენ. იგი არ იყო მიმართული პროცესის გაჭიანურებისკენ, ვინაიდან მოპასუხემ შესაგებლით სადავოდ გახადა ზემოასხევებულ მტკიცებულებებში ასახული გარემოებები და ამის გასაქარნყლებლად ითხოვდა ექსპერტიზის ჩატარებას.

კასატორის განმარტებით, ასევე უკანონო საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის მასლების გამოთხვაზე უარის თქმის შესახებ;

კასატორის მოსაზრებით, მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში შპს „ლ-ი“ არასათანადო მოპასუხეა, ვინაიდან სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, ჯ. ჯ-ს მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო, ნ. კ-მ მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც იგი გარდაიცვალა. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ამავე კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი. როგორც ირკვევა, ნ. წ-ი ითხოვს უშუალიდ დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას, შესაბამისად, დანაშაულით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე, პასუხი უნდა გასცეს დანაშაულის ჩამდენმა პირმა და არა კომპანიამ, რომელშიც დამნაშავე პირი მუშაობდა.

ამასთან, კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, ნ. წ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რის გამოც შპს „ლ-ს“ სახელმწიფო ბაჟი უნდა დაკისრებოდა არა 700, არამედ 400 ლარის ოდენობით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „ლ-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 29

მაისს, ქ.თბილისში დ.აღმაშენებლის ხეივნის მე-... კმ/ზე-ბულ №... ნაკვეთში მდებარე შპს „ლ-ს“ მშენებარე ობიექტზე, მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობაზე მე-ორე სართულის გადასახურავად ბეტონის ჩასასხმელად ნაწილობრივ მოწყობილ ყალიბიდან, სამუშაოს წარმოების დროს ჩა-მოვარდა შპს „ლ-ში“ დურგლად მომუშავე ნ. კ-ი, რის შემდეგაც გადაყვანილი იქნა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც მიღებული ტრაგმის შედეგად 2011 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით შპს „ლ-ს“ მიერ წარმოებულ მშენებლობაზე უსაფრთხოების წეს-ბის დაცვისთვის პასუხისმგებელი პირი ოსტატი (ბრიგადირ ოსტატი) ჯ. ჯ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ. ბრალად შეერაცხა სა-ქართველოს სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწი-ნებული დანაშაული, კერძოდ, სამშენებლო სამუშაოს წარმოე-ბისას უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ნ. კ-ს სიცოცხლის მოსპობა. ნ. წ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. კ-თან. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარ-კომანის პრევენციის ცენტრის“ 2012 წლის 4 ივნისის ამბულა-ტორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დას-კვნით დასტურდება, რომ ნ. წ-ს დაუდგინდა დიაგნოზი ზომიე-რი დეპრესიული ეპიზოდი. ნ. წ-ს ფსიქიკური დაავადება პირდა-პირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მისი მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის ფაქტთან. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარ-კომანის პრევენციის ცენტრის“ მიერ გაცემული ფორმა ..., სსე აქტის ამონანერით დასტურდება, რომ ნ. წ-ს 2013 წლის 19-20 მარტის შემოწმების შედეგად, დაუდგინდა შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსი – მნიშვნელოვნად გამოხატული; შრომის დასტვები ან წინააღმდეგ ნაჩვენები პირობებისა და ხასიათის შესახებ – შრომის უუნარო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის სწორად გა-დაწყვეტისათვის პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა ოჯახის წევრის გარდაცვალების შე-დეგად ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანის ანაზღლაურების მოთხოვნის შესაძლებლობას?

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-ნახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღლაურება შე-იძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზ-ღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღლაუ-რების სახით.

აღნიშნული ნორმის იმპერატიული დანაწესია, რომ მორალუ-

რი ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მორალური ზიანი არის იმ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომლსაც ქონებრივი შესატყვევისი არ გააჩნია და განცალკევებულია პირის ეკონომიკური მხარისაგან. იგი მატერიალური ზიანის საპირისპიროა და არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზარალთან, შემოსავლების შემცირებასთან ან გამდიდრების არ არსებობასთან. მოქმედი კანონმდებლობა, მართალია, ითვალისწინებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფის დროს, ამასთან, ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, არსებობოდეს დელიქტური ვალდებულებებისათვის დამახასიათებელი სქემა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. სასამართლო მიუთითებს, რომ ბევრ შემთხვევაში – სახელშეკრულებო თუ დელიქტური ურთიერთობის დროს (მით უმეტეს პირის გარდაცვალებისას), შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს მორალური ზიანი, მაგრამ თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. გარკვეულ სამართლებრივ თუ ცხოვრებისეულ ვითარებაში პირმა შეიძლება განიცადოს ძლიერი სულიერი ტანჯვეა. ოჯახის წევრის გარდაცვალება ყოველთვის უკავშირდება მძიმე განცდებს და ფსიქოლოგიურ ტრავმას, რამაც, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯანმრთელობის დაზიანებაც გამოიწვიოს, მაგრამ მეორე საკითხია, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჯანმრთელობის დაზიანება ზიანის მიმყენებლის ქმედებასთან უშუალო და პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს. მოპასუხე პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბუნებრივი და თანმდევი შედეგია. ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირს გააჩნია, ვისაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიადგა ჯანმრთელობის დაზიანება. „დაზარალებული“ ამ შემთხვევ-

ვაში არის უშუალო მსხვერპლი და არა მისი ოჯახის წევრი. საკა-საციონ სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გა-მონვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-ბა აქეს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს, სხვა პირის მიერ ანაზ-ღაურების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სა-სამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია. ეს კონცეფცია ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით დადგენილ წესს. აღნიშნული ნორმა აწესებს გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე მუხლით აკრძალულია გარდაცვალების შემდეგ მორალუ-რი ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა (იხ. მაგ. სუსგ №3კ-1218-01, №ას-14-1466-05 და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელა-ციონ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექ-სის 413-ე მუხლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვე-ლია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვა-ლისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპე-ლაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეიძლება საქმის ხელახლა გან-სახილველად დაბრუნება და თუ არ არსებობს ამ ნორმით გათ-ვალისწინებული საფუძვლები, საკასაციო სასამართლომ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმე სააპელაციო სასა-მართლოს უბრუნდება ხელახლა განსახილველად, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი და-უსაბუთებლობა არ შეიძლება, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი გახდეს. განსახილველ შემთხვევაში, დაის არასწორად გადაწყვეტა სამოქალაქო კოდექსის შესაბა-მისი ნორმების არასწორად განმარტებამ გამოიწვია, ამასთან, არ არსებობს მტკიცებულებათა გამოკვლევის, ან ფაქტების

დადგენის საჭიროება, ამდენად, საკასაციო სასამართლომ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. წ-ს სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ კასატორი ასევე პრეტეზზიას აცხადებდა იმ გარემოებებზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საოქმო განჩინებებით არ გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალები და არ დანიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა, საპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული საოქმო განჩინებები ძალაში დატოვა, მაგრამ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი საერთოდ არ არსებობს, მითითებული საკითხებს კვლევის საჭიროება გამოირიცხება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ნ. წ-ს სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ კმაყოფილდება, ამ უკანასკნელმა შპს „ლ-ს“ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 500 ლარი უნდა აუნაზღაუროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი თ ა:**

1. შპს „ლ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „ლ-სათვის“ 6. წ-ს სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების – 10 000 ლარის და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-4, მე-5, მე-8) პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილებები.

**ყვეტილება:**

3. 6-ს სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. 6-ს დაეკისროს შპს „ლ-ს“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 500 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. ვალდებულების შესრულების მიღება

### განხილვა

№ას-1024-982-2014

28 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
8. ქლიერიშვილი,  
6. ბაქაქური

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

თ. წ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა თ. ა-ისათვის (შემდგომში – მოპასუხე) 2012 წლის 16 მარტს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 4 000 აშშ დოლარის დაკისრება.

2. მოპასუხის პირიცია:

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, 1 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში ცნო იმ საფუძვლით, რომ ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნია, ხოლო 3 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით განმარტა, რომ ეს თანხა ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს იქნა გადახდილი, ხოლო 1 000 აშშ დოლარი, მოსარჩელის თანხმობით გადასცა მ. პ-ს (შემდგომში – მესამე პირი), რითაც შეასრულა მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ნასყიდობის სრული თანხის – 10 000 ლარის გადახდის ვალდებულება.

3. მესამე პირის პირიცია:

მესამე პირმა სარჩელი ნაწილობრივ ცნო, ამასთან, მიუთითა მას და მოსარჩელეს შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომლის ფარგლებშიც თავად მოძებნა უძრავი ქონების შეძენის მსურველი პირი – მოპასუხე. მესამე პირი ესწრებოდა ხელშეკრულების შედგენას, როგორც მოწმე და დაადასტურა მოპასუხის მიერ 3 000 აშშ დოლარის ხელშეკრულების ხელმოწერისას გადაცემა. ეს თანხა მოსარჩელემ ასესხა მესამე პირს და თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელს სწორედ მესამე პირი წარმოადგენს.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე-

## **ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასამართლოდ დაეკისრა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის – 4 000 აშშ დოლარის გადახდა.

### **5. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასამართლოდ დაეკისრა 1 000 აშშ დოლარის გადახდა.

6.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, 2012 წლის 16 მარტის სანოტარო წესით გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების შესავალ ნაწილში არსებული მითითება, რომლის თანახმადაც მესამე პირმა, მოსარჩელის თხოვნით, ნოტარიუსი მიიყვანა მის საცხოვრებელ მისამართზე, ადასტურებდა ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ მესამე პირი ნარმოადგენდა მოსარჩელის ნდობით აღჭურვილ პირს და უშუალოდ მონაწილეობდა და ესწრებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების პროცესს.

6.1.2. 2012 წლის 16 მარტს მხარეებს შორის სანოტარო წესით გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №..., რომელიც ნოტარიუსის მიერ შედგენილ იქნა მოსარჩელის საცხოვრებელ მისამართზე. ხელშეკრულებაში მოწმედ მიეთითა მესამე პირი. აღნიშნული ხელშეკრულების პირველი ნაწილის მიხედვით, მყიდველი უძრავ ქონებაზე საკუთრებას იძენდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მყიდველის რეგისტრაციის დღიდან, რისთვისაც აუცილებელი იყო ხელშეკრულების ერთი ეგზებულარისა და განცხადების ნარდგენა რეგისტრაციის მოთ-

ხოვნით. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგანი გაიყიდა 4 000 აშშ დოლარად, აქედან 3 000 აშშ დოლარი მყიდველის მიერ გადახდილი უნდა ყოფილყო ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დროს, ხოლო დარჩენილი 1 000 აშშ დოლარი – არა უგიანეს 2012 წლის 17 მარტისა, რომლის დროსაც შედგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი.

6.1.3. 2013 წლის 24 ივნისს შედგენილი ხელწერილის თანახმად, მოპასუხემ, 2012 წლის 16 მარტის ხელშეკრულების საფუძვლზე, ნასყიდობის ფასი 10 000 ლარი გადასცა მესამე პირს.

6.1.4. მესამე პირის მიერ შედგენილი ხელწერილის მიხედვით, მან მოპასუხისაგან 2012 წლის 16 მარტს აიღო ფულადი თანხა სამ ნაწილად, სულ 10 000 ლარი.

6.1.5. საჯარო რეესტრის 2012 წლის 12 ოქტომბრის ამონანერით უძრავი ქონების (მდებარე გორის რაიონი სოფელი ბ-ი, საკადასტრო კოდით №...) მესაკუთრედ მითითებულია მოპასუხე, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად – 16.03.2012წ. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. მოგვიანებით ამავე ქონებაზე თანამესაკუთრედ აღირიცხა კ.გ. – 15.10.2012წ. უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

6.1.6. დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით პალატა დაეთანხმა აპელანტის მსჯელობას, რომ სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ დასახელებული მესამე პირისა და ამავდროულად სანოტარო აქტის გაფორმებისას მყოფი მოწმის ახსნა-განმარტება. ამასთან მოწმე თავის ახსნა-განმარტებებში ადასტურებდა, რომ 3 000 აშშ დოლარი მოპასუხემ მოსარჩელეს ნამდვილად გადაუხადა.

6.1.7. სასამართლომ მიუთითა ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ ხელშეკრულების დათქმა – „3 000 აშშ დოლარი მყიდველის მიერ გადახდილი უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დროს“, უნდა განმარტებულყო იმგვარად, რომ თანხის გადახდა და ხელშეკრულების გაფორმება უნდა მომხდარიყო ერთდროულად, რაც თავისი შინაარსით ადასტურებდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ გადახდილ იქნა 3 000 აშშ დოლარი, რისთვისაც დამატებით მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის საჭიროება არ არსებობდა და აღნიშნულის აუცილებლობა არც თავად ნასყიდობის ხელშეკრულებიდან არ გამომდინარებდა.

6.1.8. გაზიარებულ იქნა აპელანტის მსჯელობა, რომლის თა-

ნახმადაც სასამართლომ არასწორად არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ აპელანტმა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში აღირიცხა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან შვიდი თვის შემდეგ, 2012 წლის 12 ოქტომბერს, ხელწერილი მესამე პირისათვის 10 000 ლარის გადაცემის თაობაზე შედგენილი იყო კიდევ უფრო მოგვიანებით, 2013 წლის 24 ივლისს, ამავე თარიღით, 2013 წლის 24 ივლისით თარიღდებოდა მესამე პირის ხელწერილი მოპასუხისაგან 2012 წლის 16 მარტს 10 000 ლარის სამნილად მიღების თაობაზე. განსახილების დავის სწორად გადაწყვეტისათვის, სასამართლის შეფასებით, მნიშვნელოვანი იყო დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში ანალიზისა და შეფასების შედეგად, შესაბამისად, არ იქნა გაზიარებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მყიდველის მიერ ნასყიდობის თანხა გადახდილი არ იყო, რადგანაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, 3 000 აშშ დოლარის გადახდის მომენტად ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების მომენტი იყო მითითებული. გარდა ამისა, მყიდველს მიეცა საშუალება, შვიდი თვის შემდგომ საკუთრების უფლებით ალერიცხა ნასყიდობის საგანი საჯარო რეესტრში, ხოლო საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელის მიერ მყიდველისთვის თანხის მოთხოვნის თაობაზე. პალატის მოსაზრებით, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლისა და ოთხი თვის შემდეგ, ერთსა და იმავე დღეს, 2013 წლის 24 ივლისს, მოპასუხისა და მესამე პირის მიერ ხელმოწერილი ხელწერილები ხელშეკრულების მე-2 პუნქტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების (3 000 აშშ დოლარის 2012 წლის 16 მარტს გადახდის თაობაზე) საპირისპირო და გამომრიცხავ მტკიცებულებად ვერ მიიჩნეოდა.

6.1.9. მოპასუხის მიერ 2012 წლის 16 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასის 2012 წლის 16 მარტს (როგორც ეს ხელშეკრულებაშია მითითებული), ანუ ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმების მომენტში მესამე პირისათვის გადახდის დადასტურებად მიჩნევის შემთხვევაშიც, მოპასუხის ვალდებულება შესრულებულად უნდა ჩათვლილიყო მოსარჩელის მიმართ, რადგანაც მესამე პირი ნოტარიუსისათვის მიმართვისა და სანოტარო მოქმედების განხორციელებისა მოქმედებდა, როგორც მოსარჩელის ნდობით აღჭურვილი პირი, შესაბამისად, სწორედ მოსარჩელის სამტკიცებელი

იყო გარემოება იმის თაობაზე, რომ მესამე პირისათვის თანხის გადაცემა, ასეთის დადგენის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მის ნება-სურვილს არ შეესაბამებოდა.

6.1.10. რაც შეეხებოდა დარჩენილ 1 000 აშშ დოლარს, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია, რადგანაც ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის ჩანაწერიდან ნათლად იკვეთებოდა, რომ 1 000 აშშ დოლარზე, რომლის გადახდაც უნდა მომხდარიყო მოგვიანებით, 2012 წლის 17 მარტს, მხარეებმა შეიმუშავეს დამატებითი რეგულაცია მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი საქმეში წარმოდგენილი არ იყო, შესაბამისად, არ დასტურდებოდა მყიდველის მიერ გამყიდველისათვის დამატებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. გარდა ამისა, მოპასუხებ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში 1 000 აშშ დოლარის ნაწილში სარჩელი ცნო, რაც აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

6.1.11. დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით, 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით, 361-ე მუხლით, 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და აღნიშნა, რომ სარჩელი ნაწილობრივ, მოპასუხისათვის 1 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

## 7. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და რაონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

### 7.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ნოტარიუსთან გამოცხადებული მესამე პირი წარმოადგენდა მოსარჩელის ნდობით აღჭურვილ პირს, რადგანაც, მსგავს შემთხვევაში, მოსარჩელე მის სახელზე გასცემდა მინდობილობას, თავად სანოტარო აქტით კი, დასტურდება, რომ მესამე პირი იყო მხოლოდ მოწმე გარიგების დადებისას და მან, როგორც მოწმემ, ისე მოაწერა ხელი სანოტარო აქტზე.

7.1.2. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მოწმის წინაშე ვალდებულების შესრულება უნდა ჩათვლილიყო მოსარჩელის მიმართ შესრულებად, რადგანაც მესამე პირი სანოტარო აქტის შედგენისას მოქმედებდა, როგორც გამყიდველის ნდობით აღჭურვილი პირი. აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ

სასამართლოს მოსაზრებას, რომელიც რაიმე მტკიცებულებას არ ემყარება. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ნასყიდობის ფასი იყო 4 000 აშშ დოლარი და არა 10 000 ლარი.

7.1.3. საქმეში წარმოდგენილი ხელწერილებით, რომლებიც სადაცოდ არავის გაუხდია და იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ, ირკვევა, რომ მოპასუხებ მესამე პირს სადაც ნასყიდობის ანგარიშში გადასცა 10 000 ლარი, თუმცა სასამართლო მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელემ 3 000 აშშ დოლარი მიიღო.

7.1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინააღმდეგ, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში არ არის მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლომ სამოტივაციო წარმომადგენი არავასა, ამასთანავე, 4.3 და 4.4. პუნქტებში, მართალია, მსჯელობს მოწინააღმდეგე მხარესა და მესამე პირს შორის გაფორმებულ ხელწერილებზე, თუმცა რას ადასტურებს ეს გარემოება, სასამართლოს არ აუსახავს გადაწყვეტილებაში.

7.1.5. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მესამე პირის მტკიცება მოსარჩელისათვის თანხის გადახდის თაობაზე, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ ეს პირი არ იყო მოწმე, არამედ მესამე პირის სტატუსი გააჩნდა დავაში და წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს, გარდა აღნიშნულისა, თანხის გადახდის ფაქტი უნდა დადასტურებულიყო სათანადო მტკიცებულებით.

7.1.6. სააპელაციო პალატამ მიუთითა მოპასუხის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის თარიღზე და აღნიშნა, რომ სარჩელის აღძვრამდე მოსარჩელის მხრიდან თანხის მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყო წარმოადგენილი, თუმცა სასამართლოს არ შეუფასება მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარება და ის გარემოება, რომ სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაშია აღძრული, ამასთანავე, პალატამ დაასკვნა, რომ შემძენმა თანხა გამყიდველს დათქმულ ვადაში გადასცა, თუმცა მხედველობაში არ მიიღო ის, რომ მოგვიანებით მოპასუხებ ხელწერილი დაწერა, რომ ეს თანხა გადაცემული ჰქონდა მესამე პირისათვის. სააპელაციო სასამართლო ვალდებულებას შესრულებულად მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც, თუ ის არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულდა. პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე და 477-ე მუხლები.

### სამოტივაციო წარმომადგენი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. განსახილველი დაგის საგანი შემძენის მიერ უძრავი ქონების ნასყიდობის თანხის გადახდაა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს მისთვის ნივთის ღირებულება არ აუნაზღაურებია, არამედ, მისივე განმარტებით, შემძენმა ეს თანხა გადასცა პირს, რომელიც ხელშეკრულების შედგენას მოწმის სტატუსით ესწრებოდა, ამასთანავე, მოპასუხემ ხელწერილით დაადასტურა მოწმისათვის 10 000 ლარის გადახდის ფაქტი.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ:

1.2.1. 2014 წლის 16 მარტს სანოტარო ბიუროს მიმართა მოქალაქე მ. პ-მა (მესამე პირი), რომელმაც განაცხადა, რომ ასრულებდა მოსარჩელის ოხოვნას, რომელსაც სურდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, არ შეეძლო სანოტარო ბიუროში მისვლა, რის გამოც ითხოვდა ნოტარიუსის გამოცხადებას მოსარჩელის საცხოვრებელ მისამართზე;

1.2.2. 2012 წლის 16 მარტს მხარეებს შორის სანოტარო წესით გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ნოტარიუსის მიერ შედგენილ იქნა თ. წ-ის საცხოვრებელ მისამართზე. ხელშეკრულებაში მოწმედ მიეთითა მესამე პირი. ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, მყიდველი უძრავ ქონებაზე საკუთრებას იძენდა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან, რისთვისაც აუცილებელი იყო ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარისა და განცხადების წარდგენა რეგისტრაციის მოთხოვნით. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით, მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგანი გაიყიდა 4 000 აშშ დოლარად, აქედან 3 000 აშშ დოლარი მყიდველის მიერ გადახდილი უნდა ყოფილიყო ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დროს, ხოლო დარჩენილი 1 000 აშშ დოლარი – არა უგვიანეს 2012 წლის 17 მარტისა, რომლის დროსაც შედგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი;

1.2.3. 2013 წლის 24 ივლისს თ.ა-ის მიერ შედგენილი ხელწერილის შესაბამისად, შემძენმა, 2012 წლის 16 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, ნასყიდობის ფასი 10 000 ლარი გადასცა მესამე პირს;

1.2.4. მესამე პირის მიერ შედგენილი ხელწერილის მიხედვით, მან მოპასუხისაგან 2012 წლის 16 მარტს აიღო ფულადი თანხა სამ ნაწილად, სულ 10 000 ლარი;

1.2.5. 2012 წლის 12 ოქტომბრის ამონანერით საჯარო რეესტრიდან, გორის რაიონის სოფელ ბ-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ მითითებულია მოპასუხე, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად – მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულება.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოპასუხის მიერ 3 000 აშშ დოლარის ნაწილში ვალდებულების შესრულების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ამასთანავე, ვალდებულების შესრულების თაობაზე სააპელაციო პალატის დასკვნები ურთიერთნინააღმდეგობრივია.

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტებს და მიიჩნევს, რომ სასამართლოს სადავო დასკვნა არ ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

1.6. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული დარღვევა გამოიხატება შემდეგში:

1.6.1. ნასყიდობის ფასიდან 3 000 აშშ დოლარის გადახდა სასამართლომ, ერთი მხრივ, დაუკავშირა ხელშეკრულების მე-2 მუხლის ჩანაწერს, რომლის თანახმადაც ეს თანხა უნდა გადახდილიყო ხელშეკრულების დადასტურების დროს, ამასთანავე, მითითებული მუხლი პალატამ განმარტა იმგვარად, რომ 3 000

აშშ დოლარის გადახდაზე სავალდებულო არ იყო შესრულების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) შედგენა, განსხვავებით 1 000 აშშ დოლარისა, რომლის შესრულების ნაწილშიც მხარეებმა წინასწარვე განსაზღვრეს, რომ ეს თანხა უნდა გადახდილიყო არა უგვიანეს 2012 წლის 17 მარტისა, რომლის დროსაც შედგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი.

1.6.2. მეორე მხრივ, სასამართლო დაეყრდნო მოპასუხისა და მესამე პირის მიერ ცალმხრივად შედგენილ ხელწერილებს, რომლებშიც საუბარია არა სადავო 3 000 აშშ დოლარის, არამედ 2012 წლის 16 მარტს მესამე პირის მიერ მოპასუხისაგან 10 000 ლარის მიღებაზე, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისას, 2012 წლის 16 მარტს, შემძენის მიერ მოწმისათვის თანხის გადახდის ფაქტი მოსარჩელის წინაშე ვალდებულების შესრულებას ადასტურებდა, რადგანაც მ.პ-ი ნოტარიუსისათვის მიმართვისა და სანოტარო მოქმედების შესრულებისას მოქმედებდა, როგორც მოსარჩელის ნდობით აღჭურვილი პირი.

1.6.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნდობით აღჭურვილი პირის სამართლებრივ სტატუსში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა გამყიდველსა და მოწმეს შორის დავალების სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა (თუნდაც ზეპირი ფორმით დადებული), თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ დასაბუთებაში ქვემდგომ სასამართლოს არ დაუდგენია სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის იურიდიული შემადგენლობის არსებობა. ასეთ შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება საკითხი იმის თაობაზე, არაუფლებამოსილი პირის წინაშე შესრულებით შეწყდა თუ არა ვალდებულება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების მიღებას არაუფლებამოსილი პირის მიერ არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი, რომლის მე-2 ხანილის თანახმად, თუ ვალდებულების მესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თაობაზე ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. განსაზილველი ნორმის განმარტებისას, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასითებელი ვალდებულების შესრულების თაობაზე კანონით (477.2 მუხლი) გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ვლინდება ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენაში.

**1.6.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომლის თანახმადაც, მოსარჩევლის სამტკიცებელი იყო ის გარემოება, რომ მოწმისათვის თანხის გადაცემა, ასეთის დადასტურების შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებისას გამყიდველის ნება-სურვილს არ შეესაბამებოდა. არაუფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებულების შესრულებისას (373-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მოვალეს ეკისრება იმისი დამტკიცება, რომ ამ პირის (იგულისხმება არაუფლებამოსილი პირი) წინაშე ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორმა გასცა თანხმობა და/ან ამ შესრულებით მიიღო სარგებელი. საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროს სადაო და უდავო ფაქტები. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განანილების პროცესიც სწორედ აյ პოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანანილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განანილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნანილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემული მუხლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში განხილვის შედეგად შეიძლება დაგასკვნათ, რომ მხარე, რომელმაც სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, მას აწევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს სანინაალმდეგოს დამტკიცების ტვირთი“ (იხ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 11 ნოემბერი, 2013 წელი).**

**1.7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანხმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო დენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. დასახელე-**

ბული ნორმის თანახმად, გარიგების სადავო დებულების განმარტება უნდა მოხდეს თავად გარიგების მთელი შინაარსის, იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც შესაძლოა, მხარეებს ევარაუდათ სადავო დებულების ფორმირებისას. მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ გვაქვს იმგვარი ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს მისცემდა ვარაუდის საფუძველს თანხის ნაწილის გადახდის თაობაზე, როგორიცაა, მაგალითად: „გადახდილია ნინამდებარე გარიგების დამოწმების დროისათვის“ და სხვა. ხელშეკრულების დათქმა, რომლის მიხედვითაც 3 000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დამოწმებისას, მიუთითებს მომავალში თანხის გადახდის ვალდებულებაზე, ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ 3 000 აშშ დოლარის გადახდაზე არ უნდა შემდგარიყო მიღება-ჩაბარების აქტი, არ ეფუძნება სასამართლოს მხრიდან მხარეთა ნამდვილი ნების სათანადოდ გამორკვევას (სსსკ-ის 128-ე მუხლი). კასატორმა დასაბუთებული შედავება ნარმოადინა იმ თვალსაზრისითაც, რომ კრედიტორის ნინაშე ვალდებულების შესრულების ფაქტი მესამე პირის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით არ შეიძლებოდა დადგენილიყო. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მე-2 მუხლი, რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს შემძენის მიერ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფორმა და წესი. რა თქმა უნდა, ამ ფორმის დაუცველობას შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა, როდესაც ვალდებულების შესრულება არ იწვევს დავას ან/და ვალდებულების შესრულება ცალსახად ვლინდება ობიექტური გარემოებიდან, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც კრედიტორი შესრულების ფაქტს სადავოდ ხდის, ხელშეკრულების ამ პირობას (ვალდებულების შესრულების წესზე და ფორმაზე შეთანხმებას) შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც სანოტარო აქტი არ შეიცავს დათქმას 3 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე, მიღება-ჩაბარების აქტი ნარმოადგენს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებას და მიუთითებს უფლებაშემწყვეტ იურიდიულ მოქმედებაზე.

1.8. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, რომელმაც სათანადო, განკუთვნადი მტკიცებულება უნდა ნარუდგინოს სასამართლოს. ვალდებულების შესრულების

მიმართ ამგვარ მტკიცებულებას პირდაპირ განსაზღვრავს კანონი სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით. სადაცობის შემთხვევაში, მოვალეს ყოველთვის ეკისრება სავალო საბუთის წარდგენის ვალდებულება, რათა დაამტკიცოს შესრულება. ამასთანავე, რადგანაც კანონითვე განსაზღვრულია სათანადო მტკიცებულების სახე, იგი სხვა, მაგალითად, მოწმის ჩვენებით, უფლების დამდგენის საბუთის საჯარო რეესტრში მოვინანებით რეგისტრაციითა თუ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულების საქმეში არარსებობით არ შეიძლება შეიცვალოს.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: а) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებით მიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სახელმწიფო ბაჟის შესახებ<sup>1</sup> საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების საკითხს, პალატა მიიჩნევს, რომ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. წ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივლისის განჩინება თ. წ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფ-ლებულია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## 6. ნარდობის ხელშეკრულება

### განხილვა

№ას-362-344-2015

31 ივლისი, 2015 წ., ა. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების  
შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა [შემდგომში – დეპარტამენტი] და ლია სააქციო საზოგადოება „ს-ი“ [შემდგომში კონტრაქტორი] შორის 2010 წლის 16 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №S... ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ 60+000-კმ. 72+230 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე (შემდგომში – ძირითადი ხელშეკრულება). ძირითადი ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 5 324 490.65 (ხუთი მილიონ სამას ოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაათი ლარი და სამოცდახუთი თეთრი) ლარით დღგ-ს ჩათვლით. დეპარტამენტმა მიიღო კონტრაქტორის სატენდერო წინადადება სამუშაოების შესრულების შესახებ [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 629-ე მუხლის პირველი ნაწილი].

2. სამუშაოს ხასიათიდან და არც ხელშეკრულებიდან არ გამოდინარებდა, რომ კონტრაქტორს პირადად უნდა შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება [სსკ-ის 632-ე მუხლი]. შესაბამისად, 2010 წლის 8 ნოემბერს კონტრაქტორმა საქართველოში თავისი წარმომადგენლობის (ფილიალის), „ა-იას“ (შემდგომში – შემკვეთი) მეშვეობით ხელშეკრულება №S... გააფორმა შპს „ა“-თან [შემდგომში – მენარდე] ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საგზაო მონაკვეთის კმ 60+000-კმ. 72+230 განახლების შესახებ (შემდგომში – ქვეკონტრაქტი) და მენარდემ იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ 60+000 – კმ 72+230 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები [სსკ-ის 629.1 მუხლი].

3. ქვეკონტრაქტის 12.6 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მენარდე აღიჭურვა უფლებამოსილებით, შემკვეთისგან მოეთხოვა სამუშაოების საწარმოებლად საჭირო პირობების შექმნა; ამასთან, იგი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, შეეტყობინებინა შემკვეთისათვის მისგან დამოუკიდებელი იმ მიზეზებისა და გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ან შეუქმნიდნენ სამუშაოთა მიმდინარეობას შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ან თუ შეუძლებელი გახდებოდა სამუშაოების შემდგომი გაგრძელება. შემკვეთს 24 საათში უნდა გაეცა დასაბუთებული პასუხი.

4. ქვეკონტრაქტის მე-4 თავით, კერძოდ, 22-ე მუხლით, განისაზღვრა ხელშეკრულების ფინანსური პირობები; 22.1. პუნქტით, ქვეკონტრაქტის ღირებულება შეადგენდა 5 200 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5. ქვეკონტრაქტის 22.3. პუნქტის შესაბამისად, სახელშეკრულებო ობიექტის რთული გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური (კლიმატური) პირობებიდან გამომდინარე, ძირითადი სამშენებლო მასალების (ასფალტობეტონის ნარევი; ბეტონის ემულსია; ინერტ. მასალები; ბეტონისა და რკინაბეტონის ნანარმი და ასევე სხვა კონსტრუქციები) საწყის წინადადებაში გათვალისწინებულზე გაცილებით დიდ მანძილზე – 80-100 კმ. რთულ რელიეფსა და მძიმე კლიმატურ პირობებში შესაძლო გაძვირებიდან, აგრეთვე საწვავ საცხები მასალებისა და პიტუმის; სატრანსპორტო ხარჯებისა და ძირითადი საგზაო – სამშენებლო მასალების, ტენდერის ჩატარების პერიოდთან შედარებით (2010 წლის აპრილ – მაისი), ამ ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ფასების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შემკვეთი იღებდა ვალდებულებას, მენარდის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვისა და ინჟინერის [შენიშვნა: ქვეკონტრაქტის 30.3. პუნქტით „ინჟინერი“ არის საქართველოს რევიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომლის სერტიფიკატები, ინსტრუქციები, შემოწმებები, ტესტირებები და დასრულებული სამუშაოების დამტკიცება სავალდებულო გახდებოდა მენარდისათვის შემკვეთის მიერ მინოდების შემთხვევაში], წერილობითი თანხმობის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველეყო მენარდის მიერ ამ ფაქტორებით გამოწვეული დამატებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურება (დამატებითი ანაზღაურება), რომელთა მოცულობა და ღირებულება მეტი იქნებოდა დამტკიცებულ

ხარჯთაღრიცხვასადა 22.1 პუნქტში მითითებულ თანხაზე, ამას-თან, მხარეები შეთანხმდენენ, რომ დამატებითი სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდებოდა 22.1. პუნქტში მითითებული თანხის (კონტრაქტის ფასის) არა უმეტეს 20%-ის მდენობით.

6. ქვეკონტრაქტის მიხედვით, შემკვეთის მიერ 22.3. პუნქტში გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მენარდე უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა სამუშაოები (ქვეკონტრაქტის 22.4. პუნქტი).

7. 2011 წლის 1 ივნისს გაფორმდა №1 დამატება, რომლითაც შემკვეთმა და მენარდემ 2010 წლის 8 ნოემბრის ქვეკონტრაქტში შეიტანეს ცვლილება/დამატება, კერძოდ, შე... ძირითად ხელშეკრულებაზე 2011 წლის 30 მაისს ხელმოწერილი №2 დამატებიდან გამომდინარე, რომელსაც ხელი მოაწერეს შემკვეთმა და ინჟინერმა, გაიზარდა ქვეკონტრაქტის 22.1. მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების ოდენობა და განისაზღვრა 5 752 167, 48 (ხუთი მილიონ შვიდას ორმოცდათორმეტი ათას ას სამოცდაშვიდი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარით. ასევე ქვეკონტრაქტს დაემატა 22.2.1 მუხლი, რომლის თანახმად, შეკვეთს მენარდისათვოს უნდა წარედგინა სამუშაოს შესრულების საბანკო გარანტია, არანაკლებ ქვეკონტრაქტის 22.1. მუხლით გათვალისწინებული თანხის 5%-ისა, ოპიექტის ჩაბარებამდე დარჩენილი ვადით, ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად.

8. 2011 წლის 1 ივნისის №1 დამატებით, 22.3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სახელშეკრულებო ობიექტის რთული გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური (კლიმატური) პირობებიდან გამომდინარე, ძირითადი სამშენებლო მასალების (ასფალტობეტონის ნარევი; ბეტონის ემულსია; ინერტ. მასალები; ბეტონისა და რკინაბეტონის ნანარმი და ასევე სხვა კონსტრუქციები) საწყის წინადადებაში გათვალისწინებულზე გაცილებით დიდ მანძილზე – 80 – 100 კმ-ზე ზიღვიდან გამომდინარე, რთულ რელიეფსა და მძიმე კლიმატურ პირობებში შესაძლო გაძვირებიდან, აგრეთვე საწვავ-საცხები მასალებისა და ბიტუმის; სატრანსპორტო ხარჯებისა და ძირითადი საგზაო-სამშენებლო მასალების, ტენდერის ჩატარების პერიოდთან შედარებით (2010 წლის აპრილ-მაისი), ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან ფასების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კონტრაქტორი იღებს ვალდებულებას, ქვეკონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვისა და ინჟინირის ნერილობითი თანხმობის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ქვეკონტრაქტორის მიერ ამ ფაზტორებით გამოწვევის მიერ ამ ფაზტორებით გამოწვევის

ვეული დამატებითი ხარჯებისა და შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურება (დამატებითი ანაზღაურება), რომელთა მოცულობა და ღირებულება აღემატება დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და 22.1 პუნქტში მითითებულ თანხას, ამასთან, მხარები თანხმდებან, რომ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 22.1 პუნქტში მითითებული თანხის 20%-ს.“ ქვეკონტრაქტის დანარჩენი პირობა დარჩა უცვლელი.

9. ქვეკონტრაქტიდან გამომდინარე, შემკვეთსა და მენარდეს შორის 2012 წლის 13 აგვისტოს გაფორმდა ფინანსური ვალდებულებების შედარების აქტი №1, ხოლო 2012 წლის 31 დეკემბერს – შედარების აქტი №2.

10. 2012 წლის 24 ოქტომბერს, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 19 ოქტომბრის №112-ე ბრძანებით დანიშნულმა დასრულებული საგზაო სამუშაოების მიმღებმა კომისიამ, მიიღო დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 5 876 658, 13 ლარი (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდათვრამეტი ლარი და ცამეტი თეთრი) დღგ-ს გათვალისწინებით. აღნიშნულ აქტს ხელი მოაწერეს დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და კონტრაქტორის პროექტის მენეჯერმა.

11. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია, რომ სამუშაოები განხორციელდა დადგენილ ვადებში: დაწყება – 2010 წლის ნოემბერი, დამთავრება – 2012 წლის ივნისი; აქვე მითითებულია, რომ ობიექტის თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა – 5 324 490, 62 (ხუთი მილიონ სამას ოცდაოთხი ათას ოთხას ოთხმოცდაათი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, კორექტირების შედეგად (დანართი შეთანხმება №2, 30.05.2011) საკონტრაქტო ღირებულებამ შეადგინა 5 876 658, 13 (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდათვრამეტი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, რომელიც მთლიანად იქნა ათვისებული.

12. 2012 წლის 24 ოქტომბერს შემკვეთმა მენარდისაგან მიიღო შესრულებული სამუშაო.

13. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა მენარდის განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო შემკვეთის სახელზე რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშებს 1 725 166, 69 ლარის ფარგლებში, იმავე დღეს გაიცა საადსრულებო ფურცელი.

14. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 12 აგვის-

ტოს სარჩელი აღძრა მენარდემ შემკვეთის წინააღმდეგ, სარჩელის ფასად განსაზღვრა 1 725 166, 69 (ერთი მილიონ შევიდასოცდახუთი ათას ექვსას სამოცდაექვსი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარი და მოითხოვა:

14.1. 08.11.2010 ქვეკონტრაქტის 22.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და მენარდისათვის ფულადი კომპენსაციის 1 150 433, 50 (ერთი მილიონ ასორმოცდაათი ათას ოთხასოცდაცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის დღვ-ს ჩათვლით ანაზღაურება;

14.2. 542 345, 07 (ხუთასორმოცდაორი ათას სამას ორმოცდახუთი ლარი და შვიდი თეთრი) ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შემკვეთის (მოპასუხე) მიერ ქვეკონტრაქტის 22.3. პუნქტის შეუსრულებლობისა და სხვა პირობების არადროული შესრულების გამო;

14.3. ქვეკონტრაქტით გათვალისწინებული ანგარიშსნორების ვადების დარღვევით გამოწვეული პირგასამტებლოს ანაზღაურება, 22 879 (ოცდაორი ათას რვაას სამოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით;

14.4. აუდიტის ჩატარებისათვის გადახდილი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის დაკისრება მოპასუხისათვის;

14.5. სასამართლო დავასთან დაკავშირებული იურისტის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების დაკისრება მოპასუხისათვის – საერთო თანხით 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

15. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მენარდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის განჩინება სარჩელის აღდგრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ და ყადაღა მოეხსნა შემკვეთის სახელზე რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშებს 1 725 166, 69 (ერთი მილიონ შვიდას ოცდახუთი ათას ექვსას სამოცდაექვსი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარის ფარგლებში.

16. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 319-ე, 629-ე, 631-ე, 361-ე, 401-ე, 412-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელემ (მენარდემ) დროულად არ შეატყობინა შემკვეთს გაზრდილი ხარჯების შესახებ და არ წარუდგინა ქვეკონტრაქტის 22.3 პუნქტით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რის გამოც დაკარგა უფლება მოითხოვოს შემკვეთისაგან ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება.

17. მენარდემ 2014 წლის 8 აპრილს სააპელაციო წესით გაა-

საჩივრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

18. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, კერძოდ:

18.1. შემკვეთს მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა 1 150 433, 40 (ქრთი მილიონ ასორმოცდაათი ათას ოთხას ოცდაცამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის გადახდა;

18.2. შემკვეთს დაეკისრა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის სანაცვლოდ 12 000 ლარის გადახდა;

18.3. მასვე დაეკისრა ექსპერტიზის ჩატარების სანაცვლოდ 28 760 ლარის გადახდა.

19. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ამ განჩინების 1-12 პუნქტებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები;

20. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მენარდე შემკვეთს სისტემატურად ატყობინებდა ქვეკონტრაქტით ნაკისრი სამუშაოს შესრულების პერიოდში წარმოშობილ სირთულეებს; კერძოდ, 2011 წლის 22 მარტის №3/7 მიმართვაში მენარდე აღნიშნავდა: „კონტრაქტით აღებული სამუშაოს შესრულება და კონტრაქტში აღნიშნული კატეგორიის ქანების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ ბურღვა – აფეთქებით ან ჰიდრო – პნევმატური ჩაქუჩებით. ვინაიდან დასამუშავებელი ქანების მონაკვეთი (თითქმის 3 კმ-ზე მეტ მაძილზე) გადაჟყურებს ქ. ამბროლაურის გზის ქვემოთ მჭიდრო დასახლებებს, ბურღვა – აფეთქებით სამუშაოები გამოირიცხება. ერთადერთი საშუალება რჩება მძიმე ექსკავატორზე დამონტაჟებული ჰიდრო – პნევმატური ჩაქუჩებით მათი დამუშავება, რაც დამატებით ანაზღაურებასთან იქნება დაკავშირებული. განსაკუთრებით პრობლემატურია საგზაო საფარის მოწყობის საკითხი. პროექტით სარეაბილიტაციო მონაკვეთზე განსაზღვრულია 3 ტიპის საგზაო სამოსის მოწყობა“. ქვეკონტრატორი ამავე მიმართვაში უთითებდა ამ ძირითად 3 ტიპზე. მენარდე აღნიშნავდა, რომ პროექტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დამუშავებული იყო 2009 წლის ბოლოს, დაპროექტების შემდეგ გზაზ გადაიტანა ორი ზამთარი და ინტენსიური, მძიმე ტვირთმოძრაობა (რაც კიდევ გაიზრდებოდა რეგიონში ამუშა-

ვებული საბადოების ტვირთზიდვით), რის შედეგადაც გზის საფუძველსა და საფარს უკვე მკვეთრი დეფორმაცია ჰქონდა: წარმოქმნილი იყო მრავლობითი (თითქმის 70%-მდე ორმოები), დეფორმირებული და ამორტიზირებული იყო საფუძვლის დიდი ნაწილი, განვითარებული იყო „ჯდენები“. მარტის თვეში ადგილზე დათვალიერებამ ცხადყო, რომ საპროექტო ტიპი ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნას“.

21. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ 2011 წლის 5 აპრილის მიმართვაში შემკვეთი სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ განთასებებზე აცხადებდა პრეტენზიას და აფიქსირებდა ამ განთასებებთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებს, შემკვეთი წერილში უთითებდა პრობლემების მოწესრიგების შესაძლო ვარიანტებზე.

22. 2011 წლის 30 მაისს დეპარტამენტი, სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი და შემკვეთი, დამქირავებელი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების – საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკვეთების სამუშაოთა ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამართველოსა და საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამართველოს 2011 წლის 27 მაისის №2222 ერთობლივი მოხსენებით ბარათის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და კონტრაქტის ზოგადი პირობების 36-ე მუხლის 36.1. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და 37-ე მუხლის საფუძველზე, პროექტით გაუთვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, შეთანხმდნენ და კონტრაქტის ღირებულება გაიზარდა 552 167.61 (ხუთას ორმოცდათორმეტი ათას ასსამოცდაშვიდი ლარი და სამოცდაერთი თეთრი) ლარით – და მან შეადგინა 5 876 658.13 (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდათორამეტი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარი. შემკვეთისა და მენარდის შეთანხმებით, გაიზარდა ქვეკონტრაქტის 22.1. მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება 5 752 167,48 (ხუთი მილიონ შვიდას ორმოცდათორმეტი ათას ასსამოცდაშვიდი ლარი და ორმოცდარვა) ლარამდე;

23. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 1 ივნისს, მაშინ როდესაც სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებული იყო, გაფორმდა №1 დამატება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეკონტრაქტში შესულიყო ცვლილება/დამატება და 22.3 პუნქტი ჩამოყალიბებულიყო ახალი რედაქციით.

24. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-

ტამ მიუთითა საქმეში განთავსებულ მენარდის 2011 წლის 1 სექტემბრის მიმართვაზე შემკვეთისადმი, რომლითაც ატყობინებდა ქვეკონტრაქტის შესრულების პერიოდში შექმნილი პროდუქტების შესახებ, უთითებდა სატენდერო დოკუმენტაციაში გამოყენებულ განფასებებზე და აღნიშნავდა, რომ განფასებები არარეალურად შეუსაბამო იყო, რის გამოც შეუძლებელი იყო ობიექტის სატენდერო ფასებით დამთავრება. მენარდე შემკვეთს წერილობით ატყობინებდა, რომ პროექტით, ობიექტზე მთავარი სახეობის: ასაფალტობეტონის მზა მასის დამზადება და მიტანა გათვალისწინებული იყო ქუთაისი – ამბროლაურის „საავტომობილო გზის 57 კმ.-ში გათვალისწინებული სოფელ ჭრებალოს ამორტიზირებული ა/ბეტონის ქარხნიდან, რომელიც არ ფუნქციონირებდა. იმის გამო, რაჭის რეგიონი რეკრეაციულ ზონას განეკუთვნებოდა, შეუძლებელი აღმოჩნდა გაზის არასებობის გამო, რეგიონში მაზუთზე მომუშავე ახალი ა/ბეტონის ქარხნის დამონტაჟება. ერთადერთი ყველაზე უახლოეს მანძილზე განთავსებული გერმანული „ტ“ მარკის ასფ/ქარხანა მდებარეობდა ქ. ზესტაფონში, ობიექტიდან 81 კმ-ის მოშორებით. 81 კმ. მონაკვეთიდან 50%-ზე მეტი მთაგორიანი ორი უღელტეხილის არსებობა ართულებდა ტრანსპორტირებას და აძვირებდა ხარჯებს. 2011 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, მხოლოდ საგზაო საფარის მოწყობაზე შესრულებული იყო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 2 723 214.84 ლარის სამუშაოები დღგ-ს ჩათვლით... საერთო ჯამში, ობიექტზე მთლიანი ფასსხვაობამ შეადგინა 1 220 000 ლარის ფარგლებში“;

25. იმავე შინაარსის შეტყობინებით მენარდემ 2011 წლის 6 სექტემბერსაც მიმართა შემკვეთს; საქმის მასალებშია 2011 წლის 22 მარტის, 5 აპრილის, 15 სექტემბრის, 5 ოქტომბრის, 2012 წლის 24 აპრილის, 26 აპრილის წერილები, 3 მაისის №43 და 45 წერილები, 6 ივლისის წერილი, 2013 წლის 17 აპრილის წერილი, 10 მაისის № 71 და №72 წერილები, 17 მაისის წერილი; ამ განჩინების მე-20, 21-ე, 23-ე, 24-ე პუნქტებში მითითებული ფაქტების გარდა, მენარდის წერილებში მითითებულია, რომ ქვეკონტრაქტით განერილი საავანსო თანხების გადმორიცხვის ვადები ირლვეოდა, კუთვნილი ანაზღაურების ჩამორიცხვა გვიანდებოდა. ამიტომ გამაფრთხილებული წერილით, სამუშაოს მიმდინარეობის პერიოდში, მენარდემ სამჯერ შეაჩერა 2 თვით და მეტით სამუშაოები, აცნობა შექმნილი ვითარება შემკვეთს.

26. სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა ზემოაღნიშნული წერილები და მიმართვები და დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდემ ისარგებლა ქვეკონტრაქტის 12.6 პუნ-

ქტით (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) მინიჭებული უფლებამო-სიღებით, ასევე, სსკ-ის 631-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებით, შემკვეთს აცნობა და დაუსაბუთა იმ კონკრე-ტული სირთულეებისა და გადახარჯვების შესახებ, რაც მას სა-მუმაოთა შესრულებისას შეექმნა;

27. სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ წერილებზე, შეტყობინებებზე, რომლებშიაც წარმოქმნილ პრობ-ლემებზე და გაზრდილ ხარჯებზე იყო საუბარი, მენარდეს შემ-კვეთისაგან პასუხი არ მიუღია;

28. სასამართლომ მენარდის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულყოფილად შესრულება დადასტურებულად მიიჩნია 2012 წლის 24 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (იხ. ამ განჩინების 10-12 პუნქტები);

29. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების შემდეგ, მენარდემ 2013 წლის 17 მაისს კვლავ მიმართა შემკვეთს და მოითხოვა მის მიერ გადახარჯვით შესრულებული სამუშაოს ლირებულების ანაზ-ლაურება ქვეკონტრაქტით გათვალისწინებული ოდენობით, რაც შეადგენდა 1 150 433,50 ლარს, იმის გამო, რომ ქვეკონტრაქტის 22.3 პუნქტით დამატებითი საკომპენსაციო თანხები არ უნდა ყოფილყო №1 დამატების 22.1 პუნქტით დადგენილი საზღაუ-რის 20%-ზე მეტი.

30. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით დანიშულ საინვინრო – ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას და ექსპერტის განმარტებას. ექსპერტიზის 2015 წლის 5 იანვრის დასკვნით დადგენილია:

30.1 2010 წლის 8 ნოემბრიდან 2012 წლის 30 ივნისის ჩათ-ვლით, ქუთაისი – ტყიბული – ამბროლაურის საგზაო მონაკვე-თის განახლების შესახებ ქვეკონტრაქტისა და 2011 წლის 1 ივ-ნისის №1 დამატების ფარგლებში, მენარდის მიერ შესრულე-ბული სამუშაოების ლირებულებამ ძირითადი მასალების (ას-ფალტობეტონის ნარევი, ბითუმის ემუსია, ქვიშა – ხრეში, ღორლი, ბითუმი, ბეტონისა და რკინაპეტონის ნაწარმი და ასე-ვე სხვა კონსტრუქციები) ფაქტიურ მანძილზე ტრანსპორტი-რების ხარჯის გათვალისწინებით, ლიმიტირებული დანახარჯე-ბისა და დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 7 488 438,1 ლარს, რაც 1 736 270,62 ლარით აღემატებოდა საქმის მასალებში წარმოდგენი-ლი მენარდისა და შემკვეთის მიერ 2012 წლის 30 ივნისს დამოწ-მებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი – ტყიბული – ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ. 60+000 კმ. 72+230 რეაბილიტაციაზე შესრულებული სამუშაოების აქტით

ნაჩვენებ 5 752 167,48 ლარს;

30.2 ნარმოდგენილი კონტრაქტის ფარგლებში ნაჩვენებ, შესრულებულ სამუშაოთა 5 752 167,48 ლარის ღირებულებასა და ექსპერტიზით დადგენილ 7 488 438,1 ლარის ღირებულებას შორის სხვაობამ მეტობით შეადგინა 7488438,1 – 5 752 167,48 = 1 736 270,62 ლარი. სხვაობა ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ერთეულ სამუშაოთა ღირებულებები სატენდერო ხარჯთალრიცხვაში და ნარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტში ნაჩვენები იყო დაბალი ფასებით, ასევე მასალების ტრანსპორტირება ხდებოდა უფრო დიდი მანძილიდან (80-100კმ), ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო საწყის სატენდერო წინადაღებაში (22 კმ);

30.3 2010 წლის 8 ნოემბრიდან 2012 წლის 30 ივნისამდე ადგილი ჰქონდა საწვავ – საპონი მასალების საბაზრო ფასების ზრდას, რაც შესაბამისად აისახებოდა მასალების დამზადებისა და გადაზიდვის ფასებში;

30.4 მესამე პირის მიერ, ქუთაისი – ტყიბული – ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ 60+000 – კმ 72+230 მონაკვეთზე შესრულებული სარეაბილიტაციო, ნაწილი სამუშაოების ღირებულებამ სახელშეკრულებო თანხის (5 752 167,48 ლარს) ზემოთ შეადგინა დღგ-ს ჩათვლით 57081,17 ლარი, დღგ-ს გარეშე 48373,87 ლარი. ასევე, სხვა მესამე პირის მიერ საგზაო მონიშვნებზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 77427,84 ლარი, დღგ-ს გარეშე 65616,81 ლარი;

30.5 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მესამე პირთა მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების თანხის გამოკლებით, მენარდის მიერ განეული გადახარჯვა შეადგენს 1 601 761,61 ლარს ( $1736\ 270,62 - 134\ 509,01 = 1\ 601\ 761,61$ ). 5 752 167,48 ლარის 20% არის 1 150 433,49 ლარი.

31. ექსპერტმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ საქმეში ნარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაცია არ იძლეოდა განჩინებაში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას, რის გამოც მან სასამართლოსაგან (შესაბამისად მხარეებისაგან) მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, როგორიცაა მასალათა შესყიდვის დოკუმენტები, მტკიცებულებები ზიდვის მანძილების შესახებ და ა.შ. ექსპერტმა მიუთითა იმაზეც, რომ საქმეში ნარმოდგენილია შესრულებულ სამუშაოთა აქტები, ფორმა №2, სადაც სრულყოფილად იყო აღნერილი ყველა ის სამუშაო, რაც შესრულდა და ამას ორივე მხარე ანერდა ხელს. ნარმოდგენილ აქტებში მითითებული იყო მეტად დაბალი ფასები. მასალათა ტრანსპორტირების დოკუმენ-

ტში ზუსტად იყო მითითებული ის დასახლებული პუნქტები, საიდანაც ხდებოდა მასალის მიტანა. ფასების მომატება დიდწილად სწორედ მანძილის გაზრდამ გამოიწვია.

32. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მენარდე ატყობინებდა შემკვეთს საწვავ – საპოხი მასალების საპაზრო ფასების გაზრდას, რაც შესაბამისად აისახებოდა მასალების დამზადებისა და გადაზიდვის ფასებში. ასევე გამოთქვამდა პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მასალების ტრანსპორტირება ხდებოდა უფრო დიდი მანძილიდან (80-100კმ), ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო საწყის სატენდერო წინადადებაში (22 კმ), რაც ასევე დადასტურდა ექსპერტიზის დასკვნით და ექსპერტის განმარტებით.

33. სასამართლომ უსაფუძღლოდ მიიჩნია შემკვეთის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მენარდეს მისთვის არ წარუდგენია დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვა და ინუინრის თანხმობა განეულ გადახარჯვებთან დაკავშირებით, რაც მხარეთა შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდა, თავის მხრივ კი, გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

34. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი და უკვე მიმოხილული არაერთი წერილითა თუ მიმართვით, მენარდე მუდმივად მიმართავდა შემკვეთს, ინფორმაციას აწვდიდა სამუშაოთა მიმდინარეობისა თუ პრობლემების თაობაზე და უსაბუთებდა (მათ შორის ციფრობრივი გაანგარიშებითაც) იმ გასაწევი ხარჯების შესახებ, რაც თავდაპირველ კონტრაქტში არ იყო გათვალისწინებული. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები (წერილები, მიმართვები), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დასაბუთებულ არგუმენტად, მტკიცებულებად (ხარჯთაღრიცხვად), რაზედაც მხარეები 2011 წლის 1 ივნისს დადებული №1 დამატების 22.2.1. პუნქტით შეთანხმდნენ.

35. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები – სსკ-ის 629(1) და 631(2) მუხლები.

36. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2015 წლის 30 მარტს საკასაციო წესით გაასაჩივრა შემკვეთმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მენარდის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

37. საკასაციო საჩივრის ფასი განისაზღვრა 1 219 953 (ერთი მილიონ ორასცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი) ლარით.

38. კასატორმა კასაციის საფუძვლებში (მიზეზებში) მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ასევე, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. კასატორმა მიუთითა დარღვევებზე, რის გამოც უნდა გაუქმდეს საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ:

38.1. საპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 631-ე და 52-ე მუხლები. მხარეთა ნების გონივრული განსჯის შემთხვევაში, შემკვეთს დროის მცირე მონაკვეთში სამჯერ გაზრდილი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობოდა მენარდის მიერ წინასწარ ბუღალტრულად დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვისა და ინჟინრის შესაბამისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რაც აისახებოდა ასევე შუალედურ სერთიფიკატებსა და შემაჯამებელ 2012 წლის 13 აგვისტოს შედარების აქტში №1 და 2012 წლის 31 დეკემბრის შედარების აქტში №2, რასაც რეალურად ადგილი არ ჰქონია;

38.2. კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია, რომ საპელაციო სასამართლო დაეყრდნო მენარდის წერილებს კონტრაქტირის სახელზე და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნია წერილებში გამოთქმული პოზიციები ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით, რომელზეც არც შემკვეთს და არც სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, ინჟინერს, თანხმობა არ მიუცია. კასატორს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გაანალიზებისათვის უნდა შეფასდეს კონკრეტული მტკიცებულებები – 2010 წლის 8 ნოემბრის ხელშეკრულებისა (14.6, 17.3, 22.3, 22.4, 23.5 პუნქტები) და 2011 წლის 1 ივნისის №1 დამატებით შეთანხმებული კონკრეტული პირობები;

38.3. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ენინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და უთითებს საქმეზე №ას-888-834-2012;

38.4. კასატორი სადაცვოდ ხდის საპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ საინჟინრო ექსპერტიზას და მის საფუძველზე მომზადებულ 2015 წლის 5 იანვრის დასკვნას, ასევე, აღნიშნავს, რომ საპელაციო სასამართლომ სადაცვო საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო ნორმების დარღვევით, რამაც გავლენა იქონია შედეგზე; მხარეთა მტკიცების ტვირთის უგულებელყოფით ჩატარებულმა მეორე ექსპერტიზამაც ვერ გასცა პასუხი ძირითად კითხვას, რეალურად რა ხარჯები გასწია მენარდემ ქვეკონტრაქტის ფარგლებში, რაც საბუღლალტრო ექ-

სპერტიზის კვლევის საგანია; კასატორი აღნიშნავს, რომ სააბელაციო სასამართლომ არაწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე მუხლი, როდესაც მტკიცების ტვირთი კასატორს (შემკვეთს) დააკისრა ნაცვლად მენარდისა, მანა დღემდე ვერ დაასაბუთა, თუ რეალურად რა ხარჯები გასწია, ხოლო ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში, რატომ იყო შეუძლებელი მათი წინასწარ გათვალისწინება;

38.5. კასატორი ყურადღებას ამახვილებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შეფასებაზე, რომ კონკრეტული კვლევები მიზანშეწონილია დაეფუძნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №230 ბრძანებით დამტკიცებულ „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლებიდან გამოქვითვის წესს“, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა არ ემყარება აღნიშნულ წესს;

38.6 იგივე მოსაზრებებია წარმოდგენილი კასატორის მიერ ახსნა – განმარტების სახით, საკასაციო საჩივრის დასაშეგებად ცნობასთან დაკავშირებით 2015 წლის 29 მაისს და უთითებს სუსგ-ზე №ას-888-834-2012; კასატორი თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ დამკაიდრებული სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, მენარდე დამატებით ითხოვს 1 700 00 ლარს ისე, რომ არც დაკვეთის მოცულობა შეცვლილა, არც პროექტის კორექტირება განხორციელებულა, არც ნედლეულის ფასი გაზრდილა, არც მენარდის მხრიდან დადგენილი წესით დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა და მასზე დამკვეთის წინასწარ გაფრთხილება მომხდარა;

38.7 2015 წლის 26 ივნისს კასატორმა წარმოადგინა განმარტება საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი საკასაციო საჩივარში და 29 მაისს წარმოდგენილ განმარტებაში აღნიშნულ გარემოებებს იმეორებს, ყურადღებას ამახვილებს, რომ გაზრდილი ხარჯების ანაზღაურებაზე მენარდის მიერ მოთხოვნა დაყენებული იქნა სამუშაოების დასრულების და შემაჯამებელი აქტების გაფორმების შემდეგ.

39. 2015 წლის 15 მაისს საკასაციო შესაგებელი წარმოადგინა მენარდემ, რომლითაც იგი არ დაეთანხმა საკასაციო საჩივარს.

40. 2015 წლის 15 აპრილის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი; ამავე განჩინებით კასატორს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის

– 8 000 ლარის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან დავა ეხება ნარდობის ხელშეკრულებისას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვის ანაზღაურების წესსა და პირობებს, რაც სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლის განმარტებას გულისხმობს და მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო ვრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა არსებითად განსახილველად; საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით მხარეებს ეცნობათ, რომ საქმის ზეპირი განხილვა შედგებოდა 24 ივლისს;

42. 2015 წლის 24 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზეპირი განხილვით, მხარეთა მონაწილეობით, განიხილა საქმე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

43. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396 – ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

44. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლივიბით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულყოფილად არის გამოკელეული და შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და მათ საფუძველზე გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას მართებულად არის გამო-

ყენებული სსკ-ის 629(1) და 631(2) მუხლები, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები.

45. სსკ-ის 631-ე მუხლის პირველი ნაწილი, ანესრიგებს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, როდესაც მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, ამასთან, მენარდეს შეუძლია მხოლოდ შეთანხმებული საზღაურის მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახარჯვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადგებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

46. საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ განსახილველ შემთხვევში სსკ-ის 631-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: შესაძლებელი იყო თუ არა მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის წინასწარ გათვალისწინება.

47. ის გარემოება, რომ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო, დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ (იხ. ამ განჩინების 4,5,7,8,22,23 პუნქტები) და იმ ფაქტობრივი გარემოებით, რომ ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებიდან თითქმის 11 თვის და ქვეყნტრაქტის გაფორმებიდან შვიდი თვის შემდეგ, ინჟინერმა და შემკვეთმა (კასატორი) ხელი მოაწერეს დანართს – №2 შეთანხმებას, კერძოდ, პროექტით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა 2010 წლის 16 ივლისს გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში; აღნიშნული ფაქტი უდაოდ ადასტურებს, რომ ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო, რამაც განაპირობა დამატებითი შეთანხმების დადება.

48. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის 2010 წლის 8 ნოემბერს და 2011 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებებით (ორივე ხელშეკრულების 22.3 პუნქტით) განისაზღვრა მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში გადახარჯვის შემთხვევაში, ანაზღაურების მოთხოვნის პროცენტული ოდენობის ზედა ზღვარი, კერძოდ, შემკვეთმა იკისრა, მითითებული ხელშეკრულებების 22.1. პუნქტით შეთანხმებული საზღაურის არა უმტეს 20%-ის ანაზ-

დაურების ვალდებულება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების წინასწარ გათვალისწინება შესაძლებელი იყო, რადგან ქვეკონტრაქტორმა იცოდა, თუ სად და რა სახის, მოცულობის სამუშაოები ჰქონდა შესასრულებელი, უსაფუძღლო.

49. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 631-ე და 52-ე მუხლები (იხ. ამ განჩინების პ.38.1).

50. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია, რომ მენარდე ვალდებული იყო განეულდანახარჯებთან დაკავშირებით, გენერალური კონტრაქტორისათვის (ს/გზების დეპარტამენტი) წარედგინა დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვა და ინჟინრის თანხმობა.

51. საქმის მასალებშია ინჟინრის 2014 წლის 16 იანვრის №2-06/187 წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ინჟინერს შემკვეთმა მიმართა თანხმობის მისაღებად, რათა მენარდე აეყვანა. ინჟინერმა შემკვეთს 2010 წლის 25 ნოემბერს მისცა თანხმობა (ქვეკონტრაქტი შემკვეთსა და მენარდეს შორის გაფორმებულია 2010 წლის 8 ნოემბერს); ამავე წერილით დადასტურებულია, რომ შემკვეთს ინჟინრისათვის უნდა წარედგინა ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, რაც არ გაუკეთებია. წერილით დადასტურებულია, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელი – ინჟინერი არ იყო ინფორმირებული შემკვეთის მიერ მენარდესთან გაფორმებული ქვეკონტრაქტის კონკრეტულ პირობებზე და მხარეთა ურთიერთვალდებულებებზე. წერილის მიხედვით, შემკვეთს ინჟინრისათვის არ მოუწოდებია ინფორმაცია ქვეკონტრაქტით გათვალისწინებულ დეტალებზე. ინჟინრის წერილში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ინჟინრის წინაშე პასუხისმგებელი იყო შემკვეთი, მიუხედავად იმისა, იგი გადასცემდა თუ არა სამუშაოთა წარმომადგენელი შემკვეთს და ეს არ ათავისულებდა შემკვეთს პასუხისმგებლობისაგან.

52. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ს/გ დეპარტამენტან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იყო მხოლოდ კასატორი (შემკვეთი), ეს უკანასკნელი იყო ვალდებული ინჟინრისათვის წარედგინა ხელშეკრულებით დადგენილი წესით შუალედური გადახდების სერთიფიკატები და სხვა საბუთები, როგორც შესრულებულ სამუშაოთა აღმნერი დოკუმენტაცია, კასატორი (შემკვეთი) ვალდებული იყო ყველა ინფორმაცია თუ გაანგარიშება მიეწოდებინა ინჟინრისათვის, საბოლოოდ დას-

რულებული ობიექტიც მას ჩაპარდა და ამაში არ მონაწილეობდა მენარდე. შესაბამისად, მენარდე არ იყო ვალდებული მხარე გენერალური კონტრაქტორის წინაშე.

53. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ს/გზების დეპარტამენტი – ინჟინერი არ გამოთქვამს პრეტენზიას აღნიშნულის თაობაზე, რაც დადგენილია საქმის მასალებით (იხ. ამ განჩინების 51-ე პუნქტი), ხოლო ამის საწინააღმდეგო მტკიცებულება კასატორს არ აქვს წარმოდგენილი.

54. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ შუალედური გადახდების სერთიფიკატებსა და შედარების აქტებზე ქვეკონტრაქტორს არ დაუფიქსირებია რაიმე პრეტენზია.

55. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განჩინების 54-ე პუნქტში მითითებული პრეტენზიის წარუდგენლობა ვერ გახდება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან სასამართლო დაეყრდნო არა ცალკეულ მტკიცებულებას, არამედ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე შეაფასა გარემოები და დასკვნა, რომ მენარდე შემკვეთს სახელშეკრულები ურთიერთობის დაწყებიდან პირველი პრობლემის შექმნისთანავე, ობიექტზე მუშაობის პროცესში და დასრულებული სამუშაოს ჩაბარების შემდეგაც, სისტემატურად ატყობინებდა, უსაბუთებდა და უყენებდა მოთხოვნას მიახლოებით ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების ანაზღაურების შესახებ, რაც გათვალისწინებული იყო მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნული დადასტურებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ (იხ. ამ განჩინების 32-ე, 34-პუნქტები).

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორმა, მტკიცების ტკირთის სტანდარტის გათვალისწინებით, ვერ შეძლო საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოდგენა მონინააღმდეგის პიზიციის გასაბათილებლად (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი).

57. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომელიც ეხება მენარდის შემკვეთისადმი გაგზავნილ წერილებსა და შეტყობინებებს (იხ. ამ განჩინების პ. 39.2.).

58. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მენარდეს შემკვეთისადმი გაგზავნილ წერილებზე, შეტყობინებებზე, რომლებშიაც წარმოქმნილ პრობლემებზე და გაზრდილ ხარჯებზე იყო საუბარი, პასუხი არ მიუღია (ამ განჩინების 26,27,34 პუნქტები).

59. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასა-

მართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ მენარდემ 2010 წლის 8 ნოემბრის ქვეკონტრაქტის 12.6 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენა, შემკვეთს აცნობა და დაუსაბუთა იმ კონკრეტული სირთულეებისა და გადახარჯვების შესახებ, რაც მას სამუშაოთა შესრულებისას შეექმნა, რითაც მენარდემ შეასრულა სსკ-ის 631-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკისრებული ვალდებულება (იხ. ამ განჩინების 26-ე პუნქტი).

60. მენარდის მიერ შემკვეთისათვის გაგზავნილი არაერთი შეტყობინების მიღების ფაქტი კასატორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2015 წლის 24 ივლისის სხდომზეც დაადასტურა და განმარტა, რომ ნერილები, შეტყობინებები იყო დაუსაბუთებელი, ისინი მხოლოდ ინფორმაციულად მიიღეს, არ განუხილავთ სათანადო დოკუმენტაციად;

61. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, კასატორს (შემკვეთს) მენარდისაგან, გადახარჯვის დასაბუთების მიზნით, რაიმე დადგენილი ფორმით დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მოუთხოვია; შემკვეთს, ხარჯთაღრიცხვის მინშენელოვნად გაზრდის გამო, სსკ-ის 631-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არც ხელშეკრულების შეწყვეტა მოუთხოვია.

62. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო საჩივრის ავტორის მითითებას (იხ. ამ განჩინების პ.38.3), რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №ას-888-834-2012) და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს სსენებულ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ხარჯთარიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც დამკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს)“. უზენაესი სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება მხარეთა შორის შეთანხმებულ მყარ ხარჯთაღიცხვას ეხება (სსკ-ის 629-ე მუხლი), შესაბამისად, იგი არ ეფუძნება სსკ-ის 631-ე მუხლს, რადგან ეს ნორმა მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს.

63. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრე-

ტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული საინუინ-რო ექსპერტიზის თაობაზე (იხ. ამ განჩინების პ. 38.4 და პ. 38.5).

64. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კა-სატორის პრეტენზიები და აღნიშნავს, რომ კასატორი ვერ უთი-თებს სამართლებრივ საფუძველს, სააპელაციო სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შეუძლებლობის თაობაზე. კასა-ტორს ჰქონდა პროცესუალური შესაძლებლობა, რომ საკუთარი უფლების რეალიზაციისათვის სააპელაციო სასამართლოში ესარგებლა სსკ-ის 163-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც მხა-რებს აძლევს უფლებას, წარუდგინონ სასამართლოს კითხვე-ბი, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. ამდენად, საკასა-ციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ მომხდარა მხარეთა მტკი-ცების ტვირთის თანაბარი გადანანილების უგულებელყოფა. ასევე დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, ექსპერტის დაკვინის შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე მომზადების თა-ობაზე და ფინანსთა მინისტრის №230 ბრძანების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ (იხ. ამ განჩინების 30-31 პუნქტე-ბი);

65. ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას, სასამართლო ხელ-მძღვანელობს დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და მონა-ნილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით. სამოქალაქო სამარ-თალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციე-ლებენ [სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი]. „უფლებათა ბორო-ტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქა-ლაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ [სსკ-ის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი].

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობა, როგორც კონსესუალური ხელშეკრულება, მოიცავს არა მხოლოდ შესრუ-ლებული სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმ-დინარების პროცესს, რომელშიც ორივე მხარე თანაბარი პა-სუბისმგებლობით უნდა მონაწილეობდეს იმ უფლება-მოვალე-ობათა კეთილსინდისიერად განსახორციელებლად, რაც სახელ-შეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ერთმანეთის მიმართ აკისრი-ათ.

67. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონის დარ-ღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივ-რებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარ-ღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმა-

ყოფილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

68. კასატორს ეკისრება გადავადებული სახელმწიფო ბაჟის (იხ. ამ განჩინების პ.40) გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 408-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლსს „ს-ა“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.
3. ლსს „ს-ა“ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის განჩინებით (საქმე №ას-361-344-2015) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
4. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. ვაგონის მოცდების საფასურის დაკისრება

### განჩინება

№ას-246-236-2013

8 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ვაგონის მოცდების საფასურის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „ს. რ-მ“ გ. გ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხი-  
სათვის ვაგონით სარგებლობისათვის დარიცხული საფასურის  
– 10596.57 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით;

მოსარჩელის განმარტებით, „ს. რ-მ“ მოპასუხე გ. გ-ის კუთ-  
ვნილი ტვირთის გადაზიდვის ვალდებულება შეასრულა ჯეროვ-  
ნად, კეთილსინდისიერად და დროულად, თუმცა გ. გ-მ ვერ უზ-  
რუნველყო გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-  
ლების დროულად შესრულება, კერძოდ, მისი მიზეზით მოცდა  
„ს რ-ის“ კუთვნილი ვაგონები. გ. გ-ის კუთვნილი ნივთებით დატ-  
ვირთული №60001187 ვაგონი „ს. რ-ის“ №3X5 ლიანდაგზე 2009  
წლის 12 ოქტომბერს შევიდა, ტვირთი კი, სახელმწიფომ 2010  
წლის 12 იანვარს წაიღო.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვერ უზრუნ-  
ველყოფდა რკინიგზის გადასახადის გადახდას, ამიტომ მიღე-  
ბული ტვირთი გადასცა უსასყიდლოდ სახელმწიფოს, რის თაო-  
ბაზე აცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავ-  
ლების სამსახურს, ამდენად, ვაგონების მოცდების ანაზღაუ-  
რების ვალდებულება მას აღარ გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2012 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით სს „ს. რ-  
ის“ სარჩელი ნანილობრივ დაკამაყოფილდა. მოპასუხე გ. გ-ს მო-  
სარჩელე სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ვაგონით სარ-  
გებლობისათვის დარიცხული საფასურის – 450 ლარის ანაზღა-  
ურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2013 წლის 10 იანვრის განჩინებით სს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. მოწინააღმდეგე მხარეს – გ. გ-ს გადაეგზავნა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები და დაევალა 15 დღის ვადაში წარმოედგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე. ამავე განჩინებით, მოწინააღმდეგე მხარეს განემარტა, რომ არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სამოქალაქო კოდექსის 232<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2011. მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 წარილებით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-7 წარილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. დადგენილია, რომ გ. გ-ს 18.10.2012 წელს პირადად ჩაბარდა სააპელაციო საჩივარი. მიუხედავად ამისა, მას სასამართლო-სათვის არ წარმოუდგენია შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, რაც წინაპირობა იყო იმისა, რომ სასამართლოს ემსჯელა კანონით გათვალისწინებულ შედეგზე – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაზე.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარში მითითებული მეორე ფაქტობრივი გარემოება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამ-

სახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრის მიერ ტვირთის საკუთრებაში მიღებაზე თანხმობა 2009 წლის 22 ოქტომბრის №16-17-104159/01 წერილით, იურიდიულად არ ამართლებდა საპელაციო (სასარჩელო) მოთხოვნას. პალატის მოსაზრება ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ ნორმებს: სარკინიგზო კოდექსის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ვაგონიდან (კონტეინერიდან) ტვირთის დაგვიანებით გადმოტვირთვის ან ტვირთმიმდების მიერ რკინიგზის სადგურიდან ტვირთის დაგვიანებით გატანის და ამ მიზეზებით რკინიგზის სადგურზე ტექნიკური სისტემების წარმოშობის შემთხვევაში ტვირთმიმდებაზე ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას გადმოტვირთული ტვირთის შენახვისა და ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობის საფასური „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით“ დადგენილი ოდენობით. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთის შენახვა და გაცემა ხორციელდება „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად. მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთი უფასოდ ინახება 24 საათის განმავლობაში. ამ ვადის ათვლა იწყება რკინიგზის მიერ თავისი საჭალებებით ვაგონის (კონტეინერის) გადმოტვირთვის დღის 24 საათიდან ან ტვირთმიმდების საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) გადმოტვირთვის ადგილზე მიწოდების დღის 24 საათიდან. რკინიგზის სადგურში აღნიშნულზე მეტი ვადით ტვირთის შენახვისათვის დადგენილია შესაბამისი საფასური, რომელსაც რკინიგზას უხდის ტვირთმიმდები ან ექსპედიტორი ან ტვირთის გატანაზე უფლებამოსილი სხვა პირი. სარკინიგზო კოდექსის 36-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმდების) ან ექსპედიტორის მიზეზით რკინიგზის სადგურში ან ნავსადგურის მისამართზე მისული ან დატვირთვა-გადმოტვირთვის (გადატვირთვის) სამუშაოების ჩატარების ადგილზე მიწოდებული ან ამ ადგილის გათავისუფლების მოლოდინში მდგარი ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისას, აგრეთვე ამავე პირების მისამართზე მისული ვაგონის (კონტეინერის) გზად მდებარე რკინიგზის სადგურში დაყოვნებისას აღნიშნული პირები ვალდებული არიან რკინიგზას გადაუხადონ ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის დადგენილი საფასური მისი დაყოვნების მთელი დროისათვის. აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, რკინიგზას შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ტვირთგამგზავნს, ტვირთმიმდებს ან ექსპედიტორს. განსაზილველ შემთხვევაში ს. რ-მ მოთხოვნა წაუყენა ტვირთმიმდებს – გ. გ-ს. საქართველოს სარკინიგზო

კოდექსის მე-2 მუხლის პ<sup>15</sup>-ე პუნქტის შესაბამისად, ტვირთმიმდები არის ტვირთის, ბარგის, ტვირთ-ბარგისა და ფოსტის მიღების უფლებამოსილების მქონე პირი.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში აპელანტი თავად უთითებს სააპელაციო საჩივარში, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა 2009 წლის 22 ოქტომბრის №16-17-104159/01 ნერილით ტვირთის საკუთრებაში მიღებაზე თანხმობა განაცხადა. ამ გარემოების შესაბამისად, კი ტვირთმიმდებს უკვე წარმოადგენდა არა გ. გ-ე, არამედ შემოსავლების სამსახური, ამდენად, ჰალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა, რადგან ზემოთ დასახელებული ფაქტის გათვალისწინებით, აპელანტის მოთხოვნა იურიდიულად არ ამართლებდა გ. გ-სათვის თანხის დაკისრებას.

სააპელაციო სასამართლომ საქმის არსებითად განხილვის შედეგად დაადგინა, რომ გ. გ-ის კუთვნილი ნივთებით დატვირთული №60001187 ვაგონი, (კონტეინერის №515263586) „ს. რ-ის“ №3X5 ლიანდაგზე შევიდა 2009 წლის 12 ოქტომბერს (სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების №278965 სამახსოვრო). გ. გ-ს ტვირთი არ წაულია. ტვირთი წაიღო სახელმწიფო 2010 წლის 12 იანვარს (მხარეთა ახსნა-განმარტება). დარიცხვებისა და გადახდის აღრიცხვის ცენტრის უფროსის მიერ გაცემული ცნობით დადგენილია, რომ მიმღებ სადგურში გ. გ-ის ტვირთის 24 საათზე მეტი მომსახურება (ვაგონი 60001187) დაიწყო 2009 წლის 13 ოქტომბრიდან და დასრულდა 2010 წლის 12 იანვარს. ასანაზღაურებელმა თანხამ კი, ჯამში შეადგინა 10600 ლარი. ზემოთ აღნიშნული თანხიდან კრედიტით დაფარვის შემდეგ ასანაზღაურებელი დარჩა 10596.57 ლარი (დარიცხვებისა და გადახდის აღრიცხვის ცენტრის უფროსის მიერ გაცემული ცნობა). „ს. რ-ის“ №165117 საერთო ფორმის აქტით, №60001187 ვაგონის, №515263586 კონტეინერის მოცდენა დასრულდა 2010 წლის 12 იანვარს. გ. გ-მ 2009 წლის 16 ოქტომბრის განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მიღებული ტვირთის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით (გ. გ-ის განცხადება). საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა ტვირთის საკუთრებაში მიღებაზე თანხმობა გამოხატა 2009 წლის 22 ოქტომბრის №16-17-104159/01 ნერილით. აღნიშნული წერილით, შემოსავლების სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აცნობა, რომ გ. გ-

ის განცხადების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეკარგათ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონელი – საბაჟო ტერმინალ „ინტერტრანსის“ საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე დალუქული ტვირთი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. გ-მ, 2009 წლის 16 ოქტომბერს გამოხატა ტვირთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის წება. სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, გ. გ-ის ქონება საკუთრებაში მიიღო 2009 წლის 22 ოქტომბერს გაცხადებული თანხმობით, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიული უფლება გადაცემულ ტვირთზე სახელმწიფომ მოიპოვა სწორედ ამ დროიდან და შესაბამისად, მასვე წარმოეშვა ამ უფლებიდან გამომდინარე მოვალეობები, შესაბამისად, გ. გ-ის ვალდებულება – ვაგონით სარგებლობისათვის დარიცხული საფასურის ანაზღაურების თაობაზე, შეწყდა ტვირთის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის დროიდან.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „ს. რ-ამ“ საკასაციო წესით გაასაჩინოა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ არასწორად შეაფასა 2010 წლის 12 იანვრის სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული ქონების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანხმად, მოქალაქე გ. გ-ის საკუთრებაში არსებული ტვირთი სახელმწიფოს საკუთრების უფლებით გადაეცა 2010 წლის 12 იანვარს. დადგენილია, რომ გ. გ-ს ტვირთი არ წაულია და, შესაბამისად, სს „ს. რ-მ“ გასწია 24 საათზე მეტით ვაგონით სარგებლობის მომსახურება. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ სს „ს. რ-ის“ №165117 საერთო ფორმის აქტით, ვაგონის №60001187, კონტეინერის №515263586-ის მოცდენა დასრულდა 2010 წლის 12 იანვარს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტვირთი სანამ საკუთრებაში გადაეცემოდა სახელმწიფოს, მანამდე, მის მფლობელს და მესაკუთრეს წარმოადგენდა გ. გ-ე. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა ტვირთის საკუთრებაში მიღებაზე თანხმობა გამოხატა 2009 წლის 22 ოქტომბრის №16-17-104159/01 ნერილით. კასატორის განმარტებით, 22.10.2009 წლის წერილი, სასამართლოს მიერ არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ისეთ მტკიცებულებად, რაც მოსარჩელეს გაათავისუფლებდა ვაგონით სარგებლობისათვის დარიცხული საფასურის ანაზღაურებისაგან. მართალია, სასამართლომ სწორად გამოიყენა, მაგრამ, არასწორად განმარტა სარკინიგზო კოდექსის ნორმები. კასატორი მიუთითებს სარკი-

ნიგზო კოდექსის 22-ე-23-ე, 25-ე-26-ე, შპს „ს. რ-ის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის №311/გ ბრძანებით დამტკიცებული „სატვირთო გადაზიდვების ტარიფისა და დამატებითი საფასურების“ 8.2. და 36-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ სასამართლოს აღნიშნული მუხლების საფუძველზე უნდა დაეკმაყოფილი მათი სასარჩელო მოთხოვნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლით და საქმე საკასაციო საჩივრის ფარგლებში განიხილა.

კასატორი სადაც არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის მართლზომიერებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა 2010 წლის 12 იანვრის სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული ქონების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, მოქალაქე გ. გ-ის საკუთრებაში არსებული ტვირთი სახელმწიფოს საკუთრების უფლებით გადაეცა 2010 წლის 12 იანვარს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სარკინიგზო კოდექსის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ვაგონიდან (კონტეინერიდან) ტვირთის დაგვიანებით გადმოტვირთვის ან ტვირთმიმღების მიერ რკინიგზის სადგურიდან ტვირთის დაგვიანებით გატანის და ამ მიზეზებით რკინიგზის სადგურზე ტექნიკური სიძნელეების წარმოშობის შემთხვევაში ტვირთმიმღები ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას გადმოტვირთული ტვირთის შენახვისა და ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობის საფასური „რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით“ დადგენილი ოდენობით. საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთის შენახვა და გაცემა ხორციელდება „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად. მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულების რკინიგზის სადგურში ტვირთი უფასოდ ინახება 24 საათის განმავლობაში.

ამ ვადის ათველა იწყება რკინიგზის მიერ თავისი საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) გადმოტვირთვის დღის 24 საათიდან ან ტვირთმიმღების საშუალებებით ვაგონის (კონტეინერის) გადმოტვირთვის ადგილზე მიწოდების დღის 24 საათიდან. რკინიგზის სადგურში აღნიშნულზე მეტი ვადით ტვირთის შენახვისათვის დადგენილია შესაბამისი საფასური, რომელსაც რკინიგზას უხდის ტვირთმიმღები ან ექსპედიტორი ან ტვირთის გატანაზე უფლებამოსილი სხვა პირი. სარკინიგზო კოდექსის 36-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ტვირთგამგზავნის (ტვირთმიმღების) ან ექსპედიტორის მიზეზით რკინიგზის სადგურში ან ნავსადგურის მისამართზე მისული ან დატვირთვა-გადმოტვირთვის (გადატვირთვის) სამუშაოების ჩატარების ადგილზე მიწოდებული ან ამ ადგილის გათავისუფლების მოლოდინში მდგარი ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნებისას, აგრეთვე ამავე პირების მისამართზე მისული ვაგონის (კონტეინერის) გზად მდებარე რკინიგზის სადგურში დაყოვნებისას აღნიშნული პირები ვალდებული არიან რკინიგზას გადაუხადონ ვაგონით (კონტეინერით) სარგებლობისა და ტვირთის შენახვის დადგენილი საფასური მისი დაყოვნების მთელი დროისათვის. აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, რკინიგზას შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ტვირთგამგზავნს, ტვირთმიმღებს ან ექსპედიტორს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ გ. გ-ემ, 2009 წლის 16 ოქტომბერს გამოხატა ტვირთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის ნება. სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, გ. გ-ის ქონება საკუთრებაში მიიღო 2009 წლის 22 ოქტომბერს გაცხადებული თანხმობით, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიული უფლება გადაცემულ ტვირთზე სახელმწიფომ მოიპოვა სწორედ ამ დროიდან და შესაბამისად, მასვე წარმოეშვა ამ უფლებიდან გამომდინარე მოვალეობით, შესაბამისად, გ. გ-ის ვალდებულება – ვაგონით სარგებლობისათვის დარიცხული საფასურის ანაზღაურების თაობაზე, შეწყდა ტვირთის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის დროიდან.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, 2009 წლის 22 ოქტომბრის ნერილთან დაკავშირებით კასატორი არ ასაბუთებს, რა სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია ამ დოკუმენტს, მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ იგი არასწორად შეაფასა და ეს ნერილი გ. გ-ს პასუხისმგებლობიდან არ ათავისუფლებს. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხ-

ლის საფუძველზე, საკასაციონ სასამართლო შემოიფარგლება სა-კასაციონ საჩივარში მითითებული გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი უსწორობის შემოწმებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციონ სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციონ საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ საკასაციონ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციონ ნაწილი:**

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციონ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 10 იანვრის განჩინება;
3. საკასაციონ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. დაზღვევა

დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით  
გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით  
მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№სა-1308-1246-2014

3 პრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზი-  
ანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს სადაზღვევო კომპანია „უ-მა“ სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში შპს „ბ-ს“ მიმართ ვალდებულების დარღვევით მიყენე-  
ბული ზიანის – 47 526.24 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.  
სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ 2011-  
2013წწ.-ში შპს სადაზღვევო კომპანია „უ-სა“ და შპს „ბ-ს“ შო-  
რის სხვადასხვა დროს გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულე-  
ბები, რომლის თანახმად, მოპასუხებ მოსარჩელისაგან შეიძინა  
შემდეგი სადაზღვევო პროდუქტები: ქონების დაზღვევა, ავ-  
ტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების დაზ-  
ღვევა, გარანტიების დაზღვევა და ასევე მოპასუხესთან და-  
საქმებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა. მხარეთა შორის გა-  
ფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს ეკისრე-  
ბოდა სადაზღვევო პრემიების გადახდის ვალდებულება, იმის  
მიუხედავად არსებობდა თუ არა სადაზღვევო შემთხვევა. სა-  
დაზღვევო პრემიების გადახდის ვალდებულება მოპასუხებ არ  
შეასრულა.

სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით მოპასუხებ დაადასტუ-  
რა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის თაო-  
ბაზე, რომ 2011-2013წწ.-ში შპს სადაზღვევო კომპანია „უ-სა“  
და შპს „ბ-ს“ შორის მართლაც გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკ-  
რულებები, რომლის თანახმად, მოპასუხებ მოსარჩელისაგან

შეიძინა შემდეგი სადაზღვევო პროდუქტები: ქონების დაზღვევა, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, გარანტიების დაზღვევა და ასევე მოპასუხესთან დასაქმებულ პირთა სამედიცინო დაზღვევა. თუმცა სადავოდ განადა მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობები მოიცავდა სხვადასხვა მიმართულებას, როგორიცაა უძრავი/მძრავი ქონების, ფინანსური რისკების და თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხარეთა შორის გაფორმდა რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი სარჩელიდან კი, არ ირკვეოდა თუ კონკრეტულად რომელი ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დადგა სარჩელით მოთხოვნილი ზიანი. ამასთან, მოპასუხებ პრეტენზია გამოთქვა იმ ფაქტთან მიმართებაში, რომ მზღვეველს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემდეგ წერილობით უნდა მიემართა დამზღვევისათვის და განესაზღვრა სადაზღვევო პრემიის გადახდის ორკვირიანი ვადა და გაეფრთხილებინა იგი შესაძლო შედეგების თაობაზე, რაც მისი მხრიდან არ განხორციელდა. პირიქით, როგორც წარმოდგენილი სარჩელით ირკვეოდა მოსარჩელე დაელოდა დაზღვევის ხელშეკრულების ვადის ამონურვას და მხოლოდ მისი მოქმედების ვადის ამონურვის შემდეგ მიმართა სასამართლოს მოპასუხებზე თანხის დაკისრების მოთხოვნით, რაც მზღვეველის/მოსარჩელის არაკეთილ-სინდისიერებაზე მეტყველებს.

ასევე, მოპასუხებ სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ფაქტი და აღნიშნა, რომ მზღვეველმა სადაზღვევო პრემიების გადაუხდელობის მიზეზით არ აანაზღაურა არც-ერთი სადაზღვევო შემთხვევა იმის მიუხედავად, რომ დამზღვევისა და მისი თანამშრომლების მიერ თავდაპირველ ეტაპზე ხდებოდა მზღვეველის ინფორმირება სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან ერთად. ხოლო მოგვიანებით, დამზღვევის მხრიდან არც სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდებოდა და არც მზღვეველის ინფორმირება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს სადაზღვევო კომპანია „უ-მ“. ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ბ-ს“ შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 37 073,94 ლარის გადახდა.

მოცუმულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011-2013წწ.-ში სხვა-დასხვა დროს შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვეველსა“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევს“ შორის გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულებები და გაიცა შესაბამისი პოლისები. დადგენილია, რომ დამზღვევი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადაზღვევო პრემიას არაჯეროვნად იხდიდა. ტვირთების დაზღვევის ხელშეკრულებებითა და ერთ-ერთი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით (სადაზღვევო პოლის №...) გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია დაზღვეულს მზღვეველისათვის საერთოდ არ გადაუხდია. სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები კი, დაზღვეულმა ნაწილობრივ შეასრულა და სადაზღვევო პრემია, ნაწილობრივ გადაიხადა, თუმცა ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მას მზღვეველისათვის გადასახდელი დარჩა 37073,94 ლარი.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 815-ე მუხლებით, რომელთა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარეობს დამზღვევის ვალდებულება სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების მეორე მხარე/დამზღვევმა არ შეასრულა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დამზღვევის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მას ვალდებულება არ უნდა შეესრულებინა მზღვეველის მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო და მიუთითოთა სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როცა დაზღვევის ხელშეკრულებისადმი ინტერესის დაკარგვის გამო, დამზღვევი გადის ხელშეკრულებიდან. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ის შესატანი, რომელიც შეესაბამებოდა ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულებიდან გასვლა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი უ-

თიერთობის შეწყვეტისაკენ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა არის ცალმხრივი გარიგება თუმცა ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, გარიგების მხარის მიერ მარტოოდენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა არ ნიმნავს, რომ მან გამოხატა ხელშეკრულებიდან გასვლის ნება. ამ კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის ნება გამოვლენილად ჩაითვლებოდა, თუ იგი მიუვიდოდა მზღვეველს. შესაბამისად, დამზღვევს მზღვეველისათვის უნდა ეცნობებინა, რომ მან დაკარგა ინტერესი დაზღვევისადმი და, მხოლოდ ამ შემთხვევაში, ჩაითვლებოდა გარიგებები მოშლილად, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დადასტურდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დამზღვევის პოზიცია მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების თაობაზე და აქვე, განმარტა, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც არ გათავისუფლდებოდა დამზღვევი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში, მას შეეძლო, მოქმალა ხელშეკრულება ან მზღვეველისაგან ვალდებულების შესრულება მოეთხოვა, რაც არ განუხორციელებია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამზღვევი სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებიდან არ გასულა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი მხრიდან სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შესრულებულიყო.

ამავდროობად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულება ვალდებულებებს ნარმოშობს არა მისი დადების ან სადაზღვევო პოლისის გაცემის, არამედ პირველი სადაზღვევო შენატანის განხორციელების მომენტიდან. სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე №ას-1708-1602-2012, რომელშიც დაზღვევის ხელშეკრულება განიმარტა, როგორც რეალური ბუნების, ორმხრივ მავალდებულებელი გარიგება. იმის გათვალისწინებით, რომ №...; №...; №...; №...; №...; №...; №...; №... და №... სადაზღვევო პოლისებიდან გამომდინარე, დამზღვევს მზღვეველის წინაშე გადახდის ვალდებულება არ ნარმოშობია ამ ნაწილში, მზღვეველის მოთხოვნა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ-მა“ გა-  
ასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი  
გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთე-  
ბა იმ გარემოებას ემყარება, რომ დამზღვევის მიერ სადაზღვე-  
ვო პრემიის გადახდის დაგვიანების შემდეგ მზღვეველი აღარ  
გასცემდა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ სადაზღვევო  
ანაზღაურებას. კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის  
52-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ მისი, როგორც დამზღვევის  
ინტერესი სადაზღვევო ხელშეკრულების მიმართ იარსებებდა  
მხოლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდისას.

კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე  
და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მზღვეველმა ბორო-  
ტად გამოიყენა მისი უფლება, რაც იმაში გამოიხატა, რომ  
მზღვევლი დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედე-  
ბის ვადის ამონტურვას და როგორც კი, სამოქალაქო კოდექსის  
817-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გამოირიცხა კონ-  
ტრაპენტის მხრიდან საპასუხო მოთხოვნების წარდგენის შე-  
საძლებლობა, გამოიყენა უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა.

ამასთან, კასატორი თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუ-  
თითებს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის პირველ ნაწილ-  
ზე და აღნიშნავს, რომ მზღვეველს სადაზღვევო პრემიის გა-  
დაუხდელობის შემდეგ წერილობით უნდა მიემართა დამზღვე-  
ვისათვის და განესაზღვრა სადაზღვევო პრემიის გადახდის ორ-  
კვირიანი ვადა და გაეფრთხილებინა იგი შესაძლო შედეგების  
თაობაზე, რაც მისი მხრიდან არ განხორციელდა. იმ გარემოე-  
ბის გათვალისწინებით, რომ მზღვევლს ხელშეკრულების ვადის  
გასვლამდე არავითარი სამართლებრივი მექანიზმი არ გამოუ-  
ყენებია დამზღვევისათვის სადაზღვევო პრემიის დასაკისრებ-  
ლად, კონტრაპენტს შეექმნა რჩმენა, რომ დაზღვევის ხელშეკ-  
რულებები მოშლილი იყო, ვინაიდან ხელშეკრულების არც ერ-  
თი შესარე არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „ბ-ს“ საკასა-  
ციო საჩივრი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-  
ასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკა-  
საციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო სა-  
ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2011-2013წწ.-ში სხვადასხვა დროს შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვეველა“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევს“ შორის გაფორმდა სადაზღვევო ხელშეკრულებები და გაიცა შესაბამისი პოლისები.

უდავო გარემოებაა დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ფაქტი. ასევე დადგენილია, რომ ტვირთების დაზღვევის ხელშეკრულებებითა და ერთ-ერთი ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით (სადაზღვევო პოლისის №...) გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია დაზღვეულს მზღვეველისათვის საერთოდ არ გადაუხდია. სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები კი, დაზღვეულმა ნაწილობრივ შეასრულა და სადაზღვევო პრემია, ნაწილობრივ გადაიხადა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ბ-ს“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავო არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“/მზღვეველის უფლებას შპს „ბ-ს“/დამზღვევის მიმართ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. კასატორის აღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“/მზღვეველის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ბ-ს“/დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოცემულ საქმეზე კი, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“/მზღვევლის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 815-ე მუხლები, რომელიც ადგენს დამზღვევის ვალდებულებას სადაზღვევო პრემიის გადახდის თაობაზე და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად, საკა-

საციონ პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არამართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ნორმების საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობებზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „სადაზღვევო კომპანია „უ-ს“, როგორც „მზღვევლსა“ და შპს „ბ-ს“, როგორც „დამზღვევს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ, რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება და ამავდროულად, ნარმოადგენს ორმხრივად მავალდებულებელ გარიგებას (სკ-ის 799-ე მუხ.), კერძოდ, ერთი მხრივ, დამზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდა და მეორე მხრივ, მზღვეველის ვალდებულებას წარმოადგენდა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება. უდავო გარემოებაა, რომ დამზღვევის მხრიდან დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების პირობების ამგვარი დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის რეგულირების სამართლებრივი მექანიზმი გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლში, რომელის დანაწესით, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისიუფლდება თავისი მოვალეობებისაგან. ამავე კოდექსის 818-ე მუხლის დანაწესით კი, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

ზემოთმოხმობილ ნორმათა სამართლებრივი რეგულირების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდნელი შედეგები. მზღვეველის ქცევის ამგვარი სტანდარტის არსებობა განპირობებულია სწორედ კერძო სამართლის სუ-

ბიუქტების კეთილსინდისიერი ქცევის ფარგლებით (სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწ.). მართალია სამოქალაქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. როგორც განსახილველი საქმის მასალებითაა დადგენილი მზღვეველი, რომლის მიმართაც არაერთგზის დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა, ისე რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ არ გამოყენებია კონტრაპენტის/დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების ფორმა. მზღვეველის უმოქმედობას კი, ამ ტიპის დავის გადაწყვეტისათვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევს მოსალოდნელ შედეგებზე იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონურვის შემდეგ (საკასაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავსი ტიპის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკასთან, იხ., სუს 21.02.2013წ.-ის №ას-85-81-2013წ.-ის განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს,

რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ საკითხს, რომ შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“/მზღვეველის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ბ-ის“/დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიდებოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აპსტრაქტულ ელემენტებს (მემადგენლობას).

სამართალნარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარნყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის საგალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს „ბ-ს“ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ემყარება სახელ-

შეკრულებო ვალდებულებათა დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. სარჩელის დაკმაყოფილებისათვის პირველ რიგში, უნდა გაირკვევს მიყენებული ზიანის შინაარსი და მისი ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას მოთხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხ.), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1 მუხ.), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხ.) და ა.შ. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელზედაც მოცემულ შემთხვევაში პრეტენზიას აცხადებს მოსარჩევე მისი მოსაზრებით დაკავშირებულია სადაზღვევო პრემიის გადახდის შესახებ დამზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობასთან. ამდენად, ამ ნაჩილში მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მიუღებელი შემოსავლისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის, რომელშიც მოიაზრება ის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის დასაბუთებულობისათვის უნდა შემოწმდეს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი ობიექტური კრიტერიუმების არსებობა, იმისათვის რომ სარჩელის დაკმაყოფილებას შედეგად არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ნარმოდგენილი სარჩელის საფუძვლებიდან ირკვევა, მოსარჩელემ ზიანის ოდენობა დაუკავშირა უშუალოდ სადაზღვევო პრემიის სრულ (გადაუხდელ) მოცულობას, ხოლო მოთხოვნა დამყარა კონტრაპენტის/დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობაზე, ამასთან, იგი ვერ უთითებდა იმ მტკიცებულებებზე, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ განსაზღვრული ზიანის ოდენობას და ამდენად, საკასაციო

პალატას მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი საფუძვლის ზიანის არსებობის ფაქტის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულების წარდგენა, რაც მაკვალიფიცირებელი ნიშანია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის გამოყენებისათვის.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებნა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. საქმის მასალებით კი, მოსარჩელისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ფაქტი დადასტურებული არ არის, რაც გამორიცხავს სარჩელისა და შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ის“ სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ შპს „ბ-ს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე შპს „ბ-ს“ მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო

ანაზღაურების მიზნით, 300 ლარის გადახდა.

ამასთან, შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შპს „ბ-სათვის“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის – 1553,65 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ლ ა:**

1. შპს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ..... ) დაეკისროს შპს „ბ-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ..... ) სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 300 ლარის გადახდა.
5. შპს სადაზღვევო კომპანია „უ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ..... ) დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1553,65 ლარის გადახდა. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# დამზღვევის პრალისადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

## გადაცევაფილება საქართველოს სახელით

№ას-1319-1257-2014

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. ბაქაცური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების  
შესრულება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. სასჯელალსრულების დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა სა-  
სამართლოში შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი  
ვალდებულების შესრულების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 9 თებერვალს სას-  
ჯელალსულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სა-  
კითხთა სამინისტროსა და სადაზღვევო კომპანია „ა-ჯ-ს“ შო-  
რის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც სადაზღვევო კომპა-  
ნია „ა-ჯ-მა“ აიღო ვალდებულება სადაზღვევო შემთხვევის  
დადგომისთანავე გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი ოპერატი-  
ული მომსახურება.

3. 2013 წლის 5 იანვარს დაახლოებით 20 საათზე ქობულეთის  
რაიონის სოფელ ბ-ში სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტო-  
მობილით, რომელიც ამჟამად ირიცხება სასჯელალსრულების  
დეპარტამენტის ბალანსზე, მოხდა ავტოსაგზაო შეთხვევა.

4. ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მძღოლი არ იყო ნასვამ  
მდგომარეობაში. მოძრაობდა 60 კმ/სთ დაშვებული სიჩქარით,  
ავტომანქანა იყო ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, იყო  
მძიმე მეტეოროლოგიური პირობები, შემთხვევა გამოწვეული  
იყო შემხვედრი ავტომანქანის მიერ შორი განათების ფარების  
მინათებით. მძღოლმა ყველა ღონე იხმარა აეცილებინა შესაძ-  
ლო შედეგი.

5. 2013 წლის 2 მაისის წერილზე თანდართული ა-ჯ-ის სა-  
დაზღვევო მოთხოვნათა განმხილველი კომიტეტის გადაწყვე-  
ტილებით შპს „სადაზღვევო კომპანია ა-ჯ-მა“ უარი განაცხადა

ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებაზე. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეყრდნობა სადაზღვევო კომპანიის მიერ გამოტანილ სუბიექტურ დასკვნებს. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ის ფაქტი, რაც მოხდა, გამოწვეულია „მკვეთრად გამოხატული უხეში გაუფრთხილებლით“, მძღოლმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყო სწორი მანევრირება და დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მძღოლი მოძრაობდა ისეთი სიჩქარით და დაუშვა ისეთი მართლსაწინააღმდეგო მანევრი, რომლითაც ვერ გააკონტროლა უსაფრთხო მართვა“.

6. მოსარჩელის აზრით, გადაწყვეტილებაში აღნიშნული საკითხები, რომლებსაც ეყრდნობა სადაზღვევო კომპანია, მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის სუბიექტური შეფასებაა და არა გამოძიების მასალებზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა სადაზღვევო კომპანიის უარი და სახეზეა კომპანიის მიერ 2012 წლის 9 თებერვლის №61 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა.

7. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ავტოსაგზა შემთხვევისას დადგენილია მძღოლის მიერ საგზაო წესების დარღვევის ფაქტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად, მზღვეველის ვალდებულების შესრულების გამომრიცხავი საფუძველია.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით სასჯელასრულების დეპარტამენტის სარჩელი არ დაემაყოფილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სასჯელასრულების დეპარტამენტმა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასჯელასრულების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება; შეს „ს.კ.ა.ჯ-ს“ სასჯელასრულების დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა დაზიანებული ავტომანქანის სანაცვლოდ იგივე წლოვანების და იგივე მახასიათებლის (მოდელი – შეოდა ოქტავია, გამოშვების წელი – 2010, ძრავა 1.6., ვერცხლისიფერი, მექანიკური გადაცემათა კოლოფით, ალუმინის დისკებით, ნაჭრის სალონით, „აირბაგებით“, ელექ-

ტრო მინების ამწევით, გიდრავლიკით) გამართული ავტომანქანის გადაცემა; შპს „სადაზღვევო კომპანია ა-ჯ-ს“ სასჯელალ-სრულების დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამ-ტეხლოს გადახდა 2013 წლის 7 მაისიდან გადაწყვეტილების აღ-სრულებამდე, ყოველდღიურად 16 999 ლარის 0.05%-ის ოდე-ნობით.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემ-დეგი ფაქტობრივი გარემოებები:

12. 2012 წლის 9 თებერვალს, ერთის მხრივ, სასაჯელალსრუ-ლების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სა-მინისტროს, როგორც „შემსყიდველსა“ და მეორეს მხრივ, შპს „ს.კ.ა-ჯ-ს“, როგორც „მიმწოდებელს“ შორის გაფორმდა ხელ-შეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულე-ბის საგანს წარმოადგენდა შემსყიდველის საჭიროების დაკმა-ყოფილება და ავტოტრანსპორტის სრული დაზღვევის მომსა-ხურების შესყიდვა. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერი-ლობა და განვასება ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მიხედვით განისაზღვრა სპეციფიკურ პირობებში და ფასების ცხრილში (დანართ №1). შესიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეად-გენდა 16 999,00 ლარს.

13. ხელშეკრულების 5.3. პუნქტით მიმწოდებელმა აიღო ვალ-დებულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, შესაბამისი აქტების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში აენაზ-ლურებინა მიყენებული ზიანი.

14. ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის ან შეს-რულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით, მიმ-წოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვა-დაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ამასთან, განისაზღვრა, რომ საჯარიმ სა-ქციის გადახდა არ ათავისუფლებდა მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 09.02.2013-ის ჩათვლით პერიოდი.

16. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელ-შეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, ავტოტრან-სპორტის სრული დაზღვევა ითვალისწინებდა სხვადასხვა სა-დაზღვევო შემთხვევებს, მათ შორის ავტომობილის დაზიანე-ბას ან განადგურებას, რაც გამოწვეული იქნებოდა ავტოსაგ-ზაო შემთხვევით.

17. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში შენიშვნის სა-

ხით მითითებულია, რომ სამინისტროს ოპერატიული მანქანები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ვალდებული არ არიან გაჩერდნენ (თუ ფიზიკურად შესაძლებელია სვლის გაგრძელება, მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი) და დაელოდონ სამართალდამცავი ორგანიზმის თანამშრომლებს. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველის წარმომადგენელი გალდებულია, დაუყოვნებლივ ჩააყენოს საქმის კურსში შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ ადმინისტრაცია (მტკიცებულება: ხელშეკრულება და მისი სპეციფიკური პირობები).

18. პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 5 იანვარს, დაახლოებით 20:00 სთ-ზე სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 79-ე კმ-ზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბ-ში, ბათუმის მიმართულებით მოძრაობდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილი „შკოდა ოქტავია“ სახ. ნომრით ..., რომელსაც მართავდა მძღოლი გ. გ-ე. მსვლელისას ავტომობილის მძღოლი გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შეეჯახა მარჯვენა გვერდულზე არსებულ დამცავ ჯებირს, რის შემდეგადაც შეეჯახა გზის სავალი ნაწილის შუა გამყოფ ბორდიურს. შეჯახების შედეგად დაზიანდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება „შკოდა ოქტავია“ სახ. ნომრით ... (მტკიცებულება: 12.04.2013-ის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ).

19. სადაზღვევო პოლისის მიხედვით, ავტომანქანის „შკოდა ოქტავიას“ სახ. ნომრით ... საბალანსო ლირებულება შეადგენდა 29 362.50 ლარს. საქმეში წარმოდგენილი შპს „ი-ის“ მიერ გაცემული ინვოისით პალატამ დაადგინა, რომ შეჯახების შედეგად დაზიანებულ ავტომანქანას „შკოდა ოქტავიას“ სახ. ნომრით ..., ესაჭიროება 26 855 ლარის ლირებულების სათადარიგო ნაწილები. აუდიტის დაკვნის შესაბამისად კი, სადაც ავტომანქანის ნარჩენა ლირებულება 2013 წლის 26 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 5400 ლარს.

20. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც ალდგენითი შეკეთების ლირებულება აღემატება მისი ლირებულების 70 პროცენტს.

21. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტომანქანის ალდგენითი შეკეთების ლირებულება აღემატებოდა მისი ლირებულების 70%-ს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სადაზღვევო შემთხვევამ გამოიწვია ავტომანქანის განადგურება.

22. სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2013 წლის 7 მაისს შპს „სადაზღვევო კომპანია ა-ჯ-მა“ უარი განაცხადა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილის „შეოდაოქტავიას“ სახ. ნომრით ... დაზიანებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების შესახებ დამზღვევის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მზღვეველის გადაწყვეტილება იმ მოსაზრებას დაეფუძნა, რომ ადგილი ჰქონდა დაზღვეული ავტომობილის მძლოლის – გ. გ-ის მხრიდან ბრალეულ ქმედებას, რომელიც გამოიხატა სატრანსპორტო საშუალების მართვისას საგზაო მოძრაობის კანონმდებლობის ნორმების დარღვევაში, რაც მკვეთრად გამოხატული უხეში ბრალეულობით ხასიათდებოდა (მტკიცებულება: შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ 2013 წლის 7 მაისის წერილი და სადაზღვევო მოთხოვნის განმხილველი კომიტეტის 30.04.2013წ.-ის გადაწყვეტილება).

23. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული არ ყოფილა მისი თანამშრომლის უხეში გაუფრთხილებლობით.

24. საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძლოლის გ.გ-ის მიერ მანევრირების წესების უგულვებელყოფამ, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. საქმეში წარმოდგენილი ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით ასევი დასტურდებოდა, რომ ავტომობილი „შეოდაოქტავია“ სახელმწიფო ნომრით ... შეჯახებამდე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო უფლებამოსილი მძლოლის უხეში გაუფრთხილებლობით. თუმცა მიუხედავად ამისა, პალატის აზარით, მზღვეველი – შპს „ს.კ.ა.ჯ.“ ვალდებული იყო აზაზღაურებინა დამზღვევის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით – ავტოვარიით გამოწვეული ზიანი.

26. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, რო-

ცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

27. სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. იმავე კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

28. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად სახელშეკრულებო ურთიერთობის არსი მდგომარეობს მხარეთა წინასწარ განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების არსებობაში. კონკრეტულ შემთხვევაში კი, მხარეები იმყოფებოდნენ დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც სადაზღვევო კომპნიას, როგორც მზღვეველს/„მიმწოდებელს“ აკისრებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დამზღვევთან/„შემსყიდველთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მითითება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლზე (დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას), როგორც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის კანონისმიერ საფუძველზე და განმარტა, რომ მოცემულ სამართალურთობაში მხარეთა ორმხრივი უფლებები და მოვალეობები განისაზღვრა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცულობაა საჭირო სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვისაც. სწორედ ეს მოსაზრებაა გატარებული სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლი, რომელიც დათქმას აკეთებს ხელშეკრულების პირობებზე, როგორც ზიანის ანაზღაურების მაგალდებულებელი გარემოებების დამდგენ დოკუმენტზე.

29. პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების სპეციფიკური პირი პირობები ითვალისწინებს ავტოტრანსპორტის სრულ დაზღვევას ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება ავტოსაგზაო შემთხვევით. სასამართლომ ყურადღება მიაქცია სპეციფიკურ პირობებში გაკეთებულ შენიშვნას, რომლის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სამინისტროს ოპერატორი მანქანები ვალდებული არ არიან გაჩერდნენ (თუ ფიზიკურად შესაძლებელია სვლის გაგრძელება, მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი) და დაელოდონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს.

30. პალატის მოსაზრებით, გამომდინარე იქიდან, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისას, დარღვევის ხასიათის განსაზღვრას და ბრალეული პირის გამოვლენას საქართველოში საპატრულო პოლიცია ახორციელებს, ხოლო მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, დამზღვევის უფლებამოსილ მძღოლებს ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომანქანის გაჩერება და საპატრულო პოლიციის თანამშრომლის დალოდება არ ევალებათ, იგულისხმება, რომ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობის და ბრალეულობის ხარისხის მიუხედავად, მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს სადაზღვეო შემთხვევით გამოწვეული ზიანი.

31. ამდენად, სპეციფიკური პირობების მე-2 პუნქტის და შენიშვნის სახით განხორციელებული მინანერის ერთობლივი ანალიზით, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მზღვეველის მოვალეობა აენაზღაურებინა დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის, კონკრეტულ შემთხვევაში, ავტომობილის „შეოდა ოქტავიას“ სახ. ნომრით ... დაზიანებით მიყენებული ზიანი, არ იყო დამოკიდებული დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის მიმართ ავტომანქანის მძღოლის სუბიექტურ დამკიდებულებაზე – ბრალზე (განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა), ვინაიდან ამგვარ მითითებას მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება და მისი სპეციფიკური პირობები არ შეიცავს. პირიქით, ხელშეკრულება არ ანესებს ავტომანქანის მძღოლის ვალდებულებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაჩერდეს და დაელოდოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ადგილზე მისვლას, არამედ მიუთითებს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, მძღოლს სადაზღვევო შემთხვევის აანაზღაურების მიზნებისათვის ამგვარი ვალდებულება არ ეყისრება და იგი უფლებამოსილია გააგრძელოს სვლა. შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, დამზღვევის პოზიცია მძღოლის უხეში გა-

უფრთხილებლობაზე მითითებისა და ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე (სკ-ის 829-ე მუხლი) მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამავე კოდექსის 814-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მზღვეველმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდებოდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილის „შეოდა ოქტავიას“ სახ. ნომრით ... დაზიანებასთან დაკავშირებით მზღვეველის/„მიმწოდებლის“ ვალდებულების გამომრიცხავი გარემოებები, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამზღვევისათვის/„შემსყიდველისათვის“ მიყენებული ზიანი ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

34. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სპეციფიური პირობების მე-11 მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ავტოტრანსპორტის განადგურებად ჩაითვლება ზიანი, რომლის დროსაც აღდგენითი შეკეთების ღირებულება აღემატება მისი ღირებულების 70 პროცენტს. სრული განადგურების შემთხვევაში მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს დამზღვევზე ავტოტრანსპორტის მზღვეველზე გადაფორმების შემდეგ იგივე ოდენობით, რა ოდენობითაც დადგენილია მისი ნარჩენი ღირებულება (მათ შორის არ იანგარიშება ყოველთვიური (ცვეთა). განადგურებისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა რეალიზაციისათვის ვარგისი ნარჩენების მზღვეველისათვის გადაცემის შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

35. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა დაზიანებული ავტომანქანის ჩანაცვლება იგივე ნლოვანების და მახასიათებლების გამართული ავტომანქანით,

რაც, პალატის აზრით, თავისი არსით ნიშნავდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

36. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დამზვევისათვის ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შესაძლებელია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის დაზიანებული ავტომანქანის სანაცვლოდ, იგივე წლოვანებისა და იგივე მახასიათებლების (გამოშვების წელი – 2010, ძრავა 1,6, ვერცხლისფერი, მექანიკური გადაცემა-თა კოლოფით, ალუმინის დისკებით, ნაჭრის სალონით, „აირბა-გებით“, მინების ელექტრო ამწევებით, გიდრავლიკით) ავტო-მანქანის გადაცემით.

37. რაც შეეხება სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტებლოს ოდენობას, აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტებლოს ოდენობა ყოველდღიურად 16 999,00 ლარის 0,1%, რაც დღეში შეადგენს 16,99 ლარს იყო შესაბამოდ მაღალი, რის გამოც მიზანშენონილი იყო მისი განახევრება. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ შპს სადაზღვევო კომპანია „ა-ჯ-ს“ სასაჯელალსრულების დეპარტამენტის სასარგებლოდ დააკისრა პირგასამტებლო სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის მომენტიდან 2013 წლის 7 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად შესყიდვის ობიექტის ჯამური ლირებულების – 16 999,00 ლარის 0,05%-ის ოდენობით.

38. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შპს „ს.კ. ა-ჯ-მა“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

39. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, უდავოდ დადგენილია ის ფაქტი, რომ 2013 წლის 4 იანვარს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა განხორციელდა მძღოლის უხეში ბრალეული ქმედებით. კერძოდ, ექსპერტიზით დადგენილი იყო, რომ გ. გ-ე გადაადგილდებოდა გადაჭარბებული სიჩქარით, არ დაემორჩილა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ კანონითა და საგზაო ინფრასტრუქტურით გათვალისწინებულ წესებს და მოახდინა შეჯახება. ამასთან, საგამოძიებო ორგანოს მიერ დადგენილი იქნა, რომ შეჯახება და გადაადგილება მოხდა კანონის დარღვევით და მესამე პირების ბრალეულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ მართალია დაადგინა, რომ ავტოსაგ-

ზაო შემთხვევა მოხდა უფ. მძღოლის უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით, თუმცა აღნიშნული არ მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძვლად, რაც კასატორის აზრით არასწორია.

40. საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავისუფალნი არიან ხელშეკრულების შინაარსის და პირობების განსაზღვრაში და აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობის დროს აღნიშნული პრინციპი იზღუდება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრულ და მრავალჯერადი გამოყენების ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედი პირობები განსაზღვრულია წინასწარ, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს მიერ, ხოლო შესყიდვის პირობებს ცალმხრივად ადგენს შემსყიდველი. მიმწოდებლის მიერ რაიმე სახის ცვლილებების განხორციელება აღნიშნულ პირობებში დაუშვებელია და შეუძლებელია. შესყიდვების დამატებითი პირობების შესაბამისად, დაზღვევა ვრცელდება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომანქანის დაზიანება-განადგურებაზე. ამასთან, ავტომობილის მძღოლი უფლებამოსილია მოახდინოს საპატრულო პოლიციისათვის ინფორმაციის მიწოდება. თუმცა ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია 4 ავტომობილი, რომელიც განთავისუფლებულია საპატრულო პოლიციისთვის მიმართვისაგან, თუ ისინი ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებენ. აღნიშნულ ავტომანქანათა რეკვიზიტები გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამატებით (სპეციფიკურ) პირობებში და აღნიშნული სასამართლოს არ გაუთვალისწინებია. სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციფიკურ პირობებში გათვალისწინებული ავტომანქანები უფლებამოსილი არიან გააგრძელონ სვლა და არ გაჩერდნენ (თუ სვლა ფიზიკურად შესაძლებელია და თუ დაზიანება უმნიშვნელონა). კასატორის განმარტებით, გ. გ-ის მფლობელობაში არსებული მანქანა არც აღნიშნულ ჩამონათვალშია გათვალისწინებული და არც რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება მოიპოვება, რომ ის ახორციელებდა ოპერატიულ საქმიანობას. შესაბამისად, სასამართლომ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე განმარტა აღნიშნული ჩანაწერის გამო მზღვეველის ვალდებულება მძღოლის ბრალეულობისა და მისი ხარისხის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს ზიანის ანაზღაურება.

41. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, მხოლოდ

ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანებს გააჩნიათ საპატ-რულო პოლიციის არდალოდების უფლებამოსილება და მათ უნდა დაასაბუთონ რომ ავტოავარიის განხორციელების პერიოდში ახორციელებდნენ ოპერატიულ საქმიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო კომიანია არ მოახდენს შემთხვევის ანაზღაურებას.

42. საჩივრის ავტორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მზღვევლა ანაზღაური სიტუაციში გათავისუფლდა ანაზღაურების ვალდებულებისაგან. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ვერ დაადასტურა ავტო-საგზაო შეთხევების დროს ახორციელებდა თუ არა უფლებამოსილი მძღოლი ოპერატიულ საქმიანობას. ამასთან, დადგენილი იქნა, რომ მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად მოხდა ავტოავარია.

43. კასატორის აზრით, არასწორია სასამართლოს მითითება მძღოლის ბრალის გამორიცხვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში განსაზღვრულია ავტოავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა არ არის კონკრეტულად მითითებული რას მოიცავდა აღნიშნული. შესაბამისად, შეუძლებელია აღნიშნული ჩანაწერი იმდენად ზოგადად განიმარტოს, რომ მოვიაზროთ დამზღვევის ბრალის მიუხედავად შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება. სსკ-ს 829-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევმა სადაზღვევო ანაზღაურება გამოიწვია განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით. აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არასწორად განიმარტა ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზი შევსებული უნდა ყოფილიყო კანონით გათვალისწინებული ნორმით. ზოგადი ჩანაწერი ავტოავარიის შემთხვევაში ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე უნდა განიმარტოს სსკ-ს 829-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმით, რომელიც ბრალის გათვალისწინებით მზღვეველის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებას გულისხმობდა.

44. კასატორი აღნიშნავს, რომ არაერთი გადაწყვეტილებით იქნა დადგენილი აღნიშნული პრაქტიკა.

45. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის 28/979-13 განჩინებაში (რომლითაც შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე და ძალაში დარჩა

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) აღნიშნულია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ დადგენილია მთელი რიგი რეგულაციები ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მიმართ და მათ ევალებათ იციდნენ თავიანთი ვალდებულებები, დაიცვან ისინი ზედმინებინით და ავტოსატრანსპორტო საშუალება მართონ გონივრული და სათანადო წინდახედულობის ფარგლებში. შესაბამისად თუ დადგინდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ არ ჰქონდა ადგილი კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევას და იგი ავტომანქანას მართავდა სათანადო წინდახედულობის ფარგლებში, მისი ქმედება არ შეიძლება შეფასდეს განზრას ან უხეშ გაურთხილებლობად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოძრაობის წესებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დადგენილი სიჩქარის ფარგლებში დაწესებულ ზოლებში მოძრაობა, რისი დარღვევაც უპირატესად იწვევს მძიმე შედეგს. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძლოლს ევალება განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ზედმინებინით დაიცვას აღნიშნული წესები. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაზღვევო რისკი არ ვრცელდება დამზღვევის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებაზე. ხოლო ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი ოპერატიული ავტომანქანების განსაკუთრებული რეესიმის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ისინი ასრულებენ ოპერატიულ საქმიანობას ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას.

46. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სადაცვო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (კერძოდ, სუს განჩინებებს №ას943-901-2013, №ას-1510-1425-2012), რომლითაც დადგენილია, რომ მძლოლის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შესაბამისად დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

47. საჩივრის ავტორის აზრით, უსაფუძვლოა ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილშიც.

48. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა სასჯელალსრულების სამინისტრო და არა მოსარჩელე, რომელსაც შემდგომში გადაეცა ავტოსატრანსპორტო საშუალება. აქედან გამომდინარე, მზღვეველს მხოლოდ იმის ანაზ-

ლაურება შეიძლება დაეკისროს, რაც ხელშემკვრელ მხარესთან იკისრა. აღნიშნულ შემთხვევაში ვინაიდან ავტომანქანა გადაეცა მესამე პირს, მას ჰქონდა სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, თუმცა მას არ შეიძლება ჰქონდეს პირგასამტებლოს მოთხოვნის უფლება, ვინაიდან ხელშეკრულებით უფლებები და მოგალეობები განსაზღვრული იყო სამინისტროსა და მზღვეველს შორის. დავის მხარეები არ არიან ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეები. შესაბამისად, პირგასამტებლოს დაკისრება მზღვეველისათვის წარმოადგენს აპსოლუტურად დაუსაბუთებელ ქმედებას.

49. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივნისის განჩინებით შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

52. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

53. განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლო დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

54. 2012 წლის 9 თებერვალს, ერთის მხრივ, სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სა-

მინისტროს, როგორც „შემსყიდველსა“ და მეორეს მხრივ, შპს „ს.კ. ა-ჯ-ს“, როგორც „მიმწოდებელს“ შორის გაფორმდა ხელ-შეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემსყიდველის საჭიროების დაკმაყოფილება და ავტოტრანსპორტის სრული დაზღვევის მომსახურების შესყიდვა.

55. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების თანახმად, ავტოტრანსპორტის სრული დაზღვევა ითვალისწინებდა სხვა-დასხვა სადაზღვევო შემთხვევებს, მათ შორის ავტომობილის დაზიანებას ან განადგურებას, რაც გამოწვეული იქნებოდა ავ-ტოსაგზაო შემთხვევებით.

56. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში შენიშვნის სახით მითითებულია, რომ სამინისტროს ოპერატორული მანქანები სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ვალდებული არ არიან გაჩერდნენ (თუ ფიზიკურად შესაძლებელია სვლის გაგრძელება, მიყენებულია უმნიშვნელო ზიანი) და დაელოდონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ ჩააყენოს საქმის კურსში შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ ადმინისტრაცია.

57. 2013 წლის 5 იანვარს, დაახლოებით 20:00 სთ-ზე სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 79-ე კმ-ზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბ-ში, ბათუმის მიმართულებით მოძრაობდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილი „შეოდა ოქტავია“ სახ. ნომრით ..., რომელსაც მართავდა მძღოლი გ. გ-ე. მსვლელისას ავტომობილის მღლოლი გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და შეეჯახა მარჯვენა გვერდულზე არსებულ დამცავ ჯებირს, რის შემდეგაც შეეჯახა გზის სავალი ნაწილის შუა გამყოფ ბორდიურს. შეეჯახების შედეგად დაზიანდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება „შეოდა ოქტავია“ სახ. ნომრით ....

58. 2013 წლის 7 მაისს შპს „სადაზღვევო კომპანია ა-ჯ-მა“ უარი განაცხადა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილის „შეოდა ოქტავიას“ სახ. ნომრით ... დაზიანებასთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების შესახებ დამზღვევის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მზღვეველის გადაწყვეტილება იმ მოსაზრებას დაეფუძნა, რომ ადგილი ჰქონდა დაზღვეული ავტომობილის მძღოლის – გ. გ-ის მხრიდან ბრალეულ ქმედებას, რომელიც გამოიხატა სატრანსპორტო საშუალების მართვისას საგზაო მოძრაობის კანონმდებლობის ნორმების დარღვევაში, რაც მკვეთრად გამოხატული უხეში ბრალეულობით ხასიათდებოდა.

59. საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის ოქმის, ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო სამინისტროს უფლებამოსილი მძლოლის, გ. გის უხეში გაუფრთხილებლობით, რაც განაპირობა მის მიერ მანევრირების წესების უგულვებელყოფამ და გადაჭარბებული საჩქარით მოძრაობამ.

60. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), ზემოაღნიშული ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის.

62. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის (მოპასუხის) მოსაზრებას, რომ ვინაიდან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება (და მისი სპეციფიკური პირობები) არ შეიცავდა მითითებას დამზღვევის ბრალით (განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების მოვალეობის შესახებ, მძლოლის უხეში გაუფრთხილებლობის პირობებში, სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრებოდა დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის შესაბამისად.

63. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.

64. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან დამზღვევის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებმა აღნიშნულისაგან განსხვავებულ პირობაზე შეთანხმების სურვილის არსებობისას (კერძოდ, ბრალის მიუხედავად მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების ვალდებულება), ამის შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიუთითონ. თუ ხელშეკრულებით მხარეები პირდაპირ არ გაითვალისწინებენ ამ პირობას (პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ), აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს.

65. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ შეიცავს დებულებას დამზღვევის ბრალის არსებობისას (ან ბრალის მიუხედავად) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ.

66. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ავტოვარია გამოიწვია მძლოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ („ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძლოლის მიერ მანევრირების წესების უგულვებელყოფამ, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ამასთან, წარმოდგენილი ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა, რომ ავტომობილი „შეოდა ოქტავია“ სახელმწიფო ნომრით ... შეჯახებამდე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით“).

67. შესაბამისად, არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

68. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისად, უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევა (ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზიანი) არ ანაზღაურდება სადაზღვევო კომპანიის მიერ, თუ აღნიშნული გათვალისწინებული არ არის დაზღვევის ხელშეკრულებით.

69. ერთ-ერთ საქმეში (იხ. სუს 2014 წლის 17 თებერვლის №ძა-943-901-2013 განჩინება), რომლითაც დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი, სადავო იყო სწორედ სამინისტროს უფლებამოსილი მძლოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მძლოლის მიერ შემთხვევის ადგილზე მოქმედი საგზაო ნიშნების უგულებელყოფისა და სიჩქარის გადაჭარბების ფაქტის არსებობის გამო სახეზე იყო უხეში გაუფრთხილებლობა, რის გამოც მოპასუხე სადაზღვევო კომპანიას არ ეკისრებოდა თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

70. დაუსაბუთებელია ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სადაზღვევო კომპანიისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში არსებული შენიშვნა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში არ ავალდებულებს სამინისტროს ოპერატიულ მანქანებს გაჩერდნენ და დაელოდნონ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, გულისხმობს მძღოლის ბრალეულობის მიუხედავად მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

71. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ „[რადგან] ავტოსაგზაო შემთხვევისას, დარღვევის ხასიათის განსაზღვრას და ბრალეული პირის გამოვლენას საქართველოში საპატრულო პოლიცია ახორციელებს, ხოლო მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, დამზღვევის უფლებამოსილ მძღოლებს ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომანქნის გაჩერება და საპატრულო პოლიციის დალოდება არ ევალებათ, იგულისხმება, რომ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის ბრალეულობის და ბრალეულობის ხარისხის მიუხედავად, მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი“.

72. საკასაციო სასამართლოს აზრით, ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში არსებული შენიშვნის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებს, რომელიც არეგულირებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

73. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალის მიუხედავად მზღვეველის პასუხისმგებლობის არსებობაზე შეთანხმების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ დაზღვევის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირდაპირ (ცალსახა და არაორაზროვან) მითითებას.

74. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაძლებელი იქნებოდა მოცემული შენიშვნის ისე განმარტება, როგორც ამაზე სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, განსახილველ საქმეში აღნიშნული მაინც ვერ გახდებოდა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველი, ვინაიდან ამავე შენიშვნის ბოლოს მოცემულია სამინისტროს იმ ოპერატიულ ავტომანქანათა ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული შენიშვნა. ამ ჩამონათვალში კი არ არის შეოდარება ავტომობილი, სახ. ნომრით ..., რომლის მძღოლის ბრალეული ქმედების შე-

დეგადაც დადგა სადაზღვევო შემთხვევა.

75. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორ შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ პოზიციას, რომ სადაზღვევო კომპანია სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლის თანახმად თავისუფლდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. შესაბამისად, სახეზეა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

76. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

77. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნულ საკითხზე თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

78. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

79. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

80. მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივრიზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1097.30 (ათას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. სასჯელალსრულების დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოწინააღმდეგე მხარე სასჯელალსრულების დეპარტამენტს შპს „ს.კ.ა.ჯ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1097.30 (ათას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. სხვისი სამართლებრივი სიკათის ხელყოფის შედეგები

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-445-420-2014

22 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში),  
მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელ-  
ში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. ქ-ამ და თ. ს-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში თ. დ-ას  
მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის მათ სასარგებლოდ ბი-  
ნაზე განეული ხარჯების – 20090 ლარის დაკისრება შემდეგი  
საფუძვლებით:

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი არიან მეუღლეები, აფ-  
საზეთიდან დევნილები, რომლებიც დარეგისტრირდნენ თბი-  
ლისში, გ-ის გამზირის №4-ში, ი-ი ტექნიკუმის საერთო საცხოვ-  
რებელში, მაგრამ გარკვეული პერიოდი ცხოვრობდნენ ქირით,  
ვინაიდან რეგისტრაციის ადგილზე ფართის სიმცირის გამო  
ცხოვრება შეუძლებელი იყო. 2003 წლის 20 ივლისს მცირებლო-  
ვან შეიძლებან და თ. ს-ის დედასთან – ნ. ბ-თან ერთად დაიკა-  
ვეს ქ. თბილისში, მუხანის მე-... მ/რ, მე-... კორპუსში მდებარე  
№82 ბინა. აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი და მოსარჩე-  
ლების მიერ დაკავებული ბინა წარმოადგენდა კარკასს – შიდა  
ტიხერების, მოჭიმული იატაკის, სანიტარული კვანძებისა და სხვა  
საცხოვრებლად აუცილებელი პირობების გარეშე. მითითებულ  
საცხოვრებელ კორპუსში ბინები დაკავებული ჰქონდათ აფხა-  
ზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებმაც მშე-  
ნებარე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა გააგრძელეს და ბი-  
ნები მოიყვანეს თავიანთი სახსრებით ვარგის მდგომარეობაში.  
ბინაზე განეულმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღი-  
რებულებამ შეადგინა 20090 ლარი. აღნიშნული თანხით გაიზარ-  
და ბინის ღირებულება. მოსარჩელების მიერ დაკავებულ ბინა-

ზე არავის გააჩნდა საკუთრების უფლება და რამდენიმე წლის განმავლობაში პრეტენზიაც არავის გამოუთქვამს. 2008 წლის ივნისში მათვის ცნობილი გახდა, რომ ბინა საკუთრების უფლებით აღურიცხავს თ. დ-ას. 2012 წლის 10 ივლისს მოპასუხების მის ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად გაანგრიეს ბინის კედელი და შემოიჭრნენ მათ მიერ დაკავებულ ბინაში, რის შემდეგაც რამდენიმე დღეში დაცალეს ბინა იქ ცხოვრების შეუძლებლობის გამო. ამასთან, მოპასუხებ უარი განუცხადა ბინაზე განეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

მოპასუხებ თ. დ-ამ სარჩელი არ ცნო და თავის მხრივ შეგებებული სარჩელით მოითხოვა დ. ქ-ასა და თ. ს-ისთვის, მის სასარგებლოდ, სოლიდარულად 7 236 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგ გარემოებათა გამო:

თ. დ-ას განმარტებით, მის საკუთრებაში ირიცხება შესაბამისი უძრავი ქონება, რომელშიც მაშინ, როცა იქ დასრულებული იყო სამოხტაურ და მიმდინარეობდა შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მოპასუხები შეიჭრნენ უკანონოდ და თვითნებურად გააგრძელეს რემონტი. თბილისის მერიამ დაუყოვნებლივ დაიწყო სამართლებრივი დავა მათი ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით. 2003 წლის 7 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მერის მოთხოვნა და, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხებს აეკრძალათ ბინაში რაიმე სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება. სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა მოპასუხებმა არც ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაათავისუფლეს ბინა და აგრძელებდნენ ბინის უკანონო ფლობასა და სარგებლობას 2012 წლის ზაფხულამდე, რითაც მიადგა ზიანი, კერძოდ, კორპუსი და, შესაბამისად, ბინა დასრულებულ მდგომარეობაში ე.წ. „თეთრი კარკასით“ უნდაჩარებოდა 2004 წელს. მცირე რემონტის შემდეგ იგი აპირებდა ბინის გაქირავებას და აქედან გარკვეული შემოსავლის მიღებას, რადგან იმ პერიოდისათვის მისი ოჯახი დროებით ცხოვრობდა სოფელში, ალტერნატიულ მისამართზე. მის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის თანახმად, სამუალო საბაზრო საიჯარო ქიორის ლირებულებამ 2008-2012 წლებისათვის შეადგინა 13 591 ლარი, ანუ თვეში 283 ლარი, ხოლო ბოლო სამი წლის ქიორა შეადგენს 10 193 ლარს. თუ გათვალისწინებული იქნება მის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების ნარჩენი ღირებულება 2 950 ლარი, იგი მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ოდენობას განსაზღვრავს 7 243 ლარის ოდენობით. მოსარჩელის წარმომადგენლმა დააზუსტა ტექნიკური

შეცდომა და საბოლოოდ მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის სახით 7 236 ლარი.

დ. ქ-ამ და თ. ს-ემ შესაგებლით შეგებებული სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ ბინა დაიკავეს მშენებარე კორპუსში, რომელიც წარმოადგენდა კარკასს. ბინაში და კორპუსში ჩატარებული სარემონტო სამუშაოების გარეშე ვერანაირად ვერ მოხდებოდა ბინის გაქირავება, ვინაიდან შეუძლებელია კარკასის გაქირავება და სარგებლის მიღება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ქ-ასა და თ. ს-ის სარჩელი თ. დ-ას მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და თ. დ-ას მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა 2952 ლარის ანაზღაურება. თ. დ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და დ. ქ-ასა და თ. ს-ეს თ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრათ 10188 ლარის ანაზღაურება. საბოლოოდ მოთხოვნათა ურთიერთგაჯევითით დ. ქ-ას და თ. ს-ეს თ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისრათ 7 236 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ქ-ამ და თ. ს-ემ, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით თ. ს-ისა და დ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. დ-ას თ. ს-ისა და დ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 3153.3 ლარის ანაზღაურება. თ. დ-ას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, მუხიანის მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა №82, საკადასტრო კოდი: ... წარმოადგენს თ. დ-ას საკუთრებას 2008 წლის 16 ივნისიდან. თ. დ-ას საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი გახლდათ საკუთრების უფლების მოწმობა, დამოწმებული 2008 წლის 11 ივნისს. თ. დ-აზე 1996 წლის 23 მაისს გაცემული იქნა ორდერი №..;

დ. ქ-ა და თ. ს-ე წარმოადგენენ მეუღლებს, იძულებით გადადგილებულ პირებს;

2003-2012 წლის განმავლობაში დ. ქ-ა და თ. ს-ე ცხოვრობ-

დღნენ თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. თბილისი, მუხლის მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა №82, საკადასტრო კოდი: №...;

დ. ქ-ამ და თ. ს-ემ მათ მიერ დაკავებულ ბინაში ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. ბინა, როდესაც იგი დაიკავეს ძირითად სარჩელში მოსარჩელებმა იყო საცხოვრებლად უგარგისი, კარგასულ მდგომარეობაში, არ იყო ამოყვანილი ბინებს შორის გამყოფი კედლები, არ ჰქონდა არც ერთი შიდა ტიხარი, არ იყო გაყვანილი შესაბამისი კომუნიკაციები (წყალი, გაზი და ა.შ.).

დ. ქ-ას და თ. ს-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სხვის ნივთზე განეული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მოტივირებულია მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებით.

პალატამ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიალური ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. გარდა ამისა, მითითებული საფუძვლით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულატიური წინაპირობები, კერძოდ: 1. მოპასუხე უნდა გამდიდრდეს, 2. მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ – ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კაშირი, 3. მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო, ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ამ ტიპის დავებზე სასამართლომ უნდა დაადგინოს მოსარჩელის მიერ კონკრეტულად რა სახის ხარჯები იქნა განეული, რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯის განევა და ემსახურებოდა თუ არა ეს ხარჯები სადაც ნივთის გაუმჯობესებას, თუ იგი მხოლოდ მოსარჩელის, როგორც წივთის მოსარგებლის სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე იქნა განეული.

პალატამ მიიჩნია, რომ მართალია მოსარჩელებმა დაადასტურეს მათ მიერ თ. დ-ას ნივთზე განეული ხარჯების ფაქტი, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ შეძლეს თავისი წილი მტკიცების ტვირთის იმ კუთხით რეალიზება, რომ უძრავი ქონების გაუმჯობესებაზე განეული ხარჯი შეადგენდა 20 090 ლარს, რითაც გაიზარდა ქონების ლირებულება და რამაც ამ თანხით გაამდიდრა მოპასუხე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამარ-

თლომ მართებულად არ გაიზიარა მოსარჩელეების მიერ წარმოდგენილი აუდიტორული ფირმა „ს-ეს“ მიერ 20.03.2012 წელს გაცემული დასკვნა იმ დასაბუთებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებით, მათ შორის მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ფოტოსურათებთან, მის მიერ წარმოდგენილ ცნობებთან, შეფასების ანგარიშის, მხარეთა ახსნა-განმარტების გათვალისწინებით, იგი არ შეიცავდა სხვის ნივთზე განეული ხარჯების რეალურ ღირებულებას. ამასთან, თ. ს-ე მის მიერ განეულ ხარჯს სხვა ოდენობით განმარტავდა სასამართლოს სხდომაზე. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ თ. დ-ას მიერ წარმოდგენილი შეფასების ანგარიში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სადავო საკითხის გადაწყვეტისას და არა თ. ს-ისა და დ. ქ-ას მიერ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის მოტივაცია, რომ მოსარჩელეთა მიერ მოპასუხის საკუთრებაში არსებული ბინის გასარემონტებლად განეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 952 ლარი.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დანახარჯებში არ არის შესული კარ-ფანჯრების ღირებულება, კერძოდ, პალატამ მიუთითა შპს აუდიტორული ფირმა „ა-ის“ მიერ რემონტის ღირებულების გაანგარიშების ცხრილზე. ამავე დასკვნაში მოცემული შენიშვნის თანახმად, დგინდება, რომ მასალების რაოდენობაში არ არის შესული მინის გარე ფანჯრები, გარდა 1 აივნისა, იმ მიზეზის გამო, რომ დამკვეთის განმარტებით, რემონტის დაწყებამდე ჩასმული იყო გარე ფანჯრები, გარდა აივნისა. ამდენად, აუდიტის დასკვნა, რის გამოც მასალების რაოდენობაში არ შევიდა ბინის გარე ფანჯრები, ემყარება მხოლოდ შემკვეთის განმარტებას, მაშინ, როდესაც, მოსარჩელები მიუთითებენ, რომ გარე ფანჯრები არ იყო მოწყობილი და მათ მოწყობა განხორციელდა მათ მიერ. პალატამ აღნიშნა, რომ მიუთითებული სადავო გარემოება, გარდა აპელანტების ახსნა-განმარტებისა, ასევე დასტურდება, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მონმე ნ. ქ-ას ჩვენებით, რომელმაც განმარტა, რომ გარე ფანჯრები მოწყობილი იყო თ. ს-ის მიერ, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატამ გაიზიარა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ გარე ფანჯრების ღირებულების დასადგენად იხელმძღვანელა აუდიტორული ფირმა „ს-ეს“ მიერ 20.03.2012 წლის დასკვნით, რომლის თანახმად, დგინდება, რომ კარ-ფანჯრები დამზადებულია ხისგან, დაფარულია ლაქით და მასზე დანახარჯები შეადგენს 1500 ლარს. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეების მიერ გა-

რე ფანჯარაზე გაწეული ხარჯი შეადგენს (1500-1298,7)= 201,3 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ თ. დ-ას თ. ს-ისა და დ. ქ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 3 153.3 ლარი.

პალატის მითითებით, თ. დ-ას შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სოლიდარულად – 10 188 ლარის დაკისრება. თ. დ-ა ითხოვდა ზიანს იმ მიუღებელი შემოსავლისათვის, რასაც ის მიიღებდა 2008-2012 წლებში სადაც ფართის გაქირავების შედეგად.

პალატამ აღნიშნა, რომ შეგებებული სარჩელის დაქმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელე უთითებდა ზიანზე, რომელიც მან განიცადა მიუღებელი შემოსავლის სახით, კერძოდ, თ. დ-ა აღნიშნავდა, რომ მოსარჩელეების მიერ მისთვის მიყენებული ზიანი გამოიხატებოდა იმაში, რომ კორპუსი და, შესაბამისად, ბინა დასრულებულ მდგომარეობაში ე.წ. „თეთრი კარკასით“ უნდა ჩაბარებოდა 2004 წელს. მცირე რემონტის შემდეგ, იგი აპირებდა ბინის გაქირავებას და აქედან გარკვეული შემოსავლის მიღებას, რადგან იმ პერიოდისათვის მისი ოჯახი დროებით ცხოვრობდა სოფელში, ალტერნატიულ მისამართზე. შეგებებული სარჩელის ავტორის მითითებით, მის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის თანახმად, საშუალო საბაზრო საიჯარო ქირის ღირებულებამ 2008-2012 წლებისათვის შეადგინა 13 591 ლარი, ანუ თვეში 283 ლარი, ხოლო ბოლო სამი წლის ქირა შეადგინდა 10 188 ლარს.

პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებული იყო, დაემტკიცებინა ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, ნინამდებარე საქმეზე მოსარჩელე თ. დ-ას მტკიცების საგანს შეადგენდა მისთვის 10188 ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტისა და იმ გარემოების დადასტურება, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების ნორმების დაცვით, მისი მტკიცების საგანში შემავალი ამ გარემოებების დადასტურება. უწინარესად, მან ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ იგი აპირებდა სადაც ბინის გაქირავებას, მითუმეტეს კი, ისეთ მდგომარეობაში, როცა ბინა იყო კარკასული. ამასთან, მხარემ ვერ დაადასტურა ზიანი, ვინაიდან, ბინის პირდა-

პირი დანიშნულებაა მისი საცხოვრებლად გამოყენება, მასში ბინადრობა და იგი ყოველთვის არ არის გამიზნული იმისათვის, რომ მან რაიმე შემოსავალი/მოგება მოუტანოს მესაკუთრეს მისი გაქირავების შედეგად, მითუმეტეს კი, ისეთ ვითარებაში, როდესაც, მხარე ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი აპირებდა ბინის გაქირავებას. ამასთან, ვერ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია იმ გარემოებაზე მითითება, რომ, ვინაიდან თ. დ-ას სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, როგორც მიუღებელი შემოსავლის სახით, შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს მოსარჩელების სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიღებულის ან დაზოგილის ფარგლებში – ბინის გაქირავების შედეგად ქირის ოდენობით. პალატამ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორედ აღნიშნული საფუძვლით დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელით მოსარჩელის მოთხოვნა, მაშინ, როდესაც სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 2008-2012 წლების ქირა, როგორც მიუღებელი შემოსავალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა თ. დ-ას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. დ-ამ, მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით თ. დ-ას შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასევე მხარეთა ურთიერთმოთხოვნების გაიქვითვის შედეგად თ. ს-ესა და დ. ქ-თვის, თ. დ-ას სასარგებლოდ, სოლიდარულად – 7034.7 ლარის გადახდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმდენად არასრულად, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი. ასევე სრულად გაუგებარია სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა დ. ქ-სა და თ. ს-ის სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე კონდიქციური ვალდებულებებიდან გამომდინარე უსაფუძვლოდ მიღებულის ან დაზოგილის ფარ-

გლებში. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებსას, მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მზაობისაგან და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. თ. დ-ას მითითებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 982-ე, 979-ე მუხლები, რაც არ გამოუყენებია. ასევე მისი მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი. ვინაიდან საქმე გვაქვს მონინააღმდეგე მხარეთა მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ქმედებით თ. დ-ას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გზით უსაფუძვლო გამდიდრებასთან, სრულიად გაუგებარის სააპელაციო სასამართლოს მიერ თ. დ-ასთვის მაღალი მტკიცებითი სტანდარტის დაწესება, რაც ავალდებულებს ამ უკანასკნელს ამტკიცოს ზინის არსებობა და მოცულობა, მაშინ როდესაც მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული უთანასწორობის გათანაბრებასთან. მონინააღმდეგე მხარეები ვალდებულნი არიან გადაუხადონ კასატორს ნივთით სარგებლობის საზღაური მიუხედავად იმისა, იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ თუ არა მესაკუთრის მიზნები უძრავ ქონებასთან მიმართებით. გარდა ამისა, საქმის მასალებით დასატურდება, რომ თ. დ-ას განზრახული ჰქონდა ზემოაღნიშნული ბინა გამოეყენებინა როგორც შემოსავლის წყარო, რაც განახორციელა კიდეც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 მაისის განჩინებით თ. დ-ას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით ცნობილი იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცე-

ბულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მი-ერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშ-ვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, მუხიანის მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა №82, საკადასტრო კოდი: №... წარმოადგენს თ. დ-ას საკუთრებას 2008 წლის 16 ივნისიდან. თ. დ-ას საკუთრე-ბის უფლების წარმოშობის საფუძველი გახლდათ საკუთრების უფლების მოწმობა, დამოწმებული 2008 წლის 11 ივნის. თ. დ-აზე 1996 წლის 23 მაისს გაცემული იქნა ორდერი №...;

დ. ქ-ა და თ. ს-ე წარმოადგენს მეუღლებს, იძულებით გა-დაადგილებულ პირებს;

2003-2012 წლის განმავლობაში დ. ქ-ა და თ. ს-ე ცხოვრობ-დნენ თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდება-რე ქ. თბილისი, მუხიანის მე-... მ/რ, კორპუსი ..., ბინა №82, საკა-დასტრო კოდი: №...;

დ. ქ-ამ და თ. ს-ემ მათ მიერ დაკავებულ ბინაში ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. ბინა, როდესაც იგი დაიკავეს ძირითად სარჩელში მოსარჩელებმა იყო საცხოვრებლად უვარგისი, კარ-კასულ მდგომარეობაში, არ იყო ამოყვანილი ბინებს შორის გამ-ყოფი კედლები, არ ჰქონდა არც ერთი შიდა ტიხარი, არ იყო გაყ-ვანილი შესაბამისი კომუნიკაციები (წყალი, გაზი და ა.შ.).

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. დ-ას შეგებებული სარ-ჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხებისათვის, მის სა-სარგებლოდ, სოლიდარულად – 10 188 ლარის დაკისრება. თ. დ-ა ითხოვდა ზიანს იმ მიუღებელი შემოსავლისათვის, რასაც ის მიიღებდა 2008-2012 წლებში სადავო ფართის გაქირავების შე-დეგად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირ-ველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მო-პასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემო-ებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხა-რის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებ-ნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალის-წინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღ-წერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწ-მებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა გან-ხორციელდეს ლოგიური მეთოდების გამოყენების გზით. ანუ,

სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტაქტული აღნერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 411-ე მუხლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობები თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ ნამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თ. დ-ას მოთხოვნაზე, კერძოდ, თ. დ-ა შეგებებული სარჩელით ითხოვდა თ. ს-ისა და დ. ქ-ასათვის სოლიდარულად 2008-2012 წლებისათვის, ბოლო სამი წლის ქირის გადახდის დაკისრებას 10193 ლარის ოდენობით, რომელიც მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად შეადგენს 7236 ლარს, როგორც სადავო უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ დ. ქ-ა და თ. ს-ე უკანონოდ ფლობდნენ თ. დ-ას საკუთრებას, რითიც მას მოესპონ ქონებით შემოსავლის მიღება – გაქირავების შესაძლებლობა. ფაქტობრივად, თ. დ-ა მოპასუხებისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ამ უკანასკნელების თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ ფართში ცხოვრების გამო. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თ. დ-ას შეგებებული სარჩელის

მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 411-ე მუხლების მიხედვით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან დ.ქ.-ასა და თ. ს.-ის მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას თ. და-ასათვის (მესაკუთრე) ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, დ.ქ.-ასა და თ. ს.-ის სადავო პინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი მესაკუთრეს არ მიუღია.

ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ თ. დ-ას მოთხოვნა უკავშირდება დ.ქ.-ასა და თ. ს.-ის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევაზე უნდა გავავრცელოთ ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსალებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემული უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

აქედან გამომდინარე, სკ-ის 982-ე მუხლში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე

გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადაცო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ თ. დას საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება ეძლევა, ამოილოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს უსაფუძვლო გამდიდრების თავისებურებზე.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემოთ მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (თ. დ-ამ) შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას თ. დ-ა ეყრდნობა შპს „აუდიოროული ფირმა „ა-ის“ 2012 წლის 27 ნოემბრის დასკვნას, რომლითაც 2008-2012 წლებისათვის ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-... მ/რ, მე-... კორპუსში მდებარე №82 ბინის (სადაცო უძრავი ქონების) გაქირავების შემთხვევაში სავარაუდო შემოსავალი განსაზღვრულია 13591 ლარით, შესაბამისად, ერთი თვის საიჯარო ქირად მითითებულია 283 ლარი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. დ-ა ითხოვს მხოლოდ სამი წლის ქირის ანაზღაურებას, რაც შეადგენს 10193 ლარს. სასამართლო სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, შებოჭილია მოთხოვნის ფარგლებით.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობებისათვის, რომელიც არ ითვალისწინებენ სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრებით ამ უკანასკნელმა არ მიიღო ფაქტორივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, ამდენად, ამ ურთიერთობაზე არ გავრცელდება 992-1008-ე მუხლები, შესაბამისად, 10-წლიანი ვადა ჯერ არ არის გასული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი).

გასათვალისწინებელია, რომ თ. დ-ას მოთხოვნა (დ. ქ-ასა და თ. ს-ისათვის 2008-2012 წლებში სადაც უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება) უკავშირდება მის მოთხოვნას (დ. ქ-ასა და თ. ს-ისათვის) უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვის შესახებ (კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება). შესაბამისად, თ. დ-ას მიერ თავისი საკუთრების, როგორც აბსოლუტურ უფლების დაცვაზე ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ ვრცელდება. ხოლო მიუღებელი სარგებლის თაობაზე მოთხოვნის წარმოშობა და მოცულობა განპირობებულია საკუთრების უკანონო ხელშეშლის ხანგრძლივობით. ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დაგაში ხელმყოფისაგან უფლების მქონე პირისათვის მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა). შესაბამისად, დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ 2012 წლამდე სხვისი საკუთრების უკანონო ხელშეშლის ფაქტის გამო წარმოშობილი ვალდებულება არ შეიძლება, შეფასდეს, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება (პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოდგენს ვალდებულება, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გარკვეული დროის მონაკვეთში უნდა შესრულდეს განსაზღვრული პერიოდულობით, რა დროსაც თი-

თოეული დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას). განსახილველ სადავო ურთიერთობის გათვალისწინებით საკუთრების უფლების ხელყოფის შედეგად დაკარგულმა სიკეთებმ წარმოშვა არა პერიოდულად შესასრულებელი, არამედ ერთიანი ვალდებულების შესრულება, ხოლო მიუღებელი ქირა წარმოადგენს მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს.

ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, ინტერესს იწვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. დას მოთხოვნასთან მიმართებით არ იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს ამ ფართით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით, რომლის თაობაზეც ზემოთ უკვე აღინიშნა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელების (საკასაციო მონინააღმდეგე მხარეების) სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 3153.3 ლარის ფარგლებში. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე ამ ნაწილში.

საკასაციო პალატა სრულად იზირავს თ. დას საკასაციო პრეტენზიას, რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა არასწორად არ დაკმაყოფილა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. დას მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნული ფაქტებთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდ-

გენილი არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანი-

ლი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თ. დ-ას სახელმწიფო ბაჟის სახით შეგებებულ სარჩელის განხილვისათვის გადახდილი აქვს 218 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივრისათვის – 509,40 ლარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. დ-ას საკასაციო საჩივრისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ – 727,4 ლარის გადახდა უნდა დაეკისროთ თ. ს-სა და დ. ქ-ას მიუხედავად იმისა, გათავისუფლებული არიან თუ არა ისინი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ უ ვ ი ტ ა:**

1. თ. დ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დ. ქ-ასა და თ. ს-ისათვის თ. დ-ას სასარგებლოდ 10188 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. დ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. დ. ქ-ასა და თ. ს-ეს თ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისროთ 10188 ლარის გადახდა;
5. საბოლოოდ მოთხოვნათ ურთიერთგაქვითუით დ. ქ-ასა და თ. ს-ეს თ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისროთ 7034.7 ლარის გადახდა;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. დ. ქ-ასა და თ. ს-ეს თ. დ-ას სასარგებლოდ დაეკისროთ 727,4 ლარის გადახდა;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 10. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

### გადახყველება საკართველოს სახელით

№ას-1148-1094-2014

19 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საზიარო ნივთის გასხვისებით უძრავ ნივთზე  
საზიარო უფლების გაუქმება

#### აღნერილობითი ნაწილი:

უ. კ-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ბ. ლ-ის მიმართ და  
მოითხოვა, ქ. ბათუმში, ა-ს დასახლებაში მდებარე, მხარეთა თა-  
ნასაკუთრებაში არსებული უძრავ ნივთის, (ნაკვეთის ფუნქცია  
- სასოფლო-სამურნეო; დაზუსტებული ფართობი – 499.00 კვ.მ;  
შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 212.60) (საკადასტრო კო-  
დი №.....), გასხვისების გზით საზიარო უფლების გაუქმება.

მოსარჩელებ მიუთითა, რომ მხარეთა თანასაკუთრებაში არ-  
სებული სადაც უძრავი ნივთის 5/6 ეკუთვნის უ. კ-ეს, ხოლო 1/  
6 – ბ. ლ-ეს, რომელმაც ქონების წილი შეიძინა მოსარჩელის ძმის  
– მ. კ-გან.

მოპასუხე და მ. კ-ე არ აძლევენ მოსარჩელეს კუთვნილი ნი-  
ლით სარგებლობის შესაძლებლობას. ქონების ნატურით გაყო-  
ფა კი, შეუძლებელია. ამდენად, სადაც უძრავი ნივთი უნდა გა-  
იყოს მისი იძულებითი გასხვისების გზით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არის სადაც  
ქონების წილის კეთილსინდისიერი შემძენი. ამდენად, მოსარ-  
ჩელეს უფლება არ აქვს, მოითხოვოს მოპასუხის კუთვნილი ნი-  
ლის აუქციონზე გატანა და ქონების ამგვარად გაყოფა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი  
დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წე-  
სით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპე-

ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელს ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ. ბათუმში, ა-ს დასახლებაში მდებარე უძრავი ნივთი (ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართი – 499.00 კვ.მ; საკადასტრო კოდი №.....) საკუთრების უფლებით აღრიცხულია ბ.ლ-ის (1/6 ნაწილი) და უ.კ-ის (5/6 ნაწილი) სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი სისპ „ლევან სამხარაულის სახელბის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №..... ექსპერტის დასკვნის თანახმად, „ექსპერტის მიერ შემუშავებულ და შემოთავაზებულ იქნა საცხოვრებელი სახლის, ასევე ნაკვეთის (უძრავი ქონების ს/კ .....) ერთმანეთის შესაბამისობაში მოყვანილი 1/6-5/6 ნილებად გამიჯვნის (თითოეული ნილის ღირებულების შემცირების გარეშე) ვარიანტი (დანართი №4-6). საცხოვრებელი სახლის 212,60 კვ.მ-დან – ა) საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების 1/6 ნილი აიღნის და ტერასის გარეშე შეადგენს 25,52 კვ.მ-ს, ხოლო აიღნისა და ტერასის 1/6 ნილის ჩათვლით – 35,43 კვ.მ-ს; ბ) საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელი და დამხმარე სათავსების 5/6 ნილი აივნის გარეშე შეადგენს 127,63 კვ.მ-ს, ხოლო აივნის 5/6 ნილის ჩათვლით – 177,17 კვ.მ-ს, საცხოვრებელი შენობის განაშენიანების ფართისაგან თავისუფალი 377,4 კვ.მ ფართიდან: ა) ნაკვეთის 1/6 ნილი შეადგენს 62,9 კვ.მ-ს; ბ) ნაკვეთის 5/6 ნილი შეადგენს 314,5 კვ.მ-ს. მიღებული გადაწყვეტილებით გამიჯვნის ვარიანტის განხორციელებისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების, ასევე სამშენებლო ნორმებითა და წესების „საცხოვრებელი შენობების“ შესახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და არსებული შენობის მოცემული კონფიგურაციის ნაკვეთზე განლაგების გათვალისწინებით, საჭიროა დასკვნის ვარაუნტში მოცემული ღონისძიებების გატარება – აივნის, ტერასის ყრუ გადატიხვრა, ტიხრებისა და კედლების დემონტაჟი და მოწყობა, შესასვლელი კარებისა და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის მოწყობა, ღიობების ამოშენებისა და ახალი ღიობების მოწყობა. მხოლოდ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იმ ღიობების, ყრუ გადატიხვრების, ამოშენება-შევსება, რომლებიც საჭიროა, რომ ამავე დროს იყოს შუქის გამტარი, მზის შუქის შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოწყობილი იქნეს საჭირო ფართის ყრუ კონსტრუქციისა და ვიზუალური მხედველობის შემზღვდავი, მაგრამ მზის შუქის გამტარი მასა-

ლით, მაგალითად მინა-ბლოკებით. გარდა აღნიშნულისა, ვინაიდან გამიჯვინის შესაძლებელი ვარიანტის მიხედვით, აპაზანა პირველ სართულზე და ტუალეტი ეზოს უკანა ნაწილში მოექცა უძრავი ქონების 5/6 ნილის მფლობელის მხარეს, აუცილებლად საჭიროა აღნიშნული დამხმარე სათავსები ასევე მოეწყოს გამიჯვინის ვარიანტის მიხედვით 1/6 ნილის მქონე მფლობელისათვის გამოყოფილ ფართებში“.

აღნიშნული დასკვინის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ სადავო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა სრულიად შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეული სამუშაოების ჩატარების შედეგად, რასაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავს ის საკანონმდებლო რეგულაცია, რომლითაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილით, 963-ე მუხლით, 964-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის საფუძვლით აღძრული სარჩელის დაკაყოფილებისათვის სავალდებულოა, რომ უძრავი ქონების ნატურით გაყოფა იყოს შეუძლებელი.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით, კერძოდ, საექსპერტო დასკვნით დასტურდება, რომ ქონების ნატურით გაყოფა შესაძლებელია და ექსპერტი გვთავაზობს გაყოფის შესაძლო ვარიანტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ სარჩელის დაკაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან მითითებული დასკვნით, მართალია, გარკვეული რეკონსტრუქციით, მაგრამ მაინც შესაძლებელია საზიარო საგნის ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №..... დასკვნა სააპელაციო პალატამ სრულიად სანდო და გადაწყვეტილების მისაღებად დასაყრდენ მტკიცებულებად მიიჩნია და ჩათვალა, რომ იგი წარმოდგენილ სარჩელს უპერსპექტივოს ხდის, რადგან საკანონმდებლო დათქმით, მხოლოდ მაშინა შესაძლებელი საზიარო საგნის გაყიდვა და ამონა-გების განაწილება, თუ რეალური გაყოფა შეუძლებელია, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უ. კ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკაყოფილება.

კასატორმა მიიჩნია, რომ საპელაციო სასამართლომ არას-ნორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, როდესაც იხელმძღვანელა ექსპერტიზის 2013 წლის 16 დეკემბრის დასკვნით და ჩათვალა, რომ საზიარო ნივთის ნატურით გაყოფა შესაძლებელია მცირედი რეკონსტრუქციის შედეგად.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ექსპერტის მიერ შე-თავაზებული რიგი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შეამცირებს სადაც სახლის ოთახების მოცულობასა და საყოფაცხოვრებო დანიშნულებას, ერთ-ერთი მხარისათვის მიყუთვნებულ ქონებას არ ექნება ჯეროვანი კომუნიკაციები – წყალგაყვანილობის სისტემა და საკანალიზაციო ქსელი.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას ნივთის ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა არ შეიცავს არაგითარ დათქმისა საზიარო საგნის სათანადო გადაკეთების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საზიარო საგნის გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ და სამომხმარებლო დანიშნულებას, რაშიც იგულისხმება ობიექტის გაყოფამდე არსებული საყოფაცხოვრებო დანიშნულება. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების საფუძველზე კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების მართლზომიერებას საფუძვლად დაუდო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც არ შეიცავს მითითებას ქონების გაყოფისას ნივთის ღირებულების შემცირების საკითხზე. სააპელაციო პალატამ უკრიტიკულ გაიზიარა დასკვნაში მოცემული გარემოებები და ჩათვალა, რომ ნივთის იმგვარი გაყოფა, როგორც ეს მოცემული იყო ექსპერტიზის დასკვნაში, სრულ შესაბამისობაში იყო სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მიზნებთან.

ანალოგიური დავების განხილვისას საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია რა გარეკვეული საკითხების მიმართ ამ საკითხების მცოდნე პირის ექსპერტის დასკვნის შეფასების შესაძლებლო-

ბა, კანონმდებელი ამ პირის დასკვნას, როგორც მტკიცებულებას სავალდებულოდ არ მიიჩნევს და ადგენს სხვა მტკიცებულებებთან ერთად სასამართლოს მიერ მისი შეფასების აუცილებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტების გათვალისწინების შემთხვევაში, სააპელაციო პალატა ვალდებული იქნებოდა, სათანადოდ შეეფასებინა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწვეული ექსპერტის განმარტება, რომელმაც განმარტა, რომ დასკვნაში მითითებული სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლებელი იყო საზიარო საგნის გაყოფა შესაბამისი წილების მიხედვით. დასკვნაში მითითებული საზიარო საგნის გაყოფის ფორმა კი, რომელიც ითვალისწინებს ქონების რეკონსტრუქციასა და დიდი ხარჯების გაღებას, არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის დისპოზიციიდან.

კასატორმა მიიჩნია, რომ კვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ იმავე საზიარო ნივთთან დაკავშირებით სარჩელზე დართული 2010 წლის 23 ივლისის №.... სასამართლო-საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა და არ შეუფასებიათ იგი სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით.

მხარემ აღნიშნა, რომ სადაცო სახლთმფლობელობა თავდაპირველად წარმოადგენდა უ. კ-ის მშობლების – მ. კ-სა და ან გარდაცვლილი ვ. კ-ის თანასაკუთრებას, რომელთაც ჰყავთ სამი შვილი – უ., ნ. და მ. კ-ები. ვ. კ-ის გარდაცვალების შემდეგ, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, სახლთმფლობელობა თანაბარნილად რეგისტრირებული აღმოჩნდა მხოლოდ ნ. და მ. კ-ების საკუთრებად, რის გამოც, დაახლოებით 5 წლის წინ მდებარეობა და მათი ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა გაუარესდა და შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია. შედეგად მ. კ-ემ აიძულა უ. კ-ე იჯახის წევრებთან და დედასთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყონ ნაქირავებ ბინაში, სადაც დღემდე ცხოვრობს და, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უ. კ-ე სადაცო სახლთმფლობელობის 5/6-ის მესაკუთრეა, მ. კ-ე არ აძლევს მას საშუალებას, დაპრუნდეს სახლში და ისარგებლოს საკუთრებით.

კასატორმა აღნიშნა, რომ, როდესაც სახლთმფლობელობის

1/2-ის მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო მ. კ-ე, ხოლო მეორე 1/2-ის მესაკუთრედ კი, – ნ. კ-ე ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, მისი წილი სახლთმფლობელობა ეჩუქებინა უსახლვაროდ დარჩენილი ძმის – უ. კ-ისთვის. ამ მიზნით სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით. სასამართლომ საქმეზე დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომლის დასკვნის თანახმად, „მინის ნაკვეთზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის განლაგების სპეციფიკურობის და დარჩენილი მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის გამო მიწის ფართობის რეალური გაყოფა ისე, რომ მხარებს შორის ერთგვაროვან წილებად გაიყოს, სამშენებლო წესებით და ნორმებით არ იყოფა“. ამავე დასკვნის თანახმად, საზიარო უფლების საგნის ნატურით გაყოფის შემთხვევაში სახლის აივნები საერთო საკუთრებაში უნდა დარჩეს. ე. ი. ექსპერტიზის ამ დასკვნის შესაბამისად, სადაც სახლთმფლობელობაზე საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელი იყო.

უ. კ-ის მითითებით, მისი სასამარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა სწორედ მითითებულ დასკვნას.

სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულებად არ ჩათვალა და 2013 წლის 28 ოქტომბერის საოქმო განჩინებით დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნა არ შეიცავს მითითებას ქონების გაყოფისას ნივთის ლირებულების შემცირების საკითხზე, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ უკრიტიკოდ გაიზიარა დასკვნაში მოცემული გარემოებები და უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ ნივთის იმგვარი გაყოფა, როგორც ეს მითითებული იყო ექსპერტიზის დასკვნაში, შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის მიზნებს.

სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მხარეებს არ მიუთითა დავის შესაძლო შედეგებზე და არ შესთავაზა მორიგების პირობები. გარდა ამისა, დავის შესაძლო შედეგებზე მითითებით, არ მისცა მათ შესაძლებლობა, დაეზუსტებინათ სასარჩელო მოთხოვნა. სასარჩელო მოთხოვნის ძირითადი მიზანი იყო საზიარო უფლების გაუქმება და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნატურით გაიყოფოდა საზიარო ქონება (რაზეც თანახმა იყო მოწინააღმდეგე მხარე), თუ აუქციონზე მისი რეალიზაციის გზით (რასაც მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმებოდა). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 218-ე მუხლის უგულებელყოფით, არ მისცა მხარეს სასარჩევლი მოთხოვნის დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ №ას-1653-1550-2012 საქმეზე მიღებული 2013 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით განმარტა რომ, სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობა უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას. საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება, შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით. მას შემდეგ, რაც სასამართლო სარწმუნოდ დაადგენს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას, მოსარჩელის მოთხოვნის დაზუსტება იმგვარად, რომ ქონების ნატურით გაყოფის შეუძლებლობის პირობებში საზიარო უფლების გაუქმება მოხდეს ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით, არ წარმოადგენს სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლას. აღნიშნული სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნის დაზუსტება. უფრო მეტიც, მითითებული მოთხოვნის დაზუსტებაზე უარი, ანუ მითითებული მოთხოვნის სასარჩელო მოთხოვნის შეცვლად დაკვალიფიცირება გამოიწვევს სამართალწარმოებათა დუბლირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარე, ნაცვლად იმავე სამართალწარმოებაში სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებისა, ვალდებული იქნება, აღძრას ახალი სარჩელი იმავე მოთხოვნით არა ნატურით გაყოფის, არამედ ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით.

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მხარეთათვის მორიგების სახით საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეთავაზების შემთხვევაში კასატორი ასეთ შემოთავაზებას დასთანხმდებოდა, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარე მზადყოფნას გამოთქვამდა საზიარო საგანზე ექსპერტიზით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოები სრულად მასვე ჩაეტარებინა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით უ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად ცნობილი იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-მოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არ-სებით მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

უძრავი ქონება მდებარე – ქ. ბათუმი, დასახლება ა-ა (ნაკვე-თის ფუნქცია – სასოფლო-სამურნეო; დაზუსტებული ფართო-ბი – 499,00 კვ.მ) შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 212,60) (საკადასტრო კოდი №.....) საკუთრების უფლებით აღრიცხულია ბ. ლ-ის (1/6 ნაწილი) და უ. კ-ის (5/6 ნაწილი) სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელო-ბის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №..... ექ-სპერტის დასკვნის თანახმად, „ექსპერტის მიერ შემუშავებულ და შემოთავაზებულ იქნა საცხოვრებელი სახლის, ასევე ნაკვე-თის (უძრავი ქონების ს/კ ..... ) ერთმანეთის შესაბამისობაში მოყ-ვანილი 1/6-5/6 წილებად გამიჯვნის (თითოეული წილის ღირე-ბულების შემცირების გარეშე) ვარიანტი (დანართი №4-6). საც-ხოვრებელი სახლის 212,60 მ<sup>2</sup>-დან – ა) საცხოვრებელი სახლის საცხოვრებელი და დამხმარე სათავსოების 1/6 წილი აივნის და ტერასის გარეშე შეადგენს – 25,52 მ<sup>2</sup>-ს, ხოლო აივნისა და ტე-რასის 1/6 წილის ჩათვლით – 35,43 მ<sup>2</sup>; ბ) საცხოვრებელი სახ-ლის საცხოვრებელი და დამხმარე სათავსოების 5/6 წილი აივ-ნის გარეშე შეადგენს - 127,63 მ<sup>2</sup>-ს, ხოლო აივნის 5/6 წილის ჩათ-ვლით – 177,17 მ<sup>2</sup>. – საცხოვრებელი შენობის განაშენიანების ფართისაგან თავისუფალი 377,4 მ<sup>2</sup> ფართიდან – ა) ნაკვეთის 1/6 წილი შეადგენს – 62,9 მ<sup>2</sup>; ბ) ნაკვეთის 5/6 წილი შეადგენს – 314,5 მ<sup>2</sup>. მიღებული გადაწყვეტილებით გამიჯვნის ვარიანტის განხორ-ციელებისას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინის-ტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების, ასევე სამშე-ნებლო ნორმებითა და წესების „საცხოვრებელი შენობების“ შე-სახებ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და არსებული შენობის მოცემული კონფიგურაციის ნაკვეთზე განლაგების გათვალის-წინებით, საჭიროა დასკვნის ვარიანტში მოცემული ღონისძიე-ბების გატარება – აივნის, ტერასის ყრუ გადატიხვრა, ტიხრები-სა და კედლების დემონტაჟი და მოწყობა, შესასვლელი კარები-სა და მეორე სართულზე ასასვლელი კიბის მოწყობა, ღიობების ამოშენებისა და ახალი ღიობების მოწყობა. მხოლოდ აუცილებ-ლად გასათვალისწინებელია, რომ იმ ღიობების, ყრუ გადატიხ-

ვრების, ამოშენება – შეესება, რომლებიც საჭიროა, რომ ამავე დროს იყოს შუქის გამტარი, მზის შუქის შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოწყობილი იქნეს საჭირო ფართის ყრუ კონსტრუქციისა და ვიზუალური მხედველობის შემზღვდავი, მაგრამ მზის შუქის გამტარი მასალით, მაგალითდ მინა ბლოკებით. გარდა აღნიშნულისა, ვინაიდან გამიჯვნის შესაძლებელი ვარიანტის მიხედვით, აბაზანა პირველ სართულზე და ტუალეტი ეზოს უკანა ნაწილში მოექცა უძრავი ქონების 5/6 წილის მფლობელის მხარეს, აუცილებლად საჭიროა აღნიშნული დამხმარე სათვსოები ასევე მოეწყოს გამიჯვნის ვარიანტის მიხედვით 1/6 წილის მქონე მფლობელისათვის გამოყოფილ ფართებში“.

აღნიშნული საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა სრულიად შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეული სამუშაოების ჩატარების შედეგად, რასაც თავის მხრივ არ გამორიცხავს ის საკანონმდებლო რეგულაცია, რომლითაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხდება.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, რაც გახდა კასატორის სასარგებლოდ გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძენოს სამართლის წორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი წორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არამართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი.

ის სამართლებრივი შეფასება, რომ განსახილველ დავაში საქმე გვაქვს საზიარო უფლებიდან წარმოშობილ ურთიერთობას-

თან, კამათს არ იწვევს. სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას, საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყიდვის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. დასახელებული ნორმის დისპოზიციით განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით, ხოლო თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია – საზიარო საგნის რეალიზაციით (სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლი). საზიარო უფლების გაუქმებისათვის ამ ვალებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ლირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ლირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომ-

ლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფამა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა. (ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა სუსგ №ას-67-65-2014, 31 ივლისი, 2014; სუსგ №ას-1653-1550-2012, 15 აპრილი, 2013; სუსგ №ას-1089-1020-2012, 8 ოქტომბერი, 2012; სუსგ №ას-932-875-2012, 17 სექტემბერი, 2012 წელი; სუსგ №ას-1665-1562-2012, 4 ოქტომბერი, 2013).

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება.

საზიარო უფლება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, განეკუთვნება კანონისმიერ ვალდებულებათა ურთიერთობების კატეგორიას. სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამდენად, საზიარო უფლების მოწილებს უფლებები და ვალდებულებები კანონიდან წარმოეშობათ და მათ შორის ურთიერთობები კანონით წესრიგდება. მოცემულ შემთხვევაში, როგორც გამოირკვა მოდავე მხარეები არაან უძრავი ქონების თანამესაკუთრები, რომელიც წარმოადგენს საზიარო უფლების ობიექტს და მხარეები ერთმანეთთან კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, საზიარო უფლების გაუქმება ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით არ წარმოადგენს მესაკუთრის უპირობო უფლებას. აღნიშნულ უფლებას მესაკუთრე იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოდ დაადასტურებს ნივთის ნატურით გაყოფის შეუძლებლობას.

ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნას, რომლის დისპოზიციური უფლებამოსილება – შეარჩიოს საზიარო უფლების გაუქმების კონკრეტული საშუალება, შეზღუდულია მატერიალური კანონმდებლობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების შეუძლებლობის ფაქტი დაადგი-

ნა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 16 დეკემბრის №..... ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზიარო უფლების გაუქმება კანონით გარანტირებული უფლებაა. იგი მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებათა რანგშია აყვანილი იმ თვალსაზრისით, რომ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადას არ ექვემდებარება, ამასთან, პატივსადები ინტერესის არსებობის შემთხვევაში მისი მოთხოვნა მაშინაც შეიძლება, როდესაც შეთანხმებით საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება სამუდამოდ ან განსაზღვრული ვალით გამორიცხულია.

კანონმდებლის ნება ნათელი და ცალსახაა. საზიარო უფლების მქონეს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს თავისი იდე-ალური წილის რეალურად გამოყოფა. ერთადერთი შეზღუდვა, რასაც კანონმდებლი აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის აწესებს არის ის, რომ საზიარო უფლების მქონე პირის უფლებით, გააუქმოს საზიარო საკუთრება, არ უნდა შეიღლახოს სხვა თანაზიარი მესაკუთრის საკუთრების უფლების ხელშეუვალობა. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

ამდენად, დაუშვებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, თუ შეუძლებელია ყველა თანამესაკუთრის საკუთრების უფლების ღირებულების შენარჩუნება საკუთარი იდეალური წილის შესაბამისად. მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის იდეალური წილის იმგვარი გამოყოფა, რომლითაც დაცულია ამ უკანასკნელის საზიარო საგნის გაყოფამდე არსებული მდგომარეობა (ღირებულება), საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის კონტექსტში ლეგიტიმურს არ ხდის, თუ დაცული და შენარჩუნებული არ არის სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის მდგომარეობა (ღირებულება).

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლისა და 173-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მესაკუთრე თავის ქონებასთან მიმართებით თავისუფალია, მაგრამ მისი უფლებამოსილებანი შესაძლოა, შეზღუდული იყოს ან კანონით, ან ხელშეკრულებით. მესაკუთრის მოქმედებით არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები.

მოცემულ შემთხვევაში საკუთრების ბუნებიდან (საზიარო საკუთრებიდან) გამომდინარე, ნივთით სარგებლობის თავისუფლება გარკვეულწილად იზღუდება, რაც სხვა თანამესაკუთრეთა არსებობით და მათი ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობა საგნის ღირებულების გარეშე ერთგვაროვან ნაწილებად გაყოფის შესაძლებლობაა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთგვაროვნებაში იგულისხმება ამ ნაკვეთთა ერთგვაროვანი ფუნქცია, იყვნენ მათვის აუცილებელი ერთგვაროვანი სამეურნეო დანიშნულების მატარებელი, ანუ შესაძლებელი იყოს მინის ნაკვეთიდან ურთიერთობა სატრანსპორტო და სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებთან და ა.შ.

თუმცა, საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობა არ უკარგავს პირს უფლებას, საზიარო საგანზე საკუთრების უფლება დაიცვას კანონით გათვალისწინებული სხვა წესით – საზიარო საგნის გაყიდვის შედეგად ამ უფლების გაუქმებით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლის თანახმად, თუ ნატურით გაყიდვა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 16 დეკემბრის №..... ექსპერტის დასკვნა და ექსპერტის ახსნა-განმარტება) ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ უძრავი ქონების მდებარე – ქათუმი, დასახლება ა-ა (ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 499.00 კვ.მ) შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 212.60) (საკადასტრო კოდი №.....), რეალურად გამოყოფა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად – თითოეული წილის ღირებულებისა და დანიშნულების შემცირების გარეშე არ არის შესაძლებელი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრის მონაცემებით, კონკრეტულად არის განსაზღვრული მხარეთა წილი. აქედან გამომდინარე, თითოეულ მესაკუთრეს სადაც უძრავი ქონებიდან ეკუთვნის მათი წილის შესაბამისი წილი. სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ

მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. განსახილველ შემთხვევაში, სადაც საზიარო საგანი წარმოადგენს უძრავ ქონებას, რომლის თვისობრივი და კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე, საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით შეუძლებელია, კერძოდ, სადაც უძრავი ქონება ვერ დაიყოფა ერთგვაროვან ნაწილებად საინჟინრო ნორმების დაცვით.

საზიარო უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელ პირთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას დასაშვებია, საზიარო უფლების მონაწილეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგნის (საგნების) ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საზიარო უძრავი ქონების ნატურით გაყოფა მესაკუთრეთა წილების შესაბამისად, მათი დანიშნულებისა და ღირებულების შემცირების გარეშე, თვისობრივი და კონსტრუქციული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ამდენად, საკასაციო პალტას მიიჩნია, რომ საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმებისა და საკუთრებაში კუთვნილი წილის კომპენსაციის მიღების თაობაზე და იგი მართებულად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა განმარტავს, იმისთვის, რომ სადაც უძრავი ქონება ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაიყოს, აუცილებელი იქნება სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რაც შესაბამისი უწყებებიდან სპეციალურ ნებართვას საჭიროებს. აღნიშნული კი ერთმინიშვნელოვნად მიუთითებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის შეუძლებლობაზე. შესაბამისად, საპატელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, როდესაც იხელმძღვანელა ექსპერტის 2013 წლის 16 დეკემბრის დასკვნით და ჩათვალა, რომ საზიარო ნივთის ნატურით გაყოფა შესაძლებელია მცირედი რეკონსტრუქციის შედეგად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ექსპერტის მიერ შეთავაზებული რიგი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შეამცირებს სადაც სახლის ოთახების მოცულობასა და საყოფაცხოვრებო დანიშნულებას, ერთ-

ერთი მხარისათვის მიკუთვნებულ ქონებას არ ექნება ჯეროვანი კომუნიკაციები – წყალგაყვანილობის სისტემა და საკანალიზაციო ქსელი. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ საზიარო საგანი დაკარგავს იმ ფუნქციონალურ და სამომხმარებლო დანიშნულებას, რაც მას გააჩნდა გაყოფამდე.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას ნივთის ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა არ შეიცავს არავითარ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საზიარო საგნის გაყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ და სამომხმარებლო დანიშნულებას, რაშიც იგულისხმება ობიექტის გაყოფამდე არსებული საყოფაცხოვრებო დანიშნულება. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ფულადი ერთეულით გამოხატული ღირებულება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და იგი გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვეტოს დავა.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა პირდაპირ გამორიცხავს საზიარო უფლების გაუქმე-

ბის შესაძლებლობას ნატურით გამოყოფის გზით ზემოაღნიშნული ორი აუცილებელი წინაპირობის არარსებობის გამო. ამდენად, სააპელაციო პალატას მიიჩნია, რომ საზიარო უფლების გაუქმება უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი აღტერნატიული გზით – ქონების აუქციონზე რეალიზაციით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის მასალებით დადგენილია, რომ უკ-ემ სარჩელზე გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული გადაწყვეტილებით უკ-ის სარჩელი სრულად დაემაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარეს – ბ. ლეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის, სულ – 400 ლარის გადახდა უკ-ის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

უ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

გაუქმდეს უ. კ-ის და ბ. ლ-ის საზიარო უფლება უძრავ ნივთზე, მდებარე – ქ. ბათუმი, დასახლება ა-ა (ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართი – 499.00 კვ.მ) შენობა-ნაგებობების საერთო ფართი – 212.60) (საკადასტრო კოდი №.....) საზიარო საგნის გაყიდვით და ამონაგები თანხა უ. კ-ესა და ბ. ლ-ეს შორის განაწილდეს წილების შესაბამისად – უ. კ-ეს (5/6 ნაწილი) და ბ. ლ-ეს (1/6 ნაწილი).

ბ. ლ-ეს უ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 400 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საზიანო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

### გადაცევეფილება საკართველოს სახელით

№ას-709-672-2013

15 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ  
ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწე-  
რის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ც. ს-  
ებ მოპასუხების – მ. შ-ის, ინდივიდუალური ბინათმშენებლო-  
ბის ამხანაგობა „ნ-სა“ და საჯარო რეესტრის ეროვნული საა-  
გენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მო-  
ითხოვა:

1. ქ. ბათუმში, მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ  
2009 წლის 30 აპრილის შეთანხმების ბათილად ცნობა იმ ნაწილ-  
ში, რომლითაც მოხდა მიწის ნაკვეთის რეალურ გაყოფაზე შე-  
თანხმება ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხა-  
ნაგობა „ნ-სა“ და მ. შ-ეს შორის;

2. 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმების საფუძველზე საჯა-  
რო რეესტრში განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერე-  
ბის ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც რეალურად გაიყო  
მ. შ-ესა და ამხანაგობა „ნ-ს“ შორის ქ. ბათუმში, №...-ში მდებარე  
მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2013 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ც. ს-ის სარ-  
ჩელი არ დაგებაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საა-  
პელაციო წესით გაასაჩივრა ც. ს-ებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2013 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით:

- ც. ს-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა;
- გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. ც.ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

4. ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარესა და მ. შ-ეს შორის ქ.ბათუმში, ... -ში მდებარე მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის ნაწილში 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმება;

5. ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარესა და მ. შ-ეს შორის მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერი (საკადასტრო კოდი №...).

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 8 ოქტომბერს, ქ.ბათუმში, ქ....-ში მცხოვრები უძრავი ქონების მესაკუთრეების ნაწილისა და შპს „დ-ის“ მიერ დაფუძნდა ერთობლივი საქმიანობის, ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ი“, რომლის მიზანს ნარმოადგენდა ქ.ბათუმში, ქ. №....-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება და ამ სახლში ინდივიდუალიზებული ფართების ამხანაგობის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ამხანაგობაში ფიზიკური პირების შენატანს ნარმოადგენდა, მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. იურიდიული პირის – შპს „დ.ს.კ.-ის“ შენატანს ნარმოადგენდა ვალდებულებები და მომსახურება, რაც გამოიხატებოდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის თავისი რესურსებით აშენებაში და ექსპლოატაციაში მიღების ორგანიზაციული, ტექნიკური და ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში.

იურიდიული პირის – შპს „დ.ს.კ.-ის“ შენატანის ღირებულება შეადგენდა 300000 ლარს.

2008 წლის 26 სექტემბერს, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობას მიუერთდა სს „გ-ი“ და მოსარჩელე ც. ს-ე.

ც. ს-ის შენატანს ნარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – ქ.ბათუმში, ქ. №..-ში მდებარე 16 კვ.მ არა-საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული ფართი განთავსებული იყო ამხანაგობისა და თვით ც. ს-ის საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

ც. ს-ის ამხანაგობაში გაწევრიანების მიზნით, 2008 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა ამხანაგობის საერთო კრება (ოქმი №...), რომლის საფუძველზეც ამხანაგობის თავჯდომარესა და ც. ს-ეს, ასევე, სს „გ-ს“ შორის გაფორმდა 2007 წლის 8 ოქტომბრის

№... ხელშეკრულებაზე მიერთების ხელშეკრულება, რეესტრის №....

2009 წლის თებერვალში, ქ.ბათუმში... ქ. №...-ში, ამხანაგობა №-ს წევრების, მათ შორის, ც. ს-ის საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, დაზუსტდა მიწის ნაკვეთი და მისი ფართი განისაზღვრა 999 კვ.მ-ით.

2009 წლის 30 აპრილს, ქ.ბათუმში... ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, მიწის ნაკვეთსა და შენობა ნაგებობებზე (ს.კ....) ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარე ნ. ხ-ს, ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული უძრავი ქონების – 16.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრე მ. შ-ესა და ამავე ნაკვეთზე განთავსებული 11.21 კვ.მ და 9.62 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართების მესაკუთრე

სახელმწიფოს წარმომადგენელს შორის გაფორმდა შეთანხმება მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ.

ამხანაგობა „ნ-ს“, მ. შ-ესა და სახელმწიფოს შორის „მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ“ 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმების საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 999 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან:

ა. ამხანაგობა „ნ-ს“ საკუთრებად დარეგისტრირდა 932 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 513 კვ.მ შენობა-ნაგებობები;

ბ. სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდა 38 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები;

გ. მ. შ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 16.6 კვ.მ შენობა-ნაგებობა არასაცხოვრებელი ფართი.

2009 წლის 1 ივნისს, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ის“ წევრების კრების №.. ოქმის საფუძველზე, ამხანაგობა „ნ-ის“ მიერ მოხდა ქ.ბათუმში, ქ. №..-ში მდებარე მიწის ნაკვეთში არსებული 932 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული ნაგებობების და ქ.ბათუმში, ქ. №..-ში მდებარე 539 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების ერთ საკადასტრო ერთეულად გაერთიანება. გაერთიანების შედეგად, ამხანაგობა ნ-ის საკუთრებაში აღირიცხა 1471 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 742.4 კვ.მ შენობა-ნაგებობები.

მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რაიმე სახის მშენებლობა არ განხორციელებულა.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ის“ და-

ფუძნების შესახებ 2007 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულების 6.2 მუხლის თანახმად, თავმჯდომარე ერთპიროვნულად წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად დებს გარიგებებს და ხელშეკრულებებს.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ის“ და-ფუძნების შესახებ ხელშეკრულების 2007 წლის 8 ოქტომბრის 6.1 მუხლის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარეა ნ. ხ-ი.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ის“ და-ფუძნების შესახებ 2007 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულების 6.4 მუხლის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარე, მხოლოდ ამხანაგობის წევრთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დებს შემდეგ გარიგებებს: ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა, სესხისა და კრედიტების აღება.

მ. შ-ე არ წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ის“ წევრს.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მხარეებმა დაადასტურეს ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ, 2009 წლის 30 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, მ. შ-ის საკუთრებაში დარეგისტრირებული 30კვ.მ მიწის ნაკვეთი, გარდა მ. შ-ის საკუთრებაში არსებული 16.6კვ.მ არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა, რეალურად მოიცავდა იმ შენობა-ნაგებობის ნანილსაც, რომელიც ც. ს-ის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა და რომელიც ც. ს-ემ, როგორც ამხანაგობის წევრმა, შეიტანა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ის“ საკუთრებაში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ქ. ბათუმში, ქ. №...-ში მდებარე მ. შ-ის უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი, რომელიც მოამზადა ინდენტარმე გ. კ-ემ, არ შესაბამებოდა ადგილზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, რადგან მ. შ-ის საკუთრებაში არსებულ 16.60კვ.მ შენობის მარჯვნივ, მომიჯნავე მხარეს, წ-ის ქუჩის მიმდებარედ უნდა ყოფილიყო თავისუფალი სივრცე 8.30კვ.მ ფართობით, რაც სრულიად ათვისებული იყო მომიჯნავე შენობის პერიმეტრით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისუფალი სივრცე მ. შ-ის საკუთრებაში არსებულ 16.60კვ.მ შენობასა და მის მარჯვნივ,

მომიჯნავედ არსებულ შენობას შორის არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-932-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობით ან ზეპირად. მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების განევით. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას.

ზემომითითებული ნორმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წინ“ წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის საფუძველზე შექმნილ ამხანაგობას, სადაც ც. ს-ემ, როგორც ამხანაგობის წევრმა, ამხანაგობის საერთო საკუთრებაში შეიტანა ინდივიდუალური უძრავი ქონება – ქ.ბათუმში, ქ. №...-ში მდებარე 16კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და შენატანის განხორციელებით გახდა ამხანაგობის ქონების თანამესაკუთრე, კერძოდ, ქ.ბათუმში, ქ. №...-ში მდებარე 999კვ.მ მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 513კვ.მ შენობა-ნაგებობების თანამესაკუთრე.

სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, როდესაც უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, ადასტურებს, რომ ეს უფლება საზიაროა.

საქმის მასალებით ირკვეოდა და არც მხარეებს შორის სადაც არ წარმოადგენს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ.ბათუმში, ქ. №...-ში მდებარე 999კვ.მ მინის ნაკვეთი 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოადგენდა ამხანაგობა „წის“, მ. შ-ის და სახელმწიფოს საერთო საკუთრებას, რომელზეც განლაგებული იყო შენობა-ნაგებობები. შენობა-ნაგებობებიდან, ამხანაგობა „წის“ ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადენდა 513 კვ.მ ფართი, მ. შ-ის საკუთრებას – 16.6 კვ.მ ფართი, ხოლო სახელმწიფოს საკუთრებაში ირიცხებოდა 9.62 კვ.მ ლიტერ „კ-სა“ და 11.21 კვტ ლიტ. „ჟ-ში“ მდებარე არასაცხოვრებელი ფართები.

სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 959-ე მუხლის მიხედვით, საზიარო საგნის ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. ამავე კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 963-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, ვინაიდან, ქ. №... ში მდებარე 999 კვ.მ მინის ნაკვეთი ნარმოადგენდა ამხანაგობა „ნ-ის“, მ. შ-ისა და სახელმწიფოს საერთო საკუთრებას, საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი იყო თითოეული მოწილის, მათ შორის, ამხანაგობა „ნ-ის“ თანხმობა და ღირებულების შემცირების გარეშე, საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელმწიფის სასამართლო ექსპერტის მიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნითა და მხარეთა განმარტებებით ირკვეოდა, რომ „მინის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ“ 2009 წლის 30 აპრილის სადაცვო ხელშეკრულებით არ მომხდარა საერთო საკუთრების მინის ნაკვეთის გამიჯვნა (ნატურით გამოყოფა), ვინაიდან, მ.შ.-ისათვის გამოყოფილი 30 კვ.მ მინის ნაკვეთი, არ მოიცავდა თავისუფალ მინის ნაკვეთს და რეალურად მოიცავდა ც. ს-ის მიერ ამხანაგობის საკუთრებაში შეტანილი, ინდივიდუალური საკუთრების შენობანაგებობის ნაწილს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადაცვო გარიგებით მოხდა არა საზიარო ქონების ნატურით გამოყოფა, არამედ ამხანაგობის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების (16.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ნაწილის) მესამე პირზე განკარგვა, რაც სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ 2009 წლის 30 აპრილის ხელშეკრულებით არ მომხდარა ამხანაგობის ქონების გასხვისება – არასწორი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკ-

რულების მონაწილეები ერთობლივად უძლვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძლოლა დაკისრებული აქვს ერთ-ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ამხანაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარეს, ნ. ხ-ს სრული უფლებამოსილება გაჩინდა 2009 წლის 30 აპრილს მ. შ-ესთან დაედო შეთანხმება საერთო საკუთრებაში არსებული ქონების რეალური გაყოფის შესახებ. საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებით, 2007 წლის 8 ოქტომბრის ინდივიდუალური ბინათმენებლობის ამხანაგობა „ნ-ის“ დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების 6.4 მუხლით ირკვეოდა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს, მხოლოდ ამხანაგობის წევრთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეეძლო ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის (რეალური გაყოფის) თაობაზე გარიგების დადება. ვინაიდან, საქმეში არ არსებობდა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თანხმობა იმის თაობაზე, რომ ამხანაგობის თავმჯდომარეს, ნ. ხ-ს, ამხანაგობის საერთო საკუთრების 999 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან მესამე პირზე – მ. შ-ზე ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცა მიწის ნაკვეთის ნაწილი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ“ 2009 წლის 30 აპრილის ხელშეკრულება გასაჩივრებულ ნაწილში დადებული იყო სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 957-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 959-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ამავე კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ბათილი იყო. შესაბამისად, საფუძვლიანი იყო ც. ს-ის სარჩელის მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხა-

ნაგობა „ნ-ის“ თავმჯდომარესა და მ. შ-ეს შორის 2009 წლის 30 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობას, ქ.ბათუმში, ...-ში მდებარე მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის ნანილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. შ-ემ.

საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფის შესახებ 2009 წლის 30 აპრილის შეთანხმების საფუძველზე მ. შ-ეს საკუთრებაში გადაეცა არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის ნანილი, რომელიც წარმოადგენდა ც. ს-ის ინდივიდუალურ საკუთრებას და სადაცო გარიგებით მოხდა ამ ქონების მესამე პირზე განკარგვა. კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლზე და განმარტავს, რომ 2008 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებით ც. ს-ე შეუერთდა რა ამხანაგობა „ნ-ს“, მისი შენატანი უძრავი ქონება - ქ.ბათუმში, ქ. №...-ში მდებარე 16 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი გახდა ამხანაგობის საერთო საკუთრება და მოსარჩელეს აღარ გააჩნდა ამ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრება;

სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთისგან არ განასხვავა ორი სხვადასხვა სახის სამართალურთიერთობა – თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა და გასხვისება. სასამართლომ, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად არასწორად გამოიყენა ერთობლივი საქმიანობის შესახებ 2007 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულების 6.4 მუხლი, რომლის თანახმად, ამხანაგობის წევრთა კრების გადაწყვეტილება საჭირო იყო მხოლოდ ისეთი გარიგებების დადებისას, რომლებიც შეეხებოდა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებას;

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს წილთა დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მ. შ-ის საკუთრების უფლება. გარიგების დადებამდე, რომელიც სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო, მ. შ-ე ამხანაგობა „ნ-სა“ და სახელმწიფოსთან ერთად წარმოადგენდა 999 კვ.მ მიწის თანამესაკუთრეს. ამჟამად, სახელმწიფოს უცვლელად რჩება რეალური წილის გამოყოფის შედეგად მიღებული 38 კვ.მ მიწის ფართობი. ამხანაგობა „ნ-ის“ საკუთრებად აღრიცხულია 1471 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სააპელაციო სასამართლომ არ განმარტა, თუ რომელი და რა ოდენობის ფართის თანამესაკუთრედ უნდა დარეგისტრირდეს მ. შ-ე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 8 ოქტომბერს ფიზიკურმა პირებმა – მ. ნ-მა, ზ. ა-ემ, გ. ს-მა, მ. ს-მა, ნ. ჩ-ამ, მ. ჩ-მა, ს. ქ-ემ, ა. თ-მა, ნ. ხ-მა, ლ. ა ც-ემ, შ. ბ-ემ, ნ. ზ-ემ, ც. ბ-ემ და შპს „დ.ს.კ.-ამ“ დადეს ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება და დააფუძნეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქ.ბათუმში, ქ. №....-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება და ამ სახლში ინდივიდუალური ფართების ამხანაგობის წევრების საკუთრებაში გადაცემა;

2008 წლის 26 სექტემბრის მიერთების ხელშეკრულებით ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „წ-ს“ მიუერთდა ც. ს-ე, რომლის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – ქ.ბათუმში ქ. №....-ში მდებარე 16 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი;

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ქ.ბათუმში, ქ. №....-ში მდებარე 999 კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ამხანაგობა „წ-ის“, მ. შ-ისა და სახელმწიფოს საერთო საკუთრებას, ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან 513 კვ.მ წარმოადგენდა ამხანაგობა „წ-ის“ საკუთრებას, 16.6 კვ.მ - მ. შ-ის საკუთრებას, 11.21 კვ.მ და 9.62 კვ.მ კი – სახელმწიფოს საკუთრებას;

30.04.2009 წელს ამხანაგობა „წ.-ის“ თავმჯდომარე ნ. ხ-ს, მ. ჟ-ესა და სახელმწიფოს შორის დაიდო „მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ“ შეთანხმება, რომლის მიხედვით:

ა. 931.1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 513 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობები განისაზღვრა ამხანაგობა „წ-ის“ საკუთრებად;

ბ. 30.1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 16.6 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა განისაზღვრა მ. შ-ის საკუთრებად;

გ. 37.8 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 20.83 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა განისაზღვრა სახელმწიფოს საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქ-

ცევს დავის საგანზე – მოსარჩელის მოთხოვნაზე და მოსარჩელის მიერ დასახელებულ მოპასუხეთა წრეზე, კერძოდ, მოსარჩელე ც. ს-ე მოითხოვს „მინის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ“ 30.04.2009 წლის შეთანხმების ბათილად ცნობას მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც საზიარო უფლების გაუქმების შედეგად საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გარკვეული ნაწილი განისაზღვრა ამხანაგობა „ნ-ისა“ და მ. შ-ის საკუთრებად. სარჩელით ირკვევა ასევე, რომ მოსარჩელეს მოპასუხეებად დასახელებული ჰყავს ამხანაგობა „ნ-ი“ და მ. შ-ე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სავალდებულო თანამონანილეობასთან, ანუ იმ შემთხვევასთან, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქმის განხილვა ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელე მოითხოვდა უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ შეთანხმების ბათილად ცნობას, იგი ვალდებული იყო მოპასუხეებად საქმეში ჩაება ამ შეთანხმების ყველა მონაწილე. ეს დასკვნა გამომდინარეობს საერთო საკუთრებისა და საზიარო უფლებების შინაარსიდან.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სარჩელი არ იყო აღძრული საერთო უფლების ყველა თანამონანილის მიმართ, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს ასევე, რომ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას დასაშვებია საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე ამ უფლების მესაკუთრეთა შეთანხმების მთლიანად და არა ნაწილობრივ ბათილად ცნობა. ეს დასკვნა ეფუძნება, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის განმარტებას, კერძოდ, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება (იბ. სუსგ, 31.07.2014წ., საქმეზე №ას-67-65-2014). განსახილველ შემთხვევაში, „მინის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ“ 30.04.2009 წლის შეთანხმების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შემთხვევაში ვიღებთ სწორედ ისეთ ვითარე-

ბას, როდესაც საზიარო საგნის ნაწილზე სახელმწიფოს რჩება ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო ამ ნივთის სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება ექნებათ ამხანაგობა „ნ-სა“ და მ. შ-ეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ ბუნდოვანია მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, კერძოდ, გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა სურს მას ზემოხსენებული „შეთანხმების“ ბათილად ცნობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. ს-ის სარჩელი – „მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფის შესახებ“ 30.04.2009 წლის შეთანხმების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაცმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მ. შ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაცმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ც. ს-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაცმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაცმაყოფილებული, ხო-

ლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორ-ციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შექმნება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ნარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედვებლობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო-ებში საქმეთა განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. შ-ეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ც. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელს, როგორც წაგებულ მხარეს, კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ფ ა:**

1. მ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ც. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ც. ს-ეს მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300.00 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 11. პასუსტისგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომენტებული საფრთხით გამოცვეული ზიანისათვის

### განჩინება

№ას-668-635-2014

16 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ქლიერიშვილი,  
ნ. ბაქაევი

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ბი-  
ნის მესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

##### **1. სასარჩელო მოთხოვნა:**

- 1.1. ვ. ტ-მა მოითხოვა რ. მ-ის სახელზე 2013 წლის 8 იანვრის  
გაცემული №..... სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად  
ცნობა;
- 1.2. ქ.თბილისში, ..... მდებარე მე-12 კორპუსის, №10 ბინის 1/2  
იდეალური წილის მესაკუთრედ ცნობა.

##### **2. მოპასუხის პოზიცია:**

რ. მ-მა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმა მოითხოვა.

##### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე- ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ტ-ის  
სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ვ. ტ. ცნობილ იქნა უძ-  
რავი ქონების მდებარე ქ.თბილისი, ....1/3 წილის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა მოპასუხებ.

##### **4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა- წილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით რ. მ-ის  
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013

წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება რომლითაც, ვ. ტ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

5.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 29 ივნისის ცნობის თანახმად, დ. ტ.-ზე სამოქალაქო რეესტრის კარტოთეკაში ცნობა არ არსებობს. ასევე, არ იძებნება მონაცემები დ. ტ.-ზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2013 წლის 18 ივნისის ცნობითაც;

5.2. რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობის შესაბამისად, დ. ტ. გარდაცვალა რუსეთის ფედერაციაში და მისი გარდაცვალების შესახებ მონაცემები დარეგისტრირდა სწორედ რუსეთის ფედერაციის სააქტო ჩანაწერებში;

5.3. დ. ტ.-ის გარდაცვალების მოწმობაზე არ არის მითითებული გარდაცვლილის მოქალაქეობის თაობაზე;

5.4. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით და ჩათვალა რომ, საქალაქო სასამართლომ მტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოპასუხეს, რადგანაც ფაქტის დადასტურების ვალდებულება აკისრია მხარეს, რომელიც უთითებს კონკრეტულ ფაქტზე. მოსარჩელემ ვერ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რის გამოც სარჩელი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ტ.-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ დ. ტ. საქართველოს მოქალაქე არ იყო, თუმცა მტკიცებულებები ამის თაობაზე არ არსებობს. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მეოთხე თავით დადგენილი წესით, ასეთი გადაწყვეტილება (განკარგულება) კი, არ არსებობს.

6.1.2. უძრავი ქონება, მდებარე, ..... ი. მ-ს სახელზე ირიცხე-

ბოდა, რომელიც იყო ვ. ტ-ის ბებია. ორდერში ჩაწერილი იყვნენ დ. მ. და მისი ძმა ს. მ. ს-მ მთლიანად თავის სახელზე მოახდინა ბინის პრივატიზაცია, თუმცა სადავო ბინიდან დ. ტ-ს ეკუთვნის წილი, რაზეც ან გარდაცვლილს უარი არ უთქვამს და არც თანხმიბის განუცხადებია პრივატიზაციის თაობაზე. სადავო ბინაზე საკუთრების უფლება აქვს ყელა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელი ფართის უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრივატიზაციის დროისათვის. ამდენად, ერთ-ერთი დამქირავებლის სახელზე, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების რეგისტრაციის ფაქტი არ ნიშნავს საკუთრების უფლების მხოლოდ მასზე გასხვისებას. საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებით დანარჩენ ოჯახის წევრებს წარმოებობათ უფლება, საჯარო რეესტრში დაარეგისტრონ საკუთრების უფლება.

6.1.3. რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლზომიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში ვ. ტ-ს, როგორც დ. ტ-ის კანონისმიერ მემკვიდრეს, საკუთრების უფლება სადავო ბინაზე წარმოეშვა კანონის ძალით. სააპელაციო სასამართლომ კი, არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკიდრებულ პრაქტიკას.

6.1.4. ბინის პრივატიზაციის უფლების რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი. დამქირავებელთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც დამქირავებელი სარგებლობს. საკუთრების უფლების ერთ-ერთ დამქირავებელზე აღრიცხვა არ გამორიცხავს დანარჩენი მოსარგებლების საკუთრების უფლებას.

6.1.5. არასწორი სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, თითქოს საქალაქო სასამართლომ მტკიცების ტვირთი შეაბრუნა და არასწორად გაანაწილა, შესაბამისად, უსაფუძვლოა სასამართლოს განმარტება, რომ მოსარჩევემ ვერ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და ვერ დაადასტურა ბინის პრივატიზაციის მომენტისათვის დ. ტ-ის საქართველოს მოქალაქეობის ფაქტი, რის შემდეგაც მასზე გავრცელდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტი.

6.1.6. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს

ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქის საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრება, გარდაცვალება და გარდაცვალების მოწმობის საქტო ჩანაწერის რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირება თავისთავად არ იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ასეთი გადაწყვეტილება დ. ტ-თან მიმართებაში არ არსებობს და არც აპელანტის მიერ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად საბჭელაციო სასამართლოს დასკვნა და. ტ-ის მოქალაქეობასთან დაკავშირებით არასწორია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა ვ. ტ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები ძირითადად ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ბინაზე მამკვიდრებლის მიერ უფლების მოპოვების დადასტურების მტკიცება მოსარჩევემ ვერ შეძლო სათანადოდ, კერძოდ, მან ვერ დაადასტურა, რომ დ.ტ. იყო საქართველოს მოქალაქე და სარ-

გებლობდა სადაც ბინით, რაც „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის დაქმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენდა. თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ ეს დასკვნა დააფუძნა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 29 ივნისისა და 2013 წლის 18 ივნისის ცნობებს, ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემულ ცნობებს.

1.3. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა კასატორის არგუმენტების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარმოუდგენია, კერძოდ, არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებებს არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3.1. საკასაციო პალატა უპირველესად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნივთზე მამკვიდრებლის უფლების ფაქტის მტკიცება მოსარჩელეს სავსებით მართებულად დააკისრა, ამასთანავე, ვერ გაიზიარებს ვ. ტ-ის მტკიცებას მოქალაქეობის დაკარგვის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობისა და სხვათა თაობაზე. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას, რომლის თანახმადაც მოსარჩელემ დ. ტ-ის საქართველოს მოქალაქეობის ფაქტის მტკიცების მიზნით მიუთითა გარდაცვალების მოწმობაზე, რომელიც, ამ გარემოებას არ ადასტურებს.

1.4. საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №... დადგენილების პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შედავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტით გან-

საზღვრულია პრივატიზაციის განხორციელების სუბიექტების ცნება, ასევე პრივატიზაციის განხორციელების წესი და ნორმის პირველი წინადადებით დადგენილია, რომ საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. ამდენად, უპირველესი წინაპირობა ბინაზე უფლების მოპოვებისა, პრივატიზაციის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გამომდინარე პირის საქართველოს მოქალაქეობა იყო, გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალტა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და განმარტავს, რომ პრივატიზაციის გზით საკუთრების უფლების მოპოვების დამატებით პირობას წარმოადგენდა ასევე ბინაში ცხოვრების ფაქტი (იხ. სუსგ-ებები: №-284-610-05, 26 ივლისი, 2004 წელი; №ას-265-594-05, 14 ივნისი, 2005 წელი; №ას-516-838-05, 14 ნოემბერი, 2005 წელი). მოცემულ შემთხვევაში, კასატორს ამ კუთხით სარწმუნო მტკიცებულებებსა და გარეობებზე არ მიუთითება.

1.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლოს შეფასება არ განსხვავდე მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას კ. ტ-ის საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## 2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალტა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით თ. კ-ის მიერ 2014 წლის 12 ივნისის №1 საგადახდო დავალებით გა-

დახდილი 350 ლარისა და მის მიერვე 2014 წლის 1 ივლისის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარის, სულ 500 ლარის 70% – 350 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.
2. კასატორ ვ. ტ-ს (რუსეთის ფედერაციის პასპორტი ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) ო. კ-ის მიერ 2014 წლის 12 ივნისს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 350 ლარისა და მის მიერვე 2014 წლის 1 ივლისს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარის, სულ – 500 ლარის 70% – 350 ლარი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქიეპელი

1.	ნინარე ხელშეკრულების ფორმა და არსებითი პირობები .....	3
2.	ხელშეკრულებიდან გასვლა .....	30
3.	ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის ....	40;50;87
4.	ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის .....	96
5.	ვალდებულების შესრულების მიღება .....	109
6.	ნარდობის ხელშეკრულება .....	122
7.	ვაგონის მოცდენის საფასურის დაკისრება .....	142
8.	<b>დაზღვევა</b> დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....	150
	დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ..	162
9.	სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები .....	181
10.	საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას .....	197
	საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას .....	213
11.	პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის .....	225